ანტიკორუფციულ საბჭოში სკანდალი იგეგმება A2

გაკოტრდა თუ არა "ფრონტერა?" A4

თბილისში უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციაა A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 16 ივლისი, 2002 წელი. №44

ფასი 50 თეთრი

აფეთქების მორიგი მცდელობა „მარიოტთან„

სამართალდამცავები ამ მცდელობებს კონკურენციას უკავშირებენ

ინგა ალავიძე

სასტუმრო "მარიოტთან"

ბესო გულაბვილის ფოტო

გუშინ გვიან ღამით, სასტუმრო "მარიოტთან" მორიგი ინციდენტი შედგა.

"მიცვალებული მოაქვთ, გაიწიეთ, გაიწიეთ," – ასე გააცილეს ხუმრობის ხასიათზე დამდგარმა სამართალდამცველებმა გვიან ღამით, ალექსანდროვის ბაღიდან ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოტანილი, საგულდაგულოდ შეფუთული მუყაოს ყუთი, რომელშიც, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა უნდა ყოფილიყო..

სასტუმრო "მარიოტიდან" 50 მეტრის დაშორებით, ალექსანდროვის ბაღში სასტუმროს დაცვის თანამშრომლებმა საეჭვოდ მოსიარულე რამდენიმე ახალგაზრდა შეამჩნიეს. ბაღში დაგდებული ფუთას კი, ღამის შემოვლაზე მყოფმა ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა მიაგნეს.

მიუხდავად იმისა, რომ ფუთასთან მიახლოება უშიშროების სამინისტროს სპეციალისტებმა ვერ შეძლეს, კანონდამცველებმა შემთხვევის ადგილზე ზეპირი ინფორმაცია მაინც გაავრცელეს - გუშინ სასტუმრო "მარიოტთან" მორიგი შესაშინებელი აფეთქება უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ამფეთქებლებს გეგმა ჩაეშალათ, რადგან ისინი შეამჩნიეს.

ბაღიდან გამოტანილი ფუთა უშიშროების სამინისტროს პოლიგონზე გასანაღმავად წაიღეს. თუმცა, უშიშროების სამინისტროს სპეციალისტთა მიერ ადგილზე ჩატარებულმა რენტგენოლოგიურმა ექსპერტიზამ არ დაადასტურა ფუთაში ასაფეთქებელი ნივთიერების არსებობა.

მიუხედავად ამისა, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენასთან დაკავშირებით უკვე დაიწყო საქმის მოკვლევა.

გუშინ, გვიან ღამითვე დაიკითხნენ სასტუმროს დაცვის თანამშრომლები და ადმინისტრაციული პოლიციის წარმომადგენლები. მათი მონაცემების საფუძველზე შედგა მორიგ აფეთქების მცდელობაში ეჭვმიტანილთა ფოტორობოტები.

სასტუმრი "მარიოტთან" ერთმანეთის მიყოლებით მომხდარი ინციდენტის შესახებ კანონდამცველები თითქმის უკვე გადაწყვეტილად აცხადებენ, რომ აფეთქებებს სავარაუდოდ კონკურენტი სასტუმრო აწყობს.

ქართული დემოკრატიის სერიოზული კრიზისი

ეკა კვესიტაძე

თავისუფლების ინსტიტუტის დარბევამ უკვე გამოიწვია ის საერთაშორისო რეზონანსი, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს დასავლეთში ფეხმოკიდებულ აზრს ქართული დემოკრატიის სერიოზული კრიზისის შესახებ.

ის ფაქტი, რომ საქართველო ძალინ საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა რეფორმების და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ხელისუფლების სრულიად უგნური დამოკიდებულების გამო, ყველა იმ შეხვედრაში ჩანდა, რომელიც ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო პრესცენტრმა მომიწყო.

გავლენიან ანალიტიკურ ცენტრებში (ეგრეთ წოდებული "think tanks") ძალზე ღიად და პროფესიულად საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოში.

ვაშინგტონში ორ ყველაზე გავლენიან ანალიტიკურ ინსტიტუტში - სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრსა (ბზეჟინსკის ცენტრი) და ბრუკინგსის ინსტიტუტში - ზეინო ბარანმა და ფიონა ჰილმა, რომლებიც კავკასიის, რუსეთისა და კასპიის რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ექსპერტებად ითვლებიან, ღიად მიანიშნეს იმ იმედგაცრუებაზე, რომელმაც, მართალია, ძალინ გვიან, მაგრამ მაინც იჩინა თავი ამერიკის პოლიტიკურ წრეებში და რომელიც საქრთველოს პრეზიდენტის საშინაო პოლიტიკას უკავშირდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

"აღორძინებამ" მოქკავშირის დაშლის სცენარი გადაიწერა

მაია ჭალაგანიძე

უნდა იყო ის, ვინც მათ უნდათ. უნდა მოხვდე იქ, სადაც მათ უნდათ.

როგორც წესი, ალბათ, არც ამ შემთხვევაში გაირკვევა, ვინ არიან ისინი -პირველი, მეორე, მესამე თუ უნომრო ძალა. ამჯერად ახალი, შეუმდგარი და 2 ივნისიდანვე დათარსული საკრებულოს "აღორძინების" სიით გასულ დეპუტატს - გიორგი ტაბიძეს დახვდნენ სახლთან და სცემეს... სცემდნენ საქმის ცოდნით – სახეზე კვალის დაუმჩნევლად - თან რომ ნაცემი ხარ და თან რომ,- ვითომ წაიქეცი.

დასაწყისი საკმაოდ ბანალური იყო – "კარგია სკრებულოში და "აღორძინებაში", ბიჭი?!...."

გიორგი ტაბიძე: **თეთრი, დაბურულმინებიანი უნომრო მანქანით იყვნენ.**

ვერსიები ბევრია, კონკრეტულად ვისზე უნდა ავიღო ეჭვი, ნამდვილად არ ვიცი.

გამოძიებას თვითონ ვაპირებ. შეურაცხყოფილი ვარ და ამას არავის შევარჩენ, ციხეში ამოვალპობ ყველას.

ჯერ-ჯერობით, კონკრეტულად ხელს ვერავის ვადებ. ვერსიები ბევრია – ან ამას აკეთებს ადამიანი, რომელსაც ჩემი ეს წარმატება არ უხარია (თუმცა, ეს დიდ წარმატებად არ მიმაჩნია), ან მესამე ძალა იყენებს პარტიაში მიმდინარე პროცესებს, რათა სულ სხვა მხარეს წაიყვანოს მოვლენები, ან პარტიებს შორის მიმდინარე მოვლენებია ამის მიზეზი, ან კრიმინალურო პოლიტიკა, რომელიც საერთოდ, სახელმწიფოშია.

მე ჩემს პარტიაში განხეთქილების მიზეზად არ გამოვდგები. საკრებულოში კი, ყველაფრის მიუხედავად, 3 ადამიანი ვიქნებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

გია ყარყარაშვილი ალაპარაკდა

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარი გია ყარყარაშვილი შვიდი წლის წინათ, 1995 წელს მოსკოვში მის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტზე ალაპარაკდა. ამ ფაქტს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ხაჩიშვილის, პაპუკაშვილისა და გელაშვილის შეწყალებასთან აკავშირებს და აცხადებს, რომ თუ მასზე თავდასხმის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული 60-ტომიანი საქმე გამოქვეყნდება, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

გია ყარყარაშვილი ამტკიცებს, რომ მოსკოვში განხორციელებულ ტერაქტამდე ორი წლით ადრე, 1993 წელსაც იყო მისი ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობა. ამ შემთხვევაში პარლამენტარი უკვე პირდაპირ სდებს ბრალს პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ გურამ პაპუკაშვილს და აცხადებს, რომ სწორედ მან გადასცა ერთ-ერთ პირს ბომბი თვითმფრინავში შესატანად, რომლითაც მას უნდა ემგზავრა (საბედნიეროდ, მაშინ ტერაქტი თავიდან იქნა აცილებული).

პარლამენტარს ვერაფრით აუხსნია, რატომ გაათავისუფლა ვადაზე ადრე შევარდნაძემ ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით გასამართლებულები, მაშინ, როდესაც თვითონ დიდი ხანია უდგება გარანტად თავის 200 თანამებრძოლს, რომლებიც ქურდობის ბრალდებით იხდიან სასჯელს, მაგრამ პრეზიდენტი მათ მიმართ მსგავს გულმოწყალებას არ იჩენს.

"პრეზიდენტი კაშჩეი ხომ არ არის, ბესმერტნი?" - კითხულობს გურამ აბსანძე A2

პარტიების დიალოგი გრძელდება A3

სავალუტო ფონდმა საქართველოს პროგრამა აღუდგინა A4

კიდევ ერთხელ თსუ-ში დარღვევების შესახებ A6

ფედერალური ძებნილი ურეკში დააკავეს A7

ამინდი

თბილისი	32
ქუთაისი	28
ბათუმი	26
სოხუმი	28
ფოთი	28
თელავი	32
ზუგდიდი	29
გორი	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2150
ევრო	2.1878
გირვანქა სტერლინგი	3.4333
რუბლი	0.0702

თემური და ნეოდემოკრატიული რაზმი

დავით ბუხრიკიძე

როდესაც გარდასულ პოლიტ-კრიმინალურ ტანჯვის შემდეგ განვითარებული ფეოდალიზმის წამახალისებელ პირობებში კაუდები, თანაც შემორჩენილი ზღვის სანაპიროზე, ცხადია, ეს დემოკრატიის მრავალსახეობაზე მიუთითებს. ხოლო თუ გაპარტახებული დედასამშობლოს პრეზიდენტმა შვიდი წელი უსამართლო მზრუნველობით გახეხინა ციხის კედლები და ამისათვის მზად ხარ, მადლობა საჯაროდ გადაიხადო, ეს უდავოდ დიდი შერიგების დასაწყისს ნიშნავს. ვერაფერს ვიტყვით შერიგებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ "დიდი პოლიტიკური ილუზიის" ჩავლილი გაკვეთილები მოხუცი პრეზიდენტისა და შეცდენილი ახალგაზრდა ოპოზიციისათვის, დასამახსოვრებელი არ აღმოჩნდა...

შემრიგებლური ინტონაციები კვლავ უდროოა და კვლავაც წყლის ფუჭი ნაყვაა. საზღვაო ეგზოტიკაში მოსვენებული ხაჩიშვილი კრიმინალური წარსულის შემდეგ, ისევ ზუსტად ეწერება გაჩანაგებულ სახელისუფლო მოზაიკაში... ხაჩიშვილის "ლაივი" ზედმეტად სწორუპოვარია და პოლიტიკური. რაც მთავარია, იგი სულაც არ ჰგავს შეწყალებულსა და მოკრძალებულს: "ზურაბ ჟვანიამ და ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა საქართველო გაძარცვეს. ამის დოკუმენტური მასალა არსებობს, ისევე, როგორც ის, რომ ისინი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრები იყვნენ."

მოკლედ, უანგარიშო ბოდვებისა და პოლიტიკური მარაზმის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიზაციის პირდაპირპროპორციულია.

ასლან აბაშიძის მოვლილ პლაჟზე საგანგებოდ მოვლილი ხაჩიშვილი ასევე ოდიოზურად მოიხსენიებს იმ პარტიებსაც, რომლებმაც 12 ივლისს ხელი მოაწერეს ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანებას. თავის მხრივ, დროებით ერთ მუშტად შეკრულებს, სახელმწიფოებრივი შეგრძნებები სწორედ მაშინ გაუმწვავდათ, როდესაც პრეზიდენტმა თემური და მისი მცირე რაზმი მადლობის თანხლებით გამოუშვა ციხიდან. "ნულის ტოლი პოლიტიკური პარტიების პროსტიტუცია" - ასეთია, "სეკენთჰენდიდან" შეძენილი ნამინისტრალის განცხადებათა გამჭვირვალე ინტონაცია. შევარდნაძის მიღმა დარჩენილებს ისღა დარჩენიათ, კლასიკური იგავი "ძალა ერთობაშია" დაგვიანებით გაიხსენონ, რათა პრეზიდენტის ორნახადმა "მოქკავშირმა" - ან ცუდად რეანიმირებულმა "მხედრიონმა" ისინი ცალ-ცალკე არ გადატეხონ.

ცხადია, ამ ქვეყნის უბედურება მხოლოდ ვადაგასული პრეზიდენტი არ არის. იგი ისე იქცევა, როგორც ისწავლა, რაც ახსოვს და რაც შეუძლია. უბედურება არც "მხედრიონია", რომელიც ჩანს, ქვეყანას პერმანენტული სახადივით ჭირდება (მერე რა, რომ დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაცია თავად პრეზიდენტმა იკისრა), უბედურება არც რეფორმატორთა ამნეზიაშია, რომლებმაც საკუთარი ცოდვები ძალიან სწრაფად დაივიწყეს... უბრალოდ, ჩვენ რატომღაც იაფად გვიღირს ნაძირალების, ქურდების, ფსევდოპოლიტიკოსების წარსული, რადგან მათ არასოდეს არავინ ასამართლებს. მათი წარეცხილი სინდისი ხომ ჩვენს დაჩლუნგებულ მოქალაქეობრივ სიფხიზლეზე უფრო ძლიერია.

თბილისი. *საქართველოს პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის ჩატარება 19-21 ივლისს, თავდაპირველად, ლიკანში იყო ნავარაუდევი, მაგრამ ლიანა ისაკაძის მიერ ინიცირებულმა მუსიკალურმა ფესტივალმა პოლიტიკოსებს გეგმები აურია და აიძულა ისინი, "თავშესაფარი" სხვაგან ეძებნათ. ბევრი ფიქრის შემდეგ, დეპუტატებმა არჩევანი ქობულეთზე შეაჩერეს.*

შავი ზღვის სანაპიროზე პარლამენტის ბიუროს წევრების "ექსკურსია" 8 ათასი ლარი ჯდება. მასში შედის: მგზავრობა კონდინცირებული ავტობუსით, კვება და განთავსება სასტუმრო "ივერიაში".

ვინაიდან დეპუტატები მოკრძალებული ხალხია, ასეთი კომფორტი, ცოტა არ იყოს, ეხამუშებათ კიდეც, მით უმეტეს, სულაც არ სურთ ხალხის ყბაში ჩავარდნა. ამიტომ, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, რომელსაც ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი უძღვებოდა, დეპუტატები საკმაოდ ფრთხილობდნენ.

"დაიწყებენ ლაპარაკს, სამი დღე ინებივრესო...", - ავი ენების ამბავი კარგად მოეხსენება ზურაბ ტყემალაძეს.

"თუ იქნება სახელმწიფო უზრუნველყოფა, მანქანით წამოვალ, მაგრამ იქ მე ჩემი მძღოლის დასაბინავებლად ვერ ვირბენ. ამას მირჩევნია, თბილისში დავრჩე," - გაჯიუტდა გივი ლომინაძე.

"ყველაფერს სჯობია, ეგ 8 ათასი ლარი ისე დაგვირიგონ. ბოლო დროს ბენზინის ფულს მაინც არ გვაძლევენ," - თავი მოისაწყლა გოჩა პაიჭაძემ.

მისმა რეპლიკამ გიგი წერეთელი მოთმინებიდან გამოიყვანა და იქით შეუძახა კოლეგებს: **"თქვენ მე გარაჟის გამგე ხომ არ გგონივართ?"**

ცხადი იყო, რომ ქობულეთში გამგზავრება ყველას სურდა, მაგრამ უნდოდათ, ეს სურვილი სხვის ბაგეთაგან გახმოვანებულიყო. ანკესზე მხცოვანი პარლამენტარი წამოეგო.

"ვინც აქ ხართ, მატერიალურად ჩემზე ძალიან არავის უჭირს, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მე მზად ვარ, რაღაც სახსრები გავიღო და ისე გავემგზავრო ქობულეთში. ამდენი ერთფეროვნების შემდეგ, გარემოს შეცვლა აუცილებელია. ასეთ დროს გონება უკეთ მუშაობს," - დაამუნათა ახალგაზრდა მეგობრები ვახტანგ ბოჭორიშვილმა.

სხვებსაც სწორედ ეს უნდოდათ - ბიუროს გასვლითი სხდომის მიზანშეწონილობაზე ყველა ერთხმად ალაპარაკდა. ლევან პირველმა კოლეგებს გუდაურის ვარიანტიც კი შესთავაზა, თანაც შეჰპირდა, სასტუმროს ხარჯებს ჩემს თავზე ავიღებო. მთაში მუქთა გასეირნება ბევრს ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ გარკვა, რომ გუდაურის სასტუმროს საკონფერენციო დარბაზი პარლამენტის ბიუროს სრულ შემადგენლობას ვერ დაიტევდა და ამის გამო ლევან პირველის წინადადება დანანებით იქნა უარყოფილი.

ურთულესი დილემა ბოლოს მაინც გადაიჭრა: დეპუტატებმა დაადგინეს, რომ წელიწადში ერთხელ პარლამენტარებს აქვთ უფლება, ზღვის ტალღების სიახლოვეს განიცადონ კანონშემოქმედებითი წვა და ამ მიზნით ქობულეთში გაემგზავრონ. ყოველი შემთხვევისთვის, შერჩეულია სათადარიგო "ნავსადგურიც" - თუ ქობულეთთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობა წარმოიშვება, ბიუროს წევრთა ხომალდი ჩაქვში ჩაუშვებს ღუზას. **(24 საათი)**

■ ■ ■

ცხინვალი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოთა შესვლიდან 10 წლისთავის იუბილემ ქართული სამშვიდობო ბატალიონის გარეშე ჩაიარა.

ქართული ბატალიონის მიერ ზეიმში მონაწილეობაზე ბოლო წუთს ნათქვამმა უარმა აღაშფოთა შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი ვასილ პრიზემლინი. იგი საქართველოს სამშვიდობო ძალების დაუმორჩილებლობის საკითხის დასმას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა წინაშე აპირებს.

■ ■ ■

ბათუმი. ყოფილმა შსს მინისტრმა და ყოფილმა პატიმარმა თემურ ხაჩიშვილმა პირობა შეასრულა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე მოინახულა. თავად ტერაქტებში მონაწილეობისთვის ეჭვმიტანილი აცხადებდა, რომ ფლობდა ინფორმაციას ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტების მზადების შესახებ.

იყო თუ არა ამის შესახებ საუბარი შეხვედრაზე, უცნობია. ამ შეხვედრის დეტალებს არც ასლან აბაშიძის გარემოცვა და არც იქ დამსწრე ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე აკონკრეტებს.

■ ■ ■

თბილისი. ``ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის" ლიდერი შოთა მალაშხია იმედოვნებს, რომ კვლავ გააგრძელებს თანამშრომლობას პარლამენტის ექსსპიკერთან ზურაბ ჟვანიასთან. შოთა მალაშხიამ თქვა, რომ ზურაბ ჟვანიას მიერ ახალი პოლიტიკური პარტიის "გაერთიანებული დემოკრატების" დაფუძნების შემდეგ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან ნორმალური ურთიერთობა შეინარჩუნა, თუმცა მის პარტიაში შესვლას არ აპირებს.

■ ■ ■

თბილისი. ფალსიფიცირებული 4970 ლიტრი თეთრი ევროპული მშრალი ღვინო "მანავი" და 2178 ლიტრი "გარეჯი" ამოიღეს გამსახურდიას გამზირზე მდებარე"ღვინის სახლის" საფირმო მაღაზიიდან.

როგორც მაღაზიის დირექტორის ნანა ჟორჟოლიანის ახსნა-განმარტებითა და წარდგენილი საბუთებით დადგინდა, ფალსიფიცირებული ღვინო "მანავი" და "გარეჯი" სააქციო საზოგადოება "მანავის ღვინის" ქარხნიდან მიიღეს.

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარ **ვანო მერაბიშვილის** თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" ახლო მომავალში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნით ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებას გეგმავს. პრეზიდენტმა არ გამოიყენა "ნაციონალური მოძრაობის" მიერ მიცემული შანსი და ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ლევან მამალაძე თანამდებობიდან არ გადაყენა.

ნაციონალისტების ულტიმატუმს დღეს გასდის ვადა.

"დემოკრატიული ფრონტის" ერთერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ლევან მამალაძის ალტერნატივა რუსთავის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვებული "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციაა, რომელიც მამალაძის "გადაყენებას ეყოფა".

■ ■ ■

თბილისი. ახლახან დამეგობრებული 9 ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია უახლოეს დღეებში დანიშნულ შეკრებაზე სავარაუდოდ "პარტიათა ქცევის და თანამშრომლობის საკითხებზე" იმსჯელებს.

შეხვედრაზე პარტიების მხრიდან 2003 წელს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ნორმალურ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარების უზრუნველყოფის საკითხიც განიხილება.

სინამდვილეს არ შეეფერება ამ სხდომაზე არ მყოფი ცალკეული პარტიების ლიდერთა განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს საარჩევნო ბლოკი ყალიბდება.

საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ პოლიტიკური ფონი იყოს ნორმალური და არ მოხდეს კრიმინოგენული ვითარების ჩართვა პოლიტიკაში, რისი სიმპტომებიც სახეზეა.

■ ■ ■

თბილისი. დაახლოებით ერთ თვეში საქართველოს ეროვნული ბანკი გაცვეთილი ფულის ნიშნების ახალი ბანკნოტებით ჩანაცვლებას დაიწყებს.

ფულის ბეჭდვის მსოფლიო პრაქტიკიდან და უსაფრთხოების ზომების გამაკცრებიდან გამომდინარე, სებ-ის საბჭომ გადაწყვიტა ფულის ბეჭდვის დივერსიფიცირება, ანუ სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტების დაბეჭდვის შეკვეთა სხვადასხვა ფირმაში განახორციელოს.

წარმოდგენილ წინადადებებს შორის ქართული ლარის ბეჭდვისათვის ყველაზე მისაღებად ჰოლანდიური Joh. Enschede Banknotes და ავსტრიული OEBS–ის პირობები ჩაითვალა.

აღსანიშნავია, რომ ეს კომპანიები ამჟამად ახორციელებენ როგორც ევროს, ისე სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტების ბეჭდვას.

ქართული ლარის ახალი ბანკნოტები ჩაენაცვლება ამჟამად მიმოქცევაში არსებულ გაცვეთილ ფულის ნიშნებს. ახალი ბანკნოტების დიზაინი ძირითადად უცვლელია, თუ არ ჩავთვლით ამჟამად არსებული ფულის ნიშნებზე არსებულ ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორებას და მოსახლეობისათვის განკუთვნილი დამცავი ნიშნების მოდიფიკაციას და ქაღალდის ხარისხს. საქართველოში ფულის მიმოქცევის თავისებურებიდან გამომდინარე, ლარის ბანკნოტის ქაღალდი გაცილებით მდგრადი იქნება და მოსახლეობა პრაქტიკულად დაცული იქნება ყალბი ფულის ნიშნებისაგან.

ახალი ბანკნოტების პარალელურად თანაბარი დატვირთვა ექნება 1999 წლის გამოშვების მიმოქცევისათვის ვარგის ფულის ნიშნებს.

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეაჯამა საქართველოში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის სამწლიანი პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპი და პრინციპულად დაუჭირა მხარი 30 მილიონი დოლარის გამოყოფას.

პროგრამის განხორციელებისათვის სულ გათვალისწინებულია 144 მილიონი დოლარი, დღემდე საქართველომ 36 მილიონი დოლარი მიიღო.

სსფ-ს განმკარგულებელი დირექტორი **შიგიმიცუ სუგისაკი** ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული პროგრამის შესრულებაში წინ წავიდა - მყარია ეკონომიკური ზრდა და, მიუხედავად რთული საგარეო პირობებისა, ინფლაციის დონე კლებულობს.

მისი მტკიცებით, შეინიშნება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, საგადასახადო შემოსავლების ზრდა, უმჯობესდება ფისკალური სფეროს ადმინისტრირება, მიმდინარეობს საგადასახადო ბაზის საკანონმდებლო რეფორმა. მას მიაჩნია, რომ სტრუქტურულ რეფორმებში პროგრესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ენერგეტიკულ და საფინანსო სექტორებში.

სსფ-ში ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებრივ სტრუქტურებთან თანამშრომლობით მალე დაასრულებს სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის შემუშავებას.

პრაიმ-ნიუსი, ინტერპრესი

ანტიკორუფციულ საბჭოში სკანდალი იგეგმება

თამარ ხორბალაძე

დღეს ანტიკორუფციულ საბჭოში სკანდალი იგეგმება.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, საბჭო აპირებს გაიხსენოს წყნეთის ხეების განადგურების უკვე ცნობილი ისტორია და ახალი დეტალებით შეიარაღებულმა, დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაზე კონკრეტული პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის გახშირებულ ვიზიტებს წყნეთში უკვე "გადაჰყვა" საქართველოში ყველაზე ცნობილი "მეტყევე" მეფარიძე. მიუხედავად ამისა, წყნეთის ტყეების განადგურებასთან დაკავშირებული სიტუაცია უცვლელი დარჩა.

სხდომაზე, რომელიც საბჭოში, წინასწარი ინფორმაციით, დღეს უნდა გაიმართოს, სავარაუდოდ, სატყეო დეპარტამენტის პირველი პირების პასუხისმგებლობის თემა წამოიჭრება.

თუ მოპასუხე მხარე სათანადო არგუმენტების წარმოდგენას ვერ შესძლებს, საბჭო ამ საკითხს პრეზიდენტის წინაშე დააყენებს. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ანტიკორუფციული საბჭოს აქტიურობა მისი უშუალო ადრესატებისთვის სასიამოვნოდ არ მთავრდება ხოლმე.

სავარაუდოდ, ასეთი გახლავთ ანტიკორუფციული საბჭოს პირველი პასუხი იმ კრიტიკაზე, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში **"კორუფციასთან ბრძოლის ტემპების შემცირებასთან დაკავშირებით"** გასულ კვირას გაისმა.

წყაროს ცნობით, ანტიკორუფციულ საბჭოში რამდენიმე სერიოზული საკითხი შესწავლის ბოლო ეტაპზეა. უახლოეს პერიოდში საბჭო მათ საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს.

"პრეზიდენტი კაშჩეი ხომ არ არის, ბესმერტნი?" -კითხულობს გურამ აბსანძე

გურამ აბსანძე



ბესო გულაბერიძის ფოტოები

სოფო ბუკია

ციხიდან სულ ახლახან განთავისუფლებული გურამ აბსანძე დროს უქმად არ კარგავს. 7 ივნისს მის მიერ დაარსებული პარტიის - "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" - პრეზენტაცია უკვე შედგა. "ჟურნალისტებს მონატრებული" ყოფილი ტუსაღი პრესკონფერენციას მართავს და ინფორმაციული ბლოკადის გარღვევას ითხოვს. გურამ აბსანძეს მიაჩნია, თუ მისი ახლადშექმნილი პარტია საპარლამენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ქვეყანას არაფერი ეშველება. პარტია ვერ გაიმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ მას ჟურნალისტები არ ამოუდგებიან მხარში, **"ანუ ჟურნალისტების ბრალი იქნება, თუ ქვეყანა ვერ გადარჩება,"**-ხუმრობს აბსანძე.

აბსანძის ახალმა პარტიამ, რომელიც "წმინდა წყლის ოპოზიციური" იქნება, მთლიანად ხელისუფლებას უნდა შეუტიოს და არა მხოლოდ პრეზიდენტს. პრეზიდენტი, რომლისთვისაც ტერაქტის მოწყობის ბრალდებით აბსანძემ ოთხი წელი ციხეში გაატარა, "მთავარ ტერორისტს" გულწრფელად ეცოდება, **"საწყალი, მეცოდება, დაუძლურებულია და ყველა მას ებრძვის, ეს ვაჟკაცობაა? შეიძლება, მას მალე ჩემი მხარდაჭერაც დასჭირდეს..."**- ისევ იხუმრა აბსანძემ. **"შევარდნაძე ცუდიაო, ახლა მიხვდნენ. ამას მე და ჩემი თანამებრძოლები ათი წლის წინათ ვამბობდით... ამას მე ციხეში, ტყეში და ყველგან ვამბობდი,"**- გაიხსენა მან ძველი დრო.

პარტიის ლიდერის მტკიცებით, ახლადშექმნილმა პარტიამ უკვე 31 ათასი წევრის მოგროვება შეძლო. ბევრი მათგანი სხვა პარტიებიდან გადმოვიდა, რადგან **"ხალხს მოწყურდა სუფთა, პატიოსანი პოლიტიკოსები"**. აბსანძე, ერთგულებისა და თავდადების სანაცვლოდ, მხარდამჭერებს "სუფთა პოლიტიკასა" და საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულ ძალად გადაქცევას ჰპირდება. **"თბილისის სამი პარტიული ორგანიზაცია მთლიანად ჩვენს რიგებში გადმოვიდა, საუბარია საკმაოდ სოლიდურ პარტიებზე,"**- აცხადებს აბსანძე, თუმცა პარტიებს არ აკონკრეტებს.

ახლადშექმნილი პარტია "არ აპირებს თამაშს", მისი პოლიტიკური მიზანი ერში თანხმობის აღდგენა გახდება. თანხმობას აბსანძის ახლადშექმნილი გუნდი "პუტჩისტებსაც" ჰპირდება. "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი" პირველ ყრილობას ოქტომბრისთვის გეგმავს და პარტიულ წესდებასაც პირველად იქ წაიკითხავს. რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ალიანსის შექმნას აბსანძე არ აპირებს, მეგობრობით კი ნებისმიერთან იმეგობრებს, ვინც მისი პარტიის წესდებას გაიზიარებს.

აბსანძემ ხაჩიშვილისა და სხვათა გათავისუფლებაზეც ჩამოაგდო სიტყვა. იგი, როგორც ყოფილი პატიმარი, ყველა ტუსაღის გათავისუფლებას მიესალმება, მაგრამ ეჭვი აქვს, რომ ხელისუფლებასთან, შესაძლოა, რაღაც გარიგებასაც ჰქონდეს ადგილი. აბსანძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნავდა, რომ ციხიდან შევარდნაძემ ისიც გაანთავისუფლა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას პრეზიდენტისთვის მადლობა არ მოუხდია. **"კაცი ამბობს, ციხეში შვიდი წელი უსამართლოდ ვიჯექიო და ამავე დროს მადლობას უხდის შევარდნაძეს,"**- უკვირს აბსანძეს. იგი კითხულობს, თუ პრეზიდენტი ასეთი გულმოწყალე გახდა, რატომ არ ეხება მისი გულმოწყალება პეტრე გელბახიანს, ირაკლი დოკვაძეს და ლოთი ქობალიას. **"ვითხოვთ, დაუყოვნებლივ მიაქციონ ყურადრება კანონიერი ხელისუფლების დაპატიმრებულ წარმომადგენლთა განთავისუფლების საკითხს. უკანონოდ დაპატიმრებული ბევრია. თუ პრეზიდენტმა წელიწადში ორ-ორი ათავისუფლა, ოცდაათი წელი დასჭირდება, კაშჩეი ხომ არ არის, ბესმერტნი? ამიტომ ყველა ერთად უნდა განთავისუფლდეს..."**- რჩევას აძლევს იგი შევარდნაძეს.

ედპ-ს ოფისიდან ახმიანებულ ახალ ინიციატივას აბსანძე ეჭვის თვალით უყურებს. თავისთავად იდეა კი მოსწონს, მაგრამ მან **"90-იან წლებში დესტაბილიზაციის მომწყობთა ოფისიდან"** გაიჟღერა, ამიტომ ოპოზიციურ ძალებთან კოალიციაში შესვლას არ გეგმავს. აბსანძემ 2 ივნისის შემდეგ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებულ მოდასაც არ უღალატა და ორი სიტყვით გაყალბებულ არჩევნებზეც ისაუბრა. **"სენსაციის მომსწრე გავხდით. ჩვენმა პარტიამ, რომელიც ერთი თვის დაარსებული იყო, ორასი დეპუტატი გაიყვანა... ჩვენი ბევრი მომხრე არჩევნებში სხვა პარტიის სახელით გამოდიოდა, მერე კი ჩვენს ბანაკში გადმოვიდა,"**-ამაყობს აბსანძე და იმედი აქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის მისი პარტია ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

რუსთავი სექტანტებში იძირება, შარაძე კი "მოციქულია"

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში გურამ შარაძის მხარდამჭერთა საზოგადოების, ნაციონალური მოძრაობა "ჩვენი საქართველოს" დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა დევიზით: "ჩვენ ვიცავთ მართლმადიდებლობას". ღონისძიებას ორასამდე რუსთაველი და ჩამოსული სტუმარი ესწრებოდა.

ყრილობა რუსთავის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე ათანასემ დალოცა და გურამ შარაძე ქრისტეს მოციქულს შეადარა. "უფალმა გურამ შარაძე მოგვივლინა თავის მოციქულად. ის რაღაც სექტას კი არ იცავს, არამედ იცავს უღრმეს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას," - მეუფე ათანასემ "იეჰოვას მოწმეებს" პოლიტიკური მიმდინარეობა უწოდა და მათ მიერ ადამიანების გადაბირების ერთ-ერთი მეთოდი ასე გაშიფრა:

"მივლენ და ეკითხებიან, ვინმე ხომ არ მოგიკვდათო, თუ დაუდასტურეს, მაშინვე ჰპირდებიან, მიწიდან ამოვაძვრენთო. ისე მაგათ მეხი დავაყარე, რაც მიწიდან ვინმე არ ამააძვრინონ. ერთი კაცი მაინც ამააძვრინონ და მე ვტოვებ მართლმადიდებლობას".

მეუფე ათანასემ თავისუფლების ინსტიტუტს "თავისუფლების დამაბრკოლებელი და გამათახსირებელი ინსტიტუტი" უწოდა და რუსთავის მომავალი ასე დაახასიათა:

"ეს ქალაქი თითით საჩვენებელი ქალაქი უნდა იყოს, აქ სექტა არ უნდა ბოგინებდეს."

პატრიოტული კავშირი "ჯვარი", უკვე წლებია, რუსთავში არსებობს და მისი წევრები "იეჰოვას მოწმეთა" მთავარი დამწიოკებლების სტატუსს ღირსეულად ატარებენ. "ჯვარის" ხელმძღვანელი პაატა ბლუაშვილი აღშფოთებულია იმით, რომ "სოფელ მეჯვრისხევში იქაური იეღოველების მიერ ტაძრის წაბილწვასა და ხატების განადგურებას არავინ გამოხმაურებია, ხოლო თავისუფლების ინსტიტუტში რომ შევარდნენ და მათ კაცურად ერთი-ორი წაუთაქეს, საერთაშორისო სკანდალი ატყდა."

"4 წელია, ჩვენ თავს ვიცავთ. დღეს საქართველო ყველაზე მძიმე განსაცდელის, რწმენის ხელყოფის წინაშეა,"- განაცხადა მან და დამსწრე საზოგადოებას იეჰოვას მოწმე ვინმე "გიჟ-პოეტა კლარას" შემოქმედებიდან ამოკრეფილი მარგალიტები გააცნო, სადაც ჯვარი ჯვართად, ხოლო ხატები კერპებად იყო მოხსენიებული. ამგვარი პოეზია, რა თქმა უნდა, არავის მოეწონა და პირჯვრისწერითა და "ფუი, ეშმაკოთი" გააწყვეტინეს გამომსვლელს სიტყვა.

გურამ შარაძის მხარდამჭერთა ორგანიზაციაში გაერთიანების მსურველებს იქვე დარბაზში დაურიგეს ანკეტები შესავსებად.

ნიშანდობლივი იყო ის ფაქტი, რომ შეკრებას ქალაქის მმართველობისა და თვითმმართველობის არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

მოციქულად და ქვეყნის ერთადერთ გადამრჩენელად შერაცხული შარაძე სულ ბოლოს გამოვიდა სიტყვით და მაშინვე რუსთავის ხელისუფლებასა და მის მერს შეუტია: "სად არის დღეს ახლადარჩეული ხელმძღვანელობა? აგრე არ არის თაყაო, ბატონო მერაბ. დღეს რუსთავში შეგნებულად მოხდა ბოიკოტირება ჩვენი ყრილობის. რუსთავი იძირება სექტანტებში, იეღოველებში. ჩვენ ამ დარბაზში ძლივს შემოვედით, ფულს ითხოვდნენ. მერი ჩაიკეტა, თეატრის დირექტორი ფულს ითხოვს, აფიშას არ გვაკიდინებდნენ, აბა, იეღოველები მოსულიყვნენ და მწვანე დოლარები მოეტანათ, არა თუ აფიშას ჩამოკიდებდნენ, თვითონაც ჩამოეკიდებოდნენ ზედ."

მართლა მოხდა თუ არა ყრილობის ბოიკოტირება და მისთვის ხელოვნურად პრობლემების შექმნა? ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი გაკვირვებული დარჩა, როდესაც შარაძის განცხადებების შესახებ შეიტყო. მან თქვა, რომ ის მართლაც შეპირდა შარაძეს დახმარებას და დაეხმარა კიდეც - დარბაზის ქირა მას არ გადაახდევინა. რაც შეეხება ყრილობაზე დასწრებას, ასეთი პირობა ტყეშელაშვილს არ მიუცია და არც მივიდა იქ. რუსთავის მერს უკვირს, რაში დასჭირდა გურამ შარაძეს ტყეულის თქმა და არარსებული პრობლემის აფიშირება.

გურამ შარაძემ არცთუ ისე კმაყოფილმა დატოვა რუსთავი.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე. ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია. სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი. სამართალი-ნიკოლოზ რურუა. სტილი-ბიძინა მაყაშვილი. მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

პარტიების დიალოგი გრძელდება

ვერიკო თევზაძე

ედპ-ს ინიციატივით დაწყებული პოლიტიკური პარტიების დიალოგი დღეისთვის კვლავ განახლდება. ამჯერად, პარტიები არაპოლიტიკურ თემაზე სასაუბროდ შეიკრიბებიან. ისინი იმსჯელებენ კანონპროექტზე "სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ." ირაკლი ქადაგიშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ ადრე წარმოდგენილ პარტიებთან ერთად დიალოგში "აღორძინებაც" არის მოწვეული – პირადად ვესაუბრე გოგიტიძეს და თარგამაძესო. ჩვენ "აღორძინების" ორივე წარმომადგენელს დავუკავშირდით. მათ დაპატიჟების ფაქტი უარყვეს. გიორგი თარგამაძემ გვითხრა, ჩვენთვის რომ შეეტყობინებინათ, შეკრებაში აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობასო. ჯემალ გოგიტიძემ კი შეიცხადა: "შევარდნაძის მიერ დანიშნულ შეხვედრებში მე რა მესაქმება!" ედპ-ს შტაბ-ბინაში "სოციალისტებსაც" ვიხილავთ. "ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კანონის განხილვაში როგორ არ მივიღებთ მონაწილეობასო," - ზუგდიდიდან შეგვეხმიანა ვახტანგ რჩეულიშვილი. ქადაგიშვილის ინფორმაციით, მათ დიალოგში მონაწილეობა "მრეწველებსაც" შესთავაზეს, თუმცა, ამის შემდეგ ბატონებმა ზურაბ ტყემალაძემ და ვახტანგ ხმალაძემ გვითხრეს, რომ ისინი "საქმის კურსში არ იმყოფებიან და, ალბათ, არც შეკრებაზე წავლენ."საპატრირქოსთან ერთად დიალოგში შეიძლება რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებიც ჩაერთონ. შეხვედრაზე უამრავ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ ეზუკბაიამ, რომელიც უშუალოდ ამ კანონპროექტზე მუშაობს. რაც შეეხება ლეიბორისტებს, პარტიის შტაბ-ბინაში გვითხრეს, რომ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდნენ. თავად შალვა ნათელაშვილი კი გუშინ ბაზალეთზე ისვენებდა და გარე სამყაროსთან მობილური კავშირი დროებით გაწყვეტილი ჰქონდა.

"ეს კანონი უაღრესად მნიშვნელოვანია. მას უშუალო კავშირი ექნება შეთანხმებასთან, რომელიც უნდა დაიდოს საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიას შორის. ჩვენი მიზანია, სწორი საზოგადოებრივი აზრი ჩამოვაყალიბოთ კანონის შესახებ. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებაში თავიდანვე აზრთა პოლარიზაცია შეინიშნებოდა. თავისუფლების ინსტიტუტი ზომაზე მეტ ლიბერალიზაციას იჩენდა. გურამ შარაძე, პირიქით, უკიდურესად რადიკალური იყო. ჩვენ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ზომიერ, შუალედურ პოზიციას ვამჯობინებთ. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კანონი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეზღუდავს სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ, იმავდროულად, კანონით დაცული უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების ინტერესები. მოგეხსენებათ, რომ ფსევდორელიგიური პრობლემები, რომელიც აგრესიული სექტანტობის სახით არის ცნობილი, ბევრ სახელმწიფოს აწუხებს. ჩვენი ქვეყანა უნდა ფლობდეს იმ ბერკეტებს, როლითაც აგრესიისგან თავს დაიცავს," – ასეთია ირაკლი ქადაგიშვილის მოსაზრება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც, ძირითადად, იწონებს კანონპროექტს, შეხვდა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას და სთხოვა მას, რომ დროზე დაასრულოს კანონპროექტზე მუშაობა და განსახილველად გადასცეს პარლამენტს. ქადაგიშვილის თქმით, **"საშემოდგომო სესია რომ დაიწყება, კანონპროექტის განხილვა დღის წესრიგში უნდა დადგეს."**

პოლიტიკური პარტიების თავდაპირველი დიალოგი ქვეყნის კრიმინალიზაციის საშიშროებაზე მომავალში კვლავ გაგრძელდება კონსულტაციების სახით. პარტიები ასევე იმსჯელებენ არჩევნებთან დაკავშირებულ თემებზე, ხელისუფლების მოწყობის საკითხებზე და ა. შ.

ქადაგიშვილის თქმით, პარტიების დიალოგი მკვეთრად გააუმჯობესებს პოლიტიკურ კლიმატს ქვეყანაში. **"საქართველოში პლოტიკური ცხოვრება მხოლოდ ხელისუფლების სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული."**

და კიდევ, ირაკლი ქადაგიშვილის აზრით, **"ამ შეხვედრებით პარტიებს ეძლევათ შანსი, რომ წინასაარჩევნოდ თანამოაზრეები იპოვონ."**

ირაკლი ქადაგიშვილი ბესო გულაბვილის ფოტო

„სამართლიანი არჩევნების„ წარმომადგენლებს ყაჩაღობის ინსცენირებაში ადანაშაულებენ

მაკა ღამბაშიძე

ზუგდიდში ჩატარებული ხმაურიანი არჩევნების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია "**სამართლიანი არჩევნების**" წარმომადგენლები არაორგანიზებულობასა და დარღვევებში ადანაშაულებენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მათი თქმით, კომისიის წევრებმა სარჩევნო პროცესის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს. პრობლემების გამო მათ ვერ შეძლეს საარჩევნო უბნებში 10 საათზე ადრე მისვლა. ამ დროისათვის კი ურნებში უკვე ჩაყრილი ყოფილა ასობით უბეჭდო და ხელმოუწერელი ბიულეტენი. სრულიად მოუმზადებელი იყო საარჩევნო უბანი. **"არსად იყო გამოკრული ბიულეტენის შევსების ნიმუში. უამრავი პოლიციელის მიუხედავად, დარღვევას დარღვევა ემატებოდა. კომისიის წევრები ამომრჩევლებს მანქანაში უვარდებოდნენ და კარნახობდნენ, თუ ვინ უნდა შემოეხაზათ."** "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებს სურდათ, არჩევნების კენჭისყრის პროცედურის მონიტორინგი ჩაეტარებინათ, მაგრამ ზუგდიდში არსებული დაძაბული სიტუაციის გამო ეს ვერ მოახერხეს; განხორციელდა მათზე თავდასხმაც, მათი ვიზიტის შესახებ წინასწარ არ იცოდა პოლიციამ. **"ის რაც კვირას მოხდა, იყო კიდევ ერთი დადასტურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის უძლურებისა. ვერავინ შეძლო ჩვენი დაცვის უზრუნველყოფა. თანაც, იქ იმყოფებოდა სპეცნაზიც. მოსახლეობა აფრთხილებდა ჩვენი მიკროავტობუსის მძღოლს, დაეხსნა მანქანისთვის ნაწილები, ვინმეს რომ არ მოეპარა. მათვე გაგვაფრთხილეს, რომ დაღამებამდე დაგვეტოვებინა იქაურობა. იყო დაშინებისა და მუქარის ფაქტები. პოლიცია ცდილობდა მოჩვენებითი სტაბილურობის ილუზია შეექმნა. ის ოჯახები, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობდით, სახლის კარ-ფანჯრებს საგულდაგულოდ კეტავდა, რათა თავიდან აეცილებინა ბანდიტების თავდასხმა ჩვენი წამოსვლის შემდეგ."**

ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობაზე განაწყენებული "სამართლიანი არჩევნების" რეგიონული კოორდინატორი ნუგზარ კუპრეიშვილი იმედს იტოვებს, რომ მათ შს მინისტრი დაეხმარებათ: **"კობა ნარჩემაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ თავდამსხმელთა ვინაობა ცნობილია და რამდენიმე დღეში მანქანას დააბრუნებენ. იმედი მაქვს, მინისტრი სიტყვას შეასრულებს."** თუმცა, გაურკვეველი რჩება ორგანიზაციის კუთვნილი თანხის (4500 ლარი) და მისი წევრების პირადი ნივთების ბედი. გუშინ კი "სამართლიანი არჩევნების" ოფისში დარეკა ტელეკომპანია "ოდიშის" წარმომადგენელმა, რომელმაც აღშფოთება ვერ დამალა მათი განცხადებების გამო და სასამართლოში ჩივილით დაემუქრა: **"ჟურნალისტმა განგვიცხადა, რომ, თურმე, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ყაჩაღობა ჩვენი ინსცენირებული ყოფილა."**

"აღორძინებამ" მოქკავშირის დაშლის სცენარი გადაიწერა

პირველი გვერდიდან

საუბრობენ იმაზეც, რომ "თავისუფლების" პარტიის წევრ გიორგი ტაბიძეს საკრებულოში არ შეუშვებენ, თუმცა, ამჟამინდელი კანონმდებლობით, "აღორძინებას" დეპუტატის გამოწვევის საშუალება არ აქვს, ამიტომაც, თუ სისხლიანი განაჩენი არ იქნა, საკრებულოს ვერც ერთი წევრი თამაშგარე ვერ დარჩება.

თუმცა, დავიწყოთ თანმიმდევრობით:

"აღორძინების" გავლენა აჭარის გარდა არსად იგრძნობოდა. ამიტომაც, ასლან აბაშიძემ სპარლამენტო არჩევნებში დამხმარე ძალას მოუხმო, მათ, ვისაც თავადაც არანაკლებ სჭირდებოდათ აბაშიძის სახელი თუ ფინანსები (ჯუმბერ პატიაშვილი, აკაკი ასათიანი და ვახტანგ რჩეულიშვილი). მაშინ კარგად იმუშავა გიორგი თარგამაძემ და "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციამ.

საპარლამენტო არჩევნების მესამე ადგილმა "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციასა და გიორგი თარგამაძეს პოზიციები გაუმყარა. თარგამაძე ახლა ადგილობრივ არჩევნებში გავიდა თავისი გუნდით და როგორც ჩანს, კანდიდატთა სია მხოლოდ აბაშიძეს შეუთანხმა – სხვა დაინტერესებული პირები კი ინფორმაციის გარეშე დატოვა. ამას ასლან ბაბუს მესამე შვილად წოდებულ თარგამაძესაც კი არავინ აპატიებდა და თბილისის არჩევნებში "აღორძინების" წარუმატებლობა სწორედ პარტიის თბილისის ორგანიზაციას მიაწერეს. ბრალად დასავლური ორიენტაცია, ამერიკის საელჩოსთან ურთიერთობა, საარჩევნო რგოლებსა და ბუკლეტებზე ასლანისა და მისი სახელგანთქმული შენობა-ნაგებობების, საჯიშე ფერმების, ხიდებისა და გვირაბების ნაკლებობა წაუყენეს.

სახალისოდ გამოიყურება სანდრო ბრეგაძის პერსონა. როგორც ამბობენ - აბაშიძესთან ახლოს მოკალათებას სანდრო ბრეგაძე, ჯონდი ბაღათურია და მისი ყოფილი პარტიის ლიდერის – გია ჭანტურიას - მკვლელობაში ეჭვმიტანილი ხაჩიშვილი ცდილობენ. ამ უკანასკნელს ახლოს მიჩოჩებაში ძალიან დიდი სამსახური ჯემალ გოგიტიძემ გაუწია. სხვათა შორის, ასევე ჯემალ გოგიტიძის დამსახურებაა ტაბიძის საკრებულოს კანდიდატთა სიებში მოხვედრაც.

როგორც სარწმუნო წყარო ამბობს, სინამდვილეში ბრეგაძეს სულაც არ ემეგობრება ბათუმის მერი - აბაშიძე "ჯუნიორი" – და ის ჭორიც, თითქოს ბატონი ასლანი გიორგი თარგამაძეს არ იღებს, თვითონ ბრეგაძის დაყრილია. ამბობენ იმასაც, "აღორძინებაში" განხეთქილების შეტანა ბრეგაძის ხელით ხდება. იგი სახადასხვა დროს სხვადასხვა იარლიყებს აკერებდა თანაპარტიელებს. გოგიტიძეზე ამბობდა – მართვა არ ეხერხება და ამიტომაა ოპოზიცია სუსტიო, ვალერი გელბახიანს ძალოვანი სამინისტროების აგენტს უწოდებდა, გიორგი თარგამაძეს ასლან აბაშიძის ჩანაცვლება უნდაო და ა.შ.

გიორგი თარგამაძე: **არ არის გამორიცხული, გიორგიზე თავდასხმა პარტიის შიგნით მიმდინარე მოვლენებს უკავშირდებოდეს, თუმცა, თავს შევიკავებდი იმის თქმისგან, რომ ძალადობა რომელიმე ჩვენი ოპონენტის ინიციატივა იყო... თუნდაც იმ ერთი ადამიანისა, რომელიც ძალზე აქტიურობდა ამ მიმართულებით და ბრალდებებიით აღსავსე ინტერვიუებს იძლეოდა. ჩვენ, როგორც ნახეთ, არ ვპასუხობთ. ეს ფონი კი ვიღაცამ გამოიყენა.**

გიორგი ტაბიძე თბილისის საკრებულოს წევრი გახდა. ის პოლიტიკური ფიგურაა და მასზე ნებისმიერი სახის ძალადობის გამოვლინება სწორედ პოლიტიკური ტერორის კვალიფიკაციას იმსახურებს.

მომავალში, ალბათ, 2002 წელი პოლიტიკურად უიღბლო წლად შეფასდება. ცნობილი წარუმატებელი მოვლენების გარდა, ერთი უზარმაზარი პარტია უკვე დაიშალა, ხოლო, თუ ასე გაგრძელდა, მეორე დიდი პარტიის დაშლაც ამ წლისთვის მოესწრება.

თუ გახსოვთ, ეს ორი პარტია ერთ დროს ერთმანეთის დაუძინებელ მტრობას იჩემებდა, მერე მათ ერთი ბატონის ორ მსახურად მოიხსენიებდნენ... საბედნიეროდ, ორივეს არაკეთილი ბოლო ელოდა...

ალბათ, პატარა ბაბუც დიდი ბაბუს სტილს აირჩევს. ოღონდ ეგაა, ბრეგაძე "აღორძინების" მამალაძე უფრო შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე პარტიის მთავარი რეანიმატოლოგი.

თუმცა, ამჟამინდელი კანონმდებლობით, თუ სისხლიანი განაჩენი არ გამოიტანეს, საკრებულოს არცერთი წევრი თამაშგარე არ აღმოჩნდა.

გიორგი ტაბიძე

სერგეი მირონოვი: კავკასიური დარეგულირების გადადება დაუშვებელია

რუსიკო ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების სპიკერები ერთ მაგიდასთან აქამდე არ მსხდარან. ეს მოხდა 15 ივლისს სანკტ-პეტერბურგში. დილით იქ ტავრიულ დარბაზში, დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტთაშორისი ასამბლეის შენობაში "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრა დაიწყო. შეხვედრას არაფორმალური ხასიათი რუსეთის პარლამენტის სპიკერმა, სერგეი მირონოვმა მიანიჭა, რომელმაც ჩათვალა, რომ კავკასიის რეგიონის უშიშროების პრობლემებზე კავკასიელი კოლეგების ინფორმირება, ბოლოს და ბოლოს, აქტუალური შეიქნა. ამიტომ პარლამენტის ზედა პალატის სპიკერმა შეხვედრა დახურულად გამოაცხადა და ამ ღონისძიებაზე აკრედიტებული ჟურნალისტები მოსკოვიდან პეტრეს ქალაქში არ წაიყვანა. თუ საჭირო იქნება, პეტერბურგელი ჟურნალისტები გაავრცელებენ ინფორმაციასო, - ასე გვითხრეს ფედერაციათა საბჭოს პრეს-სამსახურში. პარლამენტის სპიკერი, როგორც ჩანს, მოსკოველ ჟურნალისტებს ნაკლებად ენდობა.

სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული ინფორმაციით, "კავკასიური ოთხეულის" დიალოგს არ აქვს ერთიანი რეგლამენტი და რადგანაც იქ ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინაშე მდგომ მწვავე პრობლემებზეა საუბარი, სპიკერები პრესისათვის დახურულ რეჟიმში მუშაობენ. არაფორმალური, ანუ "უჰალსტუხო" ფორმატი მშვენივრად შეესაბამება აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტართა გაუცხოებას. როგორც ამბობენ, მირონოვმა მათ ორი დღით შერიგება ურჩია. ასე აღმოჩნდნენ ტავრიული დარბაზის მოლაპარაკებების საერთო მაგიდასთან არმენ ხაჩატრიანი, მურთაზ ალესკეროვი, ნინო ბურჯანაძე და სერგეი მირონოვი. პეტერბურგელ ჟურნალისტებს კი განუმარტეს, რომ ამ შეხვედრის იდეა მაისში, მირონოვის თბილისში ყოფნისას დაიბადა. ამით რუსმა სპიკერმა ხაზი გაუსვა ამიერკავკასიური პრობლემების დარეგულირებაში საქართველოს საკვანძო როლსა და ადგილს.

სანკტ-პეტერბურგულ შეხვედრაზე ითქვა, რომ, რუსეთის გენერალური პროკურატურის მოთხოვნის შესაბამისად, გადაწყვეტილია რუსეთსა და საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირების ექსტრადიცია. მირონოვმა აღნიშნა, რომ ამ პროცესს ორმხრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა შესაშური ოპერატიულობით უპასუხეს დროის ამ აქტუალურ მოთხოვნას და ურეკში მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების ერთ-ერთი ორგანიზატორი დაიკავეს. ამ საქმეში ეჭვმიტანილი გოჩიაევი დღეს რუსეთის სპეცსამსახურების ხელშია და ერთმა ალაჰმა უწყის, რამდენ თანამოაზრეს "ჩაუშვებს". თუმცა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არ სჯერათ, რომ ამ "ჩაშვებას" ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. **"ეს აქცია დღეს საქართველოს ხელისუფლებას, ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების წინ, რუსეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად სჭირდება, რაც შევარდნაძის რეჟიმისათვის დღეს ისევე აუცილებელია, როგორც ნებისმიერი მეთოდით აფხაზეთის საქართველოსათვის დაბრუნება,"** - უთხრა 24 საათს რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ექსპერტმა.

"კავკასიური ოთხეულის" ყურადღების ცენტრშია რეგიონული ეთნოკონფლიქტების მწვავე საკითხები და დარეგულირების სამშვიდობო პროცესში რუსეთის მონაწილეობის აქტუალობა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტიისა.

"კავკასიური დარეგულირების გადადება დაუშვებელია," - უთხრა პეტერბურგელ ჟურნალისტებს სერგეი მირონოვმა. იგი იძლევა დაპირებას, რომ **"მოსკოვის მიერ შეთავაზებული დარეგულირების მოდელი მოკლებული არ იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს".**

ოთხი სახელმწიფოს პარლამენტის სპიკერებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ პარლამენტარებმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

"კავკასიური ოთხეულის" შეხვედრა პეტერბურგში დღესაც გაგრძელდება, რის შემდეგაც მოსკოვში ერთად გამოფრინდებიან სერგეი მირონოვი და ნინო ბურჯანაძე. რაზე ილაპარაკებენ გზაში რუსი და ქართველი კოლეგები, ამის თაობაზე ნინო ბურჯანაძე შერემეტიევოს აეროპორტის პრესდარბაზში ისაუბრებს, თბილისში გაფრენადმე დარჩენილ დროში. აქ მას მოსკოველი ჟურნალისტები უდარაჯებენ. ქართველი სპიკერი რუსეთის დედაქალაქში დარჩენას არ აპირებს.

დეპუტატები პარლამენტში საარჩევნო თემატიკამაც ვერ შეიტყუა

თამარ ხორბალაძე

თბილისურ სიცხეს გარიდებული დეპუტატები გუშინ პარლამენტში საარჩევნო თემატიკამაც ვერ შეიტყუა. საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც სულ სამი თვე აქვს მიცემული 1999 წლიდან დღემდე საარჩევნო დარღვევების ფაქტების შესასწავლად, გუშინ 5-კაციანი შემადგენლობით შეიკრიბა.

რა თქმა უნდა, ქვორუმი არ შედგა და დამსწრეთა რიცხვი არ გახლდათ საკმარისი სხდომის გასამართად. დეპუტატთა ასეთი სიმცირე სხდომის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ "დეპუტატთა ნაწილის ქალაქგარეთ ყოფნით, ზოგიერთი დეპუტატის მანქანის შუა გზაზე გაფუჭებით" და სხვა "საპატიო მიზეზებით" ახსნა. თავად კომისიის თავმჯდომარე ზაქრო ქუცნაშვილი აშშ-ში იმყოფება ვიზიტად და საპატიოზე საპატიო მიზეზი გააჩნია.

აღნიშნული კომისია ამა წლის ივნისში "დეპუტატთა დიდი მცდელობის" შედეგად შეიქმნა და მიზნად "სასამართლოგავლილი" და "სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩენილი" ფაქტების შესწავლა დაისახა. კომისიის საბოლოო დიადი მიზანი კი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დარღვევების საფუძვლების აღმოფხვრაა. თუ გავითვალისწინებთ იმ სამზადისს, რომელიც მომავალი არჩევნების წინ უკვე აქტიურად არის დაწყებული, გუშინდელი სხდომის ასეთი უგულებელყოფა გასაკვირი გახლდათ.

ამის შესახებ გუშინვე განაცხადა "ტრადიციონალისტმა" ალეკო შალამბერიძემ: **"თუ არ უნდოდათ კომისიის შექმნა, ნუ შევქმნიდით... მით უმეტეს, რომ ჩვენი დრო შემოსაზღვრულია. ასეთ ფონზე მე აქტიურად ვიბრძოლებ პარლამენტის რაოდენობის შესამცირებლად და 100 კაცამდე დასაყვანად, რადგან დიდ რაოდენობაში უპასუხისმგებლო დეპუტატი უფრო ადვილად იკარგება."**

სხდომის თავმჯდომარემ კი გუშინვე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ კომისიას სამუშაო ვადა უნდა გაუხანგრძლივდეს.

მისი ინფორმაციით, დღემდე კომისიაში სულ სამი დარღვევის ფაქტის შესახებ არის შესული განაცხადი.

ფაქტების მოსაზიდად კომისიამ გუშინ პრესას თანადგომა სთხოვა.

"იმის გამო, რომ კომისიას შეზღუდულ დროში მოუწევს დასკვნების გაკეთება, გთხოვთ, შემოიფარგლოთ ინფორმაციით ისეთი დარღვევების შესახებ, რომელთა დამადასტურებელი საბუთებიც ხელთ გაქვთ ან რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია საარჩევნო კომისიებში დაცული საბუთების შესწავლით.

გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ დარღვევებზე: თანასწორუფლებიანობის დარღვევა; ამომრჩევლის ან კანდიდატის იძულება; მუქარა; სიტყვის თავისუფლების ხელყოფა; ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა; დევნა; შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა; ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა; ხმების არასწორად დათვლა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა," - აღნიშნულია მიმართვაში, რომლის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება პრესას ეთხოვა. საქართველოს პარლამენტისთვის ამ დარღვევების შესახებ შეტყობინება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. საკონტაქტო ტელეფონია 999379. საზოგადოების აქტიურობა, სავარაუდოდ, შეიძლება პარლამენტართა აქტიურობის მიზეზად იქცეს, თორემ აღნიშნული დროებითი საგამოძიებო კომისია, ისევე, როგორც მისი ბევრი წინამორბედი და "თანამოქმედი", საპარლამენტო ქაღალდზე დარჩება.

გაკოტრდა თუ არა „ფრონტერა?„

ბეიკერის ფინანსური ჯგუფი აზერბაიჯანიდან გააძევეს

მაია ურუშაძე

1997 წელს საქართველოში დიდი ბუმით შემოვიდა ამერიკული კომპანია "ფრონტერა", რომელსაც ტარიბანის საბადოებზე უახლოესი 25 წლის განმავლობაში 230 მილიონი ბარელი ნავთობი უნდა მოეპოვებინა. ის თავის დროზე დაინტერესებული იყო ნავთობის ტრანზიტით და ნავთობსადენის მშენებლობაშიც სურდა მონაწილეობა, მაგრამ შემდგომ მოვლენები "ფრონტერასთვის" ნაკლებ სასურველი გზით განვითარდა. დღემდე კომპანიამ თავიდან დაგეგმილი რაოდენობის მხოლოდ 0,1 პროცენტის მოპოვება შეძლო.

"ფრონტერა" კერძო კომპანიაა, სადაც ამერიკელ ექს-სენატორთა და ჯორჯ ბეიკერის ჯგუფის სერიოზული ინტერესები იყრის თავს. "ფრონტერას" მფლობელები გავლენიანი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეები და ბიზნესმენები არიან, რომლებსაც ეს კომპანია კასპიისპირა რეგიონებში ნავთობის მოპოვებითი და სატრანზიტო ინტერესების განსახორციელებლად შექმნეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "ფრონტერა" მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე ნავთობის ძიებით იყო დაინტერესებული. შესაბამისად, სხვა საერთაშორისო კომპანიებისგან განსხვავებით, მისი ინტერესები კავკასიის რეგიონს არ გასცილებია.

აზერბაიჯანის მხრიდან "ფრონტერას" მიერ აღებულ იქნა ყიურსანღი-ყარაბაღლის საბადო, რომელიც მის მიერ საქართველოში აღებულ ტერიტორიას ესაზღვრება. აზერბაიჯანულ საბადოზე კომპანიის ინტერესი 30 პროცენტით განისაზღვრებოდა. "ფრონტერასთან" ერთად საბადოს მენილეები იყვნენ "დელტა ჰესი" (ამერიკული კომპანია "ამერანდა ჰეს"-ის შვილობილი - 20 პროცენტი) და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (50 პროცენტი). მაგრამ 2001 წელს, ევრობანკის ჩარევით, "ფრონტერამ" საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში დატოვა აზერბაიჯანის ტერიტორია. ამ ფაქტს მისი აქციების ფასის მკვეთრი დაცემა მოჰყვა, რამაც სერიოზული ეჭვები წარმოშვა კომპანიის გაკოტრებასთან დაკავშირებით.

თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე კომპანიის მიერ ბოლო დროს განახლებული მოლაპარაკებები 2001 წელს შეჩერებული საძიებო სამუშაოების განახლების შესახებ საპირისპირო სურათს ქმნის. ტერიტორია, რომლითაც "ფრონტერას" საქართველოს ჯგუფი დაინტერესდა, კახეთში, აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე "ფრონტერა" 1997 წლის 25 ივნისს შევიდა. 14 ნოემბრიდან კი, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტრომ მასზე ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზია გასცა, ნავთობის ძიება დაიწყო. "ფრონტერას" განკარგულებაშია მირზაანის, ნაზარლების, ტარიბანისა და ბაიდას საბადოები, ორი საბადო კი – მწარე ხევი და პატარა შირაქი – კომპანიას რეზერვში აქვს. მის მიერ "საქნავთობთან" და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, მისი მოგების წილი ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობიდან 49 პროცენტს შეადგენს. მოგების განაწილება კი მას შემდეგ მოხდება, რაც ინვესტორი საკუთარ ხარჯებს აინაზღაურებს. კომპანიამ წარმოებულ სამუშაოებში 62 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა, ჭაბურღილებიდან კი 2 მილიონზე მეტი ღირებულების ნავთობი არ ამოუღია. ამის მიუხედავად, "ფრონტერა" აპირებს, განაახლოს ბურღვითი სამუშაოები, რაც 2001 წლის, ანუ გერმანულ "შლუმბერჟესთან" დამშვიდობების შემდეგ აღარ უწარმოებია. სამუშაოების შეჩერების მიზეზი ტარიბანის საბადოზე გაჩენილი ის ქვიშის საცობი გახდა, რომლის წინაშეც საერთაშორისო გამოცდილების მქონე "შლუმბერჟე" უძლური აღმოჩნდა. ამჟამად "ფრონტერა" მოლაპარაკებას ჩინურ "პეტროჩაინასთან" აწარმოებს, რადგან, თავიანთი ნიადაგის სპეციფიკის გამო, ჩინელებს ტარიბანის საბადოზე არსებული პრობლემების მსგავს შემთხვევებთან მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ჩინელები "ფრონტერას" წილში 25-პროცენტიანი ინტერესით შევლენ – ამ გადაწყვეტილების მიღებაში მათ ის წინასწარი მონაცემებიც ეხმარებათ, რომელთა მიხედვითაც "ფრონტერა" თავიდანვე ვარაუდობდა მის მიერ ლიცენზირებულ რეგიონში მილიარდ ტონამდე ნავთობის პოტენციალს. "ფრონტერას" აღმასრულებელი დირექტორი სტივ ნიკანდროსი პრესას ხმამაღლა უცხადებს, რომ კომპანია ტარიბანის საბადოებზე მუშაობის განახლებას უკვე სექტემბრის შუა რიცხვებისთვის გეგმავს.

საქართველოში სამუშაოების ინტენსიფიკაცია "ფრონტერას" ფინანსური სიძნელეების შესახებ ეჭვს არ ადასტურებს. სანდო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია კი მეტყველებს, რომ აზერბაიჯანში "ფრონტერას" არცთუ კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ ალიევთან დაახლოებულ იმ ჯგუფებთან, რომლებიც ქვეყნის ნავთობსექტორს არალეგალურად აკონტროლებენ. როგორც ჩანს, კომპანიის მიერ აზერბაიჯანის რეგიონიდან წამოსვლა და მის მიერ მომგებიანი საბადოს მიტოვება აზერბაიჯანის ნავთობკომპანიის ინტერესების ზრდასთან და ქვეყნის შიდა ინტრიგებთან უნდა იყოს დაკავშირებული. თუმცა, "ფრონტერას" წარმომადგენლები კომპანიის მიერ ტერიტორიის დათმობის მიზეზების კომენტირებისგან თავს იკავებენ. აზერბაიჯანის მხარესთან საკონტრაქტო პირობების გაწყვეტის დეტალებიც ერთობ გასაიდუმლოებულია.

ნებისმიერ შემთხვევაში, აზერბაიჯანის მხარე "ფრონტერას" წილს მალე გაასხვისებს, საქართველოს ნავთობსექტორის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინვესტორი კომპანიის ინტერესები კი მხოლოდ კახეთის ნავთობზე დარჩა ორიენტირებული.

თბილისი კვლავ გაზის მოლოდინშია

სოფიკო ოხანაშვილი

"თბილგაზის" გენერალური დირექტორის ***ვახტანგ ცაავას*** *დაპირება, რომ სამგორსა და გლდანს 14 ივლისს გაზი ექნებოდა, მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. ბუნებრივი აირის მიწოდება გლდანის რამდენიმე კორპუსს განუახლდა, დანარჩენი მოსახლეობა კვლავ გაზის გარეშეა.*

"თბილგაზის" ინფორმაციით, თბილისის გაზის გარეშე დატოვების მიზეზი ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში მომხდარი ავარია გახდა. **"დღესაც მაგ ავარიის ადგილზე მივდივართ. გუშინ მთელი დღე იქ ვიყავით, ვცდილობდით აღდგენითი სამუშაოები დაგვემთავრებინა, რათა მოსახლეობისთვის შეპირებისამებრ მიგვეწოდებინა გაზი. ჩასართველად გავდიოდით, როცა საავარიო განყოფილებებიდან შეგვატყობინეს ვარკეთილში აღმოჩენილი დაზიანების შესახებ. ვეცდებით, დღეს დავამთავროთ შეკეთება და თუ რაღაც საგანგაშო არ მოხდა, ხვალ ნავთლუღში გაზი გავუშვათ,"** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა "თბილგაზის" ბუნებრივი აირის მიღება-განაწილების დეპარტამენტის უფროსმა **საშა მელიმონაძემ.**

ავარიის შედეგად "თბილგაზმა" დიდი რაოდენობით ბუნებრივი აირი იზარალა. "თბილგაზის" ინფორმაციით, გამოსაცდელ ტერიტორიაზე, რომელიც 30 კილომეტრია, ავარიის აღმოჩენის პირველ დღეებში ბუნებრივი აირის დანაკარგი საათში შეადგენდა 800 კუბურ მეტრს. ორი დაზიანებული ადგილის შეკეთების შემდეგ დანაკარგი 150 კუბურ მეტრამდე შემცირდა. **"მნიშვნელოვანია, რომ საუბარია მაღალი წნევის გაზსადენის მხოლოდ 30 კილომეტრიან მონაკვეთზე. მილში 43 ათასი კუბური მეტრი გაზი შევუშვით, სამი დღის მერე გავზომეთ და მხოლოდ 10 ათასი იყო. ეს საცდელი გაშვება იყო და მიღებული შედეგით აშკარაა, რომ სერიოზული მუშაობა გვაქვს ჩასატარებელი,"** - აღნიშნა საშა მელიმონაძემ.

თბილისისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეფერხებას ეჭვით უყურებენ "საქგაზში". მათ ავარიების არ სჯერათ. **"ძალიან მიკვირს, რაღა მაინცადამაინც ახლა მოხდა ეს ავარია. ჩვენ პარასკევიდან "თბილგაზს" 33 ათასი კუბური მეტრი გაზი მივაწოდეთ, მოსახლეობას კი ჯერ არ მიუღია ბუნებრივი აირი. ეს ფაქტი სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის "იტერასთან." "თბილგაზის" მოთხოვნით გაზი გამოვიწერეთ, ქართული მხარე კი რეალიზაციაში ვერ უშვებს,"** - გაკვირვება ვერ დამალა "საქგაზის" პრესმდივანმა **მაკა არახამიამ.**

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შეიძლება ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს, მოსახლეობის დავალიანებაა "თბილგაზის" მიმართ, რომელმაც, ვახტანგ ცაავას განცხადებით, ორი მილიონი ლარი შეადგინა. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ ბუნებრივი აირის ჩართვის მომენტში აუცილებლად გაითვალისწინებენ დავალიანებას. **"გაზის მიწოდება განუახლდებათ მხოლოდ იმ კორპუსებს, რომელთაც მოხმარებული გაზის 80 პროცენტი მაინც გადახდილი აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი კორპუსი ბუნებრივი აირის გარეშე დარჩება,"** - აცხადებს მელიმონიძე. რაც შეეხება კერძო დასახლებებს, იქ ბუნებრივი აირის გათიშვა ინდივიდუალური წესით მოხდება. გუშინ მერიაში გამართული თათბირიდან გაირკვა, რომ "თბილგაზს" სადარბაზოებში უკვე გაკრული აქვს მოთხოვნა-განცხადებები იმ აბონენტების მისამართით, ვისაც "თბილგაზის" ვალი აქვთ. "თბილგაზის" ხელმძღვანელობა დათმობაზე წასვლას არ აპირებს და მოსახლეობას დავალიანების დაფარვისკენ მოუწოდებს. **"დავალიანებები და დანაკარგები მინიმუმამდე უნდა შევამციროთ,"** - ასეთია "თბილგაზის" განწყობა.

"ვიაგრას" ბლიუს "ნიკორეტი"

ამერიკაში ფარმაცევტული მონსტრი შეიქმნა

თორნიკე შარაშენიძე

გუშინ საქმიან სამყაროს ახალი მონსტრი მოევლინა. აშშ-ის ერთ-ერთმა უდიდესმა ფარმაცევტულმა კომპანია "პფაიზერმა" შეთანხმებას მიაღწია ფარმაცევტიკის კიდევ ერთ გიგანტ "ფარმაციასთან" ამ უკანასკნელის შესყიდვის თაობაზე. ეს გარიგება 60 მლრდ დოლარი დაჯდება (როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ტრანსაქცია მოხდება არა მხოლოდ ნაღდი ფულის, არამედ აქციებისა და სხვა კაპიტალის მეშვეობით) და, მისი წყალობით, "პფაიზერი" უპირობო ლიდერად იქცევა ფარმაცევტიკის მსოფლიო ბაზარზე.

საერთოდ, გაერთიანებების სერია კორპორაციულ სამყაროში დიდი ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ ფარმაცევტიკულ სფეროს იგი აქამდე სერიოზულად არ შეხებია. იყო გრანდიოზული გარიგებები მანქანათმშენებლობაში ("დაიმლერისა" და "კრაისლერის" შერწყმა), ნავთობში ("ექსონი" და "მობილი"), მაგრამ მედიკამენტებს ამ ბუმმა გვერდი აუარა. მიზეზი, ალბათ, ის გახლავთ, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე ეკონომიას არავინ აკეთებს. შეიძლება, მომხმარებელს აღარ მოუნდეს ახალი მანქანის ყიდვა და ამით "დაიმლერებმა" სერიოზულად იზარალონ; შეიძლება, ნავთობი ძალიან გაიაფდეს და ამით ცუდად წაუვიდეთ საქმე როკფელერის შთამომავლებს; ასეთ დროს კომპანიები ცდილობენ, სხვას შეეკრან, რათა როგორმე კრიზისს გადაურჩნენ; მაგრამ ფარმაცევტიკაში ასეთი საჭიროება არ ჩანდა – მედიკამენტებს ხომ არც მოთხოვნილების დაცემა ემუქრება და არც გაიაფება.

სწორედ ამ მიზეზის გამო ფარმაცევტულ ბაზარზე გამოკვეთილი ლიდერი არ არსებობდა. "პფაიზერი," როგორც უკვე ვახსენეთ, "ფარმაციას" შესყიდვის შემდეგ უპირობო ლიდერი ხდება, მაგრამ იგი, მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბაზრის მხოლოდ 11 პროცენტს გააკონტროლებს. ლიდერისათვის ნამდვილად მოკრძალებული პროცენტია. შედარებისათვის, "მაიკროსოფტს" საოპერაციო სისტემების ბაზრის 90 პროცენტზე მეტი უჭირავს – პერსონალური კომპიუტერების აბსოლუტური უმრავლესობა "უინდოუზზე" მუშაობს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოკრძალებული საბაზრო წილის გამოისობით კომპანიებს არანაირი პრობლემები არ უნდა შეექმნათ ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან და გარიგება დაუბრკოლებლად უნდა შედგეს.

გაერთიანების შედეგად შექმნილი ახალი გიგანტის ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით 48 მლრდ დოლარი იქნება, კომპანიის ნუსხაში შევა ამერიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული წამლები. "პფაიზერი" ისედაც უშვებდა ანტიდეპრესანტ "ზოლოვს," ქოლესტერინის დამწევ "ლიპიტორსა" და "ვიაგრას" (რომელსაც წარდგენა არ სჭირდება). ახლა ამას დაემატება "ფარმაციას" პრეპარატები: ნაღვლის ბუშტის წამალი "დეტროლი" და ართრიტის მკურნალი "სელებრექსი." გარდა ამისა, "ფარმაცია" აწარმოებს "ნიკორეტის" საღეჭ კევს, რომელიც მწეველებს სიგარეტის გადაგდებაში ეხმარება.

"პფაიზერი" ისედაც პირველი ფარმაცევტული კომპანია გახლდათ მსოფლიოში. იგი ბაზრის 8 პროცენტს აკონტროლებდა, თუმცა მას სულ ოდნავ ჩამორჩებოდა "გლაქსოსმიტ-კლაინი," რომელსაც 7,3 პროცენტი ეჭირა. "ფარმაციას" ხელში ჩაგდების შემდეგ კომპანია ამერიკის გარდა პირველობას მოიპოვებს ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. მას საშუალება ექნება, აღარ გააძვიროს ზოგიერთი წამალი, რომელთა წარმოებაც ძვირი უჯდებოდა; "ფარმაციას" შესყიდვა "პფაიზერს" საშუალებას მისცემს, განახორციელოს ე.წ. მასშტაბური ეკონომიკა, რაც დაახლოებით ნიშნავს მუშახელის, კაპიტალისა და მენეჯმენტის რესურსების პროპორციული ზრდის გზით წარმოების გაიაფებასა და გაზრდას.

გარიგების პირობების თანახმად, "პფაიზერის" 1,4 აქცია "ფარმაციას` ერთ აქციაზე გაიცვლება. "პფაიზერის" აქციონერები გაერთიანებული კომპანიის 77 პროცენტს გააკონტროლებენ, დანარჩენი კი "ფარმაციას" დარჩება.

მოკლედ, მასშტაბური ეკონომიკის, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისა თუ სხვა მიზნებით, გაერთიანებებმა ფარმაცევტულ კომპანიებშიც იფეთქა. სავარაუდოდ, "გლაქსოსმიტ-კლაინი" გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ გაჩერდება. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ეს უკანასკნელი "ბრისტოლ-მაიერს სქუიბის" შესყიდვას აპირებს. სავარაუდოდ, ამ ცნობას ჩვენ კიდევ ერთხელ მოვისმენთ, თანაც -- ძალიან მალე, უფრო დამაჯერებელ და საქმიან ტონში.

სავალუტო ფონდმა საქართველოს პროგრამა აღუდგინა

გამოყოფილ 30 მილიონს ქვეყანა მსოფლიო ბანკის დასკვნის შემდეგ მიიღებს

გვანცა კვინიკაძე

სავალუტო ფონდის (სსფ) დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის პროგრამის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს წარმატება "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" მეორე განხილვამ მოუტანა, რომლის ფარგლებშიც სსფ ქვეყანას, დაახლოებით, 30 მილიონ დოლარს გამოუყოფს. თუმცა, ფონდის ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ გახდება ეფექტური, რაც საქართველოს პროგრამას მსოფლიო ბანკიც მოიწონებს. ეს კი, სავარაუდოდ, ორ კვირაში, ანუ მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომის შემდეგ არის მოსალოდნელი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ სსფ-ს რამდენიმე მოთხოვნა შეასრულა, პროგრამის ასე უპრობლემოდ აღდგენა საკმაოდ მოულოდნელი იყო. გამოყოფილი ტრანში ხელისუფლებას, მიმდინარე ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქების გარდა, საგარეო ვალების რესტრუქტურიზების მიღწევაშიც მნიშვნელოვნად დაეხმარება. ცნობილია, რომ, საგარეო ვალების მხრივ, 2003 წლიდან საქართველოს მეტად მძიმე ვალდებულებები დაანვება. "პარიზის კლუბის" ფარგლებში კი ნებისმიერი ქვეყნისთვის ვალების რესტრუქტურიზების მიღწევის ერთ-ერთი უმთავრეს პირობას სსფ-თან მიმდინარე პროგრამის არსებობა წარმოადგენს.

ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, თემურ ბასილიას განცხადებით, საქართველოს თხოვნის შესაბამისად, "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" მონიტორინგს ფონდი ყოველ ექვს თვეში განახორციელებს და შესაბამისად, მორიგი ტრანშის მიღების საკითხიც ასეთი პერიოდულობით გადაწყდება. პარასკევს გამოყოფილი 30 მილიონ დოლარიან ტრანშს საქართველო წლევანდელი წლის პირველი ნახევრის ანგარიშში მიიღებს, ასე რომ, წლის ბოლოსთვის ბასილია სსფ-განკიდევ ერთი, 24 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის მიღებას იმედოვნებს. საერთოდაც, ამიერიდან ქვეყანა, ფონდის პროგრამის ფარგლებში, 24-24 მილიონიან ტრანშებს მიიღებს.

მართალია, სსფ-სა და მსოფლიო ბანკს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ და ერთმანეთის აზრს მნიშვნელოვნად ითვალისწინებენ, მაგრამ მსოფლიო ბანკს საქართველოსთან თავისი "ანგარიშები" აქვს. ეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი საქართველოსგან ჯანდაცვის, განათლების და პრივატიზაციის სფეროში რეფორმების გატარებას ითხოვს. ბოლო პერიოდში საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის წარმოქმნილი გარკვეული დაძაბულობის მიუხედავად, ბასილიას იმედი აქვს, რომ, სსფ-ს მსგავსად, მთავრობის საქმიანობა დადებით შეფასებას მსოფლიო ბანკისგანაც დაიმსახურებს.

სრტუქტურული რეფორმების მხრივ, თავად სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, ძირითადად, ენერგეტიკისა და ფინანსურ სფეროებს შეეხება. ფონდი მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ ახლახან მიღებული ენერგოსექტორის ვალების დაფარვის სტრატეგიის შესრულება დაიწყოს, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დარგის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებისკენ. **"მთავრობამ აქტიურად უნდა იმუშაოს მსოფლიო ბანკსა და სხვა ორგანიზაციებთან, რათა ამაღლდეს ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი და, მთლიანად, სექტორის ეფექტურობა,"** – განაცხადა სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილემ, **შიგემიცუ სუგისაკიმ** დირექტორთა საბჭოს სხდომაზე. ფინანსურ სექტორში კი სსფ ერთვნული ბანკის მიერ მისთვის რეგულირების სფეროში მინიჭებული ახალი შესაძლებლობების ამოქმედებას ელის, რამაც საბანკო სფეროს მმართველობისა და გამჭვირვალობის მხრივ პროგრესის მიღწევას უნდა შეუწყოს ხელი.

სუგისაკიმ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ თავისი სამწლიანი პროგრამის განხორციელებაში წინ მნიშვნელოვნად წაიწია და რთული საგარეო პირობების მიუხედავად, ქვეყანაში ეკონომიკის საკმაოდ ძლიერი ზრდა დაფიქსირდა. სსფ-ს განსაკუთრებული მოწონება საქართველოს ფისკალურ სფეროში განხორციელებულმა უკანასკნელმა ცვლილებებმა დაიმსახურა, რომელთა წყალობით გაძლიერდა ხარჯების მართვა და შემოსავლების ადმინისტრირება. **"ივნისში განხორციელებულმა საგადასახადო ცვლილებებმა გაუქმა რამდენიმე გამონაკლისი და შეღავათი, რომლებიც წლების განმავლობაში შლიდა საგადასახადო ბაზას. საბაჟო-საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გაძლიერება გადამწყვეტი იქნება შემოსავლების ამოღების დონის ამაღლებისთვის,"** – მიაჩნია სუგისაკის.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პოზიტიურ ფონზე წარიმართება სსფ-ს მისიის მორიგი ვიზიტი, რომელიც მომავალ ხუთშაბათს დაიწყება და 10 დღეს გასტანს. მისია გასული ექვსი თვის შედეგებს და წლის მეორე ნახევრის პერსპექტივებს განიხილავს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, **ლევან ჩრდილელის** განცხადებით, მთავრობა მისიის ვიზიტს არც თუ ურიგო შედეგებით ხვდება. მისი თქმით, ბოლო პერიოდში საქართველომ პირველად შეძლო საგადასახადო შემოსავლების სსფ-ს პარამეტრის შესრულება. თუმცა, ბასილიას თქმით, ამ პარამეტრს ქვეყანა საკმაოდ ხშირად ასრულებს, მთავარ პრობლემას, როგორც წესი, საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება წარმოადგენს. ეს პარამეტრები მთავრობამ ვერც წელს, პირველ ექვს თვეში შეასრულა და სსფ-ს ბიუჯეტის 70 მილიონი ლარით გარღვევას უპატაკებს.

"სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" საქართველოში 2001 წლის იანვარში დაიწყო. სამწლიანი პროგრამის ფარგლებში, ქვეყანამ სსფ-განკ 144 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. მაგრამ ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემების გამო, საქართველოს დღემდე მხოლოდ 36 მილიონი დოლარი აქვს მიღებული, რაც, ტრადიციულად, ეროვნული ბანკის რეზერვების გამყარებას მოხმარდა.

ევრო და დოლარი გათანაბრდა

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დოლარის კურსი დაეცა. ერთი დოლარი ერთი ევროს ექვივალენტურია. ამგვარი რამ 2000 წლის თებერვლის შემდეგ პირველად მოხდა.

პარასკევს ერთი ევრო 99,14 ცენტი ღირდა; დღეს კი ერთ ევროში 1,0033 დოლარს იხდიან. 2000 წლის 24 თებერვლის მონაცემებთან, ანუ დოლარის ევროსთან მიმართებაში ყველაზე დაბალ კურსთან შედარებით, დოლარის ღირებულება 13 პროცენტითაა შემცირებული. ამერიკელი ექსპერტები დოლარის გაიაფების ასეთ ჩქარ ტემპებს არ ელოდნენ. დოლარის გაიაფება ნაზდაკის ინდექსის დაცემის პარალელურად ხდება. ნაზდაკის ინდექსი ასეთი დაბალი 1997 წლის შემდეგ არ ყოფილა.

ბრიტანეთი განათლების სფეროს დაფინანსებას ზრდის

ბრიტანეთის მთავრობამ განათლების, ჯანდაცვის, პოლიციის, ტრანსპორტისა და სამოქალაქო მშენებლობის დარგებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა გადაწყვიტა. უახლოეს სამ წელიწადში ეს დარგები 90 მილიარდ ფუნტს (140 მილიარდი დოლარი) მიიღებენ.

ბრიტანეთში ამ სოციალური ხარჯებიდან "ლომის წილი" განათლების სფეროს ერგება, რომლის ამჟამინდელი მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან როგორც ლეიბორისტები, ასევე – კონსერვატორებიც.

სკოლები და უნივერსიტეტები 12.5 მილიარდ ფუტს მიიღებენ, რაც მომავალ სამ წელიწადში განათლების დარგის დაფინანსების ექვსი პროცენტით გაზრდას ნიშნავს.

მიუხედავად ბრიტანული უნივერსიტეტების და კოლეჯების საქვეყნო დიდებისა, ქვეყნის განათლების სისტემა მძიმე მდგომარეობაშია. მასწავლებელთა ხელფასები ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე მცირეა. ამის გამო ბრიტანეთში მასწავლებელთა დეფიციტია. მთავრობა ამ პრობლემის გადაჭრას, ჯერჯერობით, დარგში დამატებითი თანხების გადაქაჩვით და უცხოელი მასწავლებლების დაქირავებით ახერხებს.

ისლამი, რეფორმები, სეპარატიზმი და ამერიკული მუქარა - ანუ კიდევ რამდენ ხანს გაძლებს ირანის ისლამური რეჟიმი

ხათამი

REUTERS

გიორგი ხელაშვილი

ბოლო დღეებში ირანის შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ პოლიტიკოსებიდან სასულიერო პირების წრეში გადაინაცვლა, მაგრამ ირანის ისლამური რეჟიმის დასასრულზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

ვინ გახდება ირანის ისლამური რეჟიმის მესაფლავე? ამ ისტორიული მისიის შესრულებას გასულ კვირამდე სულ სამი სერიოზული კანდიდატი ჰყავდა. გასულ კვირას კი მეოთხე ძალაც გამოჩნდა, რომელმაც, შეიძლება, სერიოზული ცვლილებები შეიტანოს ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კანდიდატებიდან პირველი და ყველაზე ძლიერი, რასაკვირველია, ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშია, რომელიც ირანის მმართველი რეჟიმის სამხედრო ძალით დამხობით ჯერ ღიად არ იმუქრება, მაგრამ საბოლოო უარსაც არ ამბობს.

მეორე კანდიდატად შეიძლება ირანის პოლიტიკური სპექტრის რეფორმატორულად განწყობილი ფრთა დავასახელოთ, რომელსაც უკვე დიდი გავლენა აქვს მოსახლეობაში და აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაშიც ბევრი მომხრე გააჩნია.

მესამე კანდიდატი აზერბაიჯანელების ეთნიკური სეპარატისტული მოძრაობაა, რომელიც სულ უფრო მეტ გავლენას იკრებს ქვეყნის ჩრდილოეთით, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ორ პროვინციაში.

მეოთხე, ახლად მოვლენილი კანდიდატი, ირანის გასულ კვირაში განდგომილი რელიგიური ლიდერი აიათოლა ჯალალედინ თაჰერი და მისი მომხრეებია.

დღევანდელ ირანში, ერთი შეხედვით, ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც 1980-იანი წლების მიწურულის საბჭოთა კავშირში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დაიშალა. ეწევა თუ არა ირანის ისლამურ რეჟიმს იგივე ბედი?

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ირანის პოლიტიკურ ვითარებას სტაბილურს ვერ უწოდებ, თუმცა ჯერ არც ქაოსისა და სისხლის ღვრის ნიშნები შეინიშნება და ისლამურ რეჟიმსაც რეალური დამხობის საფრთხე არ ემუქრება. ისლამისტების მესაფლავეობის ოთხივე კანდიდატს სერიოზული ნაკლი გააჩნია, რის გამოც ისინი ცალ-ცალკე, ერთმანეთის მხარდაჭერის გარეშე ვერაფრით შეძლებენ კონსერვატიულ ხელისუფლებასთან გამკლავებას.

მოდით, ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული ძალა.

რასაკვირველია, ამერიკელებს საკმარისი სამხედრო რესურსები გააჩნიათ ირანის ისლამური რეჟიმის დასამხობად, მაგრამ, პირდაპირი სამხედრო ჩარევის შემთხვევაში, მათ ირანის საზოგადოების მეტისმეტად პატარა ნაწილი დაუჭერდა მხარს. ამის აშკარა საბუთი გასული კვირის მოვლენები იყო. 9 ივლისს თეირანისა და ისფაჰანის სტუდენტებმა მრავალათასიანი დემონსტრაციებით აღნიშნეს 1999 წლის სტუდენტური გამოსვლების სამი წლისთავი. სტუდენტების ახალ გამოსვლებს გამოეხმაურა პრეზიდენტი ბუში, რომელმაც ირანის ხელმძღვანელობას რეფორმებისაკენ მოუწოდა. ბუშის გამოსვლას მწვავე კრიტიკით შეხვდნენ არა მარტო კონსერვატორები, არამედ პრეზიდენტ ხათამის რეფორმატორი მომხრეებიცა და სტუდენტებიც. მათ განაცხადეს, რომ პრეზიდენტ ბუშის დახმარება არ სჭირდებათ და თავად მოუვლიან თავიანთ საქმეს. გუშინ კი პრეზიდენტმა ხათამიმ პირდაპირ განაცხადა, რომ, უმჯობესია, პრეზიდენტმა ბუშმა ბოდიში მოიხადოს ირანის წინაშე, რათა ორ ქვეყანას შორის არსებული გაუცხოების "მაღალი კედელი" დაინგრეს.

აშკარაა, რომ ამერიკას ცოტა გავლენიანი ადგილობრივი მოკავშირე ჰყავს. ამის გარეშე ქვეყნის მთავრობის დამხობა და მასში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა კი ძნელი საქმეა. რა თქმა უნდა, ამერიკელებს შეუძლიათ, მოთმინებით აღიჭურვონ და ირანის კონსერვატიულ ხელისუფლებას მაშინ შეუტიონ, როდესაც ვითარება "მომწიფდება" და ხალხი ირანში, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირში, მზად იქნება დემოკრატიის ფასეულობების საჯარო აღიარებისთვის.

მაგრამ ამერიკელებს სერიოზულად აფიქრებთ ირანის მიერ ბირთვული იარაღისა და მისი დანიშნულების ადგილზე მიტანის საშუალებების (უპირველეს ყოვლისა, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების) შექმნის პერსპექტივა. ჯერ კიდევ 1998 წელს ამერიკის კონგრესის სპეციალურმა კომიტეტმა, რომელსაც თავდაცვის ახლანდელი მინისტრი დონალდ რამსფელდი მეთაურობდა, დაასკვნა, რომ ირანის სარაკეტო პროგრამას "მისი შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში შეეძლებოდა ამერიკისათვის დიდი ზიანის მიყენება". მართლაც, ირანი ახლა მუშაობს "შაჰაბ-3" საშუალო მანძილის რაკეტის დამუშავებაზე, რომელიც შეიძლება მიწვდეს ისრაელს, მაგრამ ვერ მიაღწევს შეერთებულ შტატებს. ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, ამერიკამდე მიმღწევი ბალისტიკური რაკეტის აგებას ირანი 2015 წლამდე ვერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, ირანის ბირთვული პროგრამები ვაშინგტონის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს და აიძულებს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას, რომ ირანის რეჟიმის გაუვნებლობის საკითხი, რაც შეიძლება, მალე გადაწყვიტოს.

ისლამური რეჟიმის დამხობის მეორე შესაძლო ავტორი – ირანელ პოლიტიკოსთა რეფორმატორული ფრთა და მათი მხარდამჭერი ხალხი – შეიძლება მცირე რიცხოვნობას არ უჩიოდეს, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ნამდვილად არ ფლობს. ამ ფრთას მხარს უჭერს თავად პრეზიდენტი ხათამი, მისი მომხრე რამდენიმე მინისტრი, პარლამენტის წევრების მოზრდილი ნაწილი და ირანის ახალგაზრდობის უმეტესობა. ერთი შეხედვით, ეს სერიოზული პოლიტიკური კაპიტალია, მაგრამ რეფორმატორებს ირანში ძალაუფლების თითქმის არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ და მთელი მათი გავლენა ლამის მარტო სიტყვითა და მოწოდებებით ამოიწურება. ყოველნაირი შეიარაღებული ძალა – წესრიგისა და ზნეობის დამცველი, სამხედრო და უსაფრთხოების სტრუქტურები – მთლიანად კონსერვატორი რელიგიური ლიდერების ხელშია. ირანის უსაფრთხოების უზენაესი საბჭო, რომელიც მთლიანად უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტების – აიათოლების გავლენის ქვეშაა – ყოველნაირად ეწინააღმდეგება ნებისმიერ პროგრესულ ცვლილებას. გარდა ამისა, კონსერვატორებს ჰყავთ პრეზიდენტ ხათამის ალტერნატივა – ყოფილი პრეზიდენტი ალი-აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი, რომელიც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხათამის დამარცხებისთვის ემზადება.

ისლამური რეჟიმისათვის შექმნილი მესამე საფრთხე – ირანის ჩრდილოეთში მცხოვრები აზერბაიჯანული უმცირესობის ეთნიკური სეპარატიზმი – მეტისმეტად არაკოორდინირებულია იმისთვის, რომ თეირანის ხელისუფლების დამხობა გამოიწვიოს. თანაც, ჩრდილოეთის აზერბაიჯანული მოსახლეობა შედარებითი რელიგიური კონსერვატიზმით გამოირჩევა და ბევრი მათგანისათვის შიიტური რელიგიური თვითშეგნება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეთნიკური აზერბაიჯანული ცნობიერება. გარდა ამისა, ირანის მეზობელ აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკას, ჰეიდარ ალიევის მეთაურობით, ჯერ არ გააჩნია იმის საშუალება, რომ სერიოზულად დაუჭიროს მხარი თანამოძმეების სეპარატისტულ მოძრაობას ირანის ჩრდილოეთში.

თუმცა, ამ საფრთხის უგულებელყოფა ირანის ხელისუფლებისათვის წინდაუხედაობა იქნებოდა. აზერბაიჯანელების სეპარატისტული მოძრაობა დღითიდღე ძლიერდება. სულ ორი კვირის წინ ათეულ ათასობით ირანელმა აზერბაიჯანელმა აღნიშნა მეცხრე საუკუნის აზერბაიჯანელი ეროვნული გმირის, ბაბექის მოხსენიების დღესასწაული. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ ირანის ხელისუფლების მიერ სომხეთისათვის გაწეული დახმარების გამო. "გაუმარჯოს აზერბაიჯანს, ძირს სომხეთი!" – ეს იყო ყველაზე პოპულარული ლოზუნგი დემონსტრანტებს შორის.

და ბოლოს, რომელია ის მეოთხე საფრთხე, რომელმაც შეიძლება ირანის ისლამური რეჟიმის საფუძვლები შეარყიოს? ამ კითხვას გასულმა კვირამ გასცა პასუხი. ირანის ისლამური რესპუბლიკის არსებობის 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში პირველად მოხდა განხეთქილება ირანის მმართველ რელიგიურ ლიდერებს – აიათოლებს შორის. ისფაჰანის მთავარმა იმამმა, 76 წლის აიათოლა ჯალალედინ თაჰერიმ თავის კოლეგებს ღია წერილით მიმართა, რომელშიც მმართველ რელიგიურ მოღვაწეებსა და ქვეყნის უმაღლეს სასულიერო პირს, პირადად აიათოლა ალი ხამენეის ბრალი დასდო ირანში ყველა დონეზე გამეფებულ კორუფციაში, ქაოსში, მექრთამეობაში, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების ზრდასა და არჩეული პარლამენტის მუშაობის შეფერხებაში. ამ ღია წერილის გამოქვეყნების შემდეგ აიათოლა თაჰერი თანამდებობიდან გადადგა.

აიათოლა თაჰერის ადრეც სწამებდნენ რეფორმატორებისადმი სიმპათიებს, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ იგი რელიგიური მმართველობის ღია კრიტიკით გამოვიდოდა. ირანში უმაღლესი სასულიერო ლიდერის საჯარო კრიტიკა ძალიან მძიმედ ისჯება, სიკვდილითაც კი. აქამდე ამგვარ კრიტიკას მხოლოდ ლიბერალურად განწყობილი სტუდენტები და ცალკეული ჟურნალისტები თუ ბედავდნენ, ახლა კი მას ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა რელიგიურმა პირმა მიმართა.

თაჰერის განცხადებამ ირანში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მის გამოსვლას მხარი დაუჭირა 290-წევრიანი პარლამენტის 125 დეპუტატმა. წერილის თემა მოსახლეობამაც აიტაცა. ჯერჯერობით ირანის რელიგიურ ხელისუფლებას წერილზე მწვავე რეაქცია არ გამოუვლენია. უმაღლესმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენეიმ დიპლომატიურად განაცხადა, რომ იზიარებს აიათოლა ჯალალედინ თაჰერის ზოგიერთ მოსაზრებას. თავად თაჰერიმაც შეარბილა ტონი და აღარ გაამწვავა თავისი წერილით გამოწვეული აღშფოთება. როგორც ჩანს, იგი რევოლუციონერობას თავიდანვე არ აპირებდა და ახლა უფრო ერთიანობის შენარჩუნებას უჭერს მხარს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ირანის შიდა და საგარეო პოლიტიკაში მოქმედი ძალებიდან არც ერთს – არც შეერთებულ შტატებს, არც რეფორმატორ პოლიტიკოსებს, არც სეპარატისტულ ეთნიკურ მოძრაობებს და არც განდგომილ სასულიერო ლიდერებს – არ გააჩნიათ საკმარისი ძალაუფლება და გავლენა იმისათვის, რომ, ერთმანეთთან კავშირის გარეშე, ირანის ისლამური რეჟიმის შეცვლა მოახერხონ. ოთხივე ძალის ინტერესები და მსოფლმხედველობა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათი გაერთიანების საფუძვლის მოძებნა შეუძლებელი უნდა იყოს. შესაბამისად, ირანში ხელისუფლების შეცვლაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ᲦᲘᲦᲚᲘᲡ „ᲦᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲦᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 2002.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ: http://www.osi.hu/ipf/apply.html

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ 2003 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ: http://www.osi.hu/ipf/apply.html. ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ 2003 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐ.

ᲓᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲦᲘᲐ ᲦᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, 380008 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲭᲝᲕᲚᲔᲡᲘᲡ 10,Ტ. 25-04-63, ᲐᲜ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲗ ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ: gaga@osgf.ge

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲕᲐᲓᲐᲐ 2002 Წ. 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.

საერთაშორისო ამბები

საპრეზიდენტო არჩევნები ინდოეთში

აბდულ ქალამი

REUTERS

ორშაბათს ინდოეთის მე-12 პრეზიდენტის არჩევნები შედგა. ამ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს არაპირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო პარლამენტის 776 წარმომადგენელმა და ინდოეთის 28 შტატის, 6 საკავშირო ტერიტორიისა და დედაქალაქის, დელის საკანონმდებლო კრებების (ასამბლეების) 4120 წარმომადგენელმა. ხმების დათვლის პროცედურა 18 ივლისს შედგება.

ადგილობრივი დამკვირვებლების ვარაუდით, შემდეგი 5 წლის განმავლობაში ინდოეთის პრეზიდენტი 71 წლის ცნობილი მეცნიერი აბდულ ქალამი იქნება. იგი კოალიციური მთავრობისა და ოპოზიციის (მემარცხენე ძალების გამოკლებით) საერთო კანდიდატია.

მემარცხენე ოპოზიციური ძალების კანდიდატი კი 87 წლის ლაქში სახგალაა, რომელიც ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მოძრაობის აქტიური მონაწილეა. ოპოზიცია აცნობიერებს, რომ მისი კანდიდატის შანსები მინიმალურია, მაგრამ ქალამს პრინციპულად არ უჭერს მხარს. ("რია ნოვოსტი")

თურქეთის პრემიერ-მინისტრი გადადგომას დასაშვებად მიიჩნევს



ბულენთ ეჯევითი

REUTERS

ორშაბათს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, ბულენთ ეჯევითმა განაცხადა, რომ შეიძლება გადადგეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპარლამენტო უმრავლესობა მის ხელში იქნება. პრემიერი არ დაელოდება კოალიციური მთავრობის მიერ პარლამენტში უმრავლესობის დაკარგვას. გაზეთმა "მილიეთმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეჯევითი არ გამორიცხავს გადადგომას იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის მინისტრი ქემალ დერვიში გადადგება.

7 მინისტრის გადადგომისა და 48 დეპუტატის კოალიციიდან გასვლის შემდეგ, ეჯევითის კოალიცია კვლავ ინარჩუნებს უმრავლესობას პარლამენტში, მაგრამ უახლოეს დღეებში, მოსალოდნელია, უმცირესობაშიც აღმოჩნდეს.

წინა კვირას ქემალ დერვიშმა ერთხელ უკვე გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, მაგრამ პრეზიდენტ სეზერის ჩარევის შემდეგ მთავრობაში დაბრუნდა. დერვიში აცხადებს, რომ მხარს უჭერს მემარცხენე-ცენტრისტულ ბლოკს, რომელიც საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ისმაილ ჯემმა ჩამოაყალიბა.

ორშაბათსვე ახალი ამბების სახელმწიფო სააგენტო "ანატოლია" ავრცელებს თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, თანსუ ჩილერის განცხადებას, რომელშიც იგი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის იდეალურ კანდიდატად საკუთარ თავს ასახელებს. კონსერვატორი ოპოზიციონერები ჩილერის წინადადებას მხარს უჭერენ. მათ მიაჩნიათ, რომ 1990-იან წლებში, სამხედრო დაპირისპირების პერიოდში შეძენილი გამოცდილება მას მიმდინარე კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. თანსუ ჩილერი 1993-1996 წლებში თურქეთის პრემიერი იყო. ამ წლებში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თურქეთისა და ერაყის მოსაზღვრე რაიონებში, მიმდინარეობდა ბრძოლა ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ. ჩილერი მიიჩნევს, რომ, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ერაყის წინააღმდეგ აშშ-ს შესაძლო სამხედრო ოპერაციის პირობებში, რომელსაც ლტოლვილების პრობლემის გამწვავება და რეგიონში დესტაბილიზაცია მოჰყვება, იგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე იდეალური კანდიდატი იქნება. ჩილერის აზრით, საჭიროა ისეთი ლიდერი, რომელსაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აქვს, ეკონომიკაში ერკვევა და ისე იმოქმედებს, რომ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მიღწეულ პროგრესს არ ავნებს. (Reuters)

გაურკვეველი კატეგორიის აბესაძის ქუჩა N12

ქეთი ქადაგიშვილი

სოლოლაკში აბესაძის ქ.№12 სახლი, რომელზეც "24 საათი" უკვე წერდა, დანგრევას ორჯერ გადაურჩა და მობინადრეები მისი დანგრევის მორიგ მცდელობას დღე-დღეზე ელიან. შეგახსენებთ, რომ ამ სახლში მცხოვრები 11 ოჯახიდან სახლის დანგრევა მხოლოდ ერთ მობინადრეს სურს, დანარჩენები კი საკუთარ საცხოვრებელს რამდენიმე კვირაა, "კბილებით" იცავენ.

"მოწინააღმდეგე მობინადრე ქუჩის მხარის ისედაც პირდაბჩენილი ფასადის კედელს ღამ-ღამობით თითო-თითო აგურს აცლის და ყველანაირად ცდილობს სახლი ბოლომდე ჩამოანგრიოს. ერთხელ ღამის სამ საათზე ფასადის კედელი გამოანგრია, მეორე სართულისა კი, რომელიც ქუჩის მხარეს მდებარე მის ოთახს ეკუთვნის, წინ გამოსწია. მას გამგეობაც ეხმარება, ახლახან ქუჩისპირა ფასადის დასანგრევად მუშები გამოაგზავნეს, მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ. ჩვენს მეზობელს ჰგონია, გამგეობა ახალ სახლს აუშენებს, ჩვენ კი იმედი არ გვაქვს", – აცხადებენ ამ სახლის მცხოვრებლები. მათ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიც მხარს უჭერს. დეპარტამენტი ამ სახლს მეორე კატეგორიად მიიჩნევს და მოსახლეობას იმაშიც ეთანხმება, რომ სახლი თუ დაანგრიეს, მის აშენებაზე კარგა ხანს არც უნდა იოცნებონ. "ეს სახლი ისტორიული ძეგლია. ავარიული ძეგლების აღსადგენად კი დახმარებას არც ბიუჯეტიდან და არც უცხოური ორგანიზაციებიდან ველით. აგვისტოში ევროსაბჭო დააფინანსებს მხოლოდ ძველი თბილისის ავარიული ძეგლების აღწერასა და ორი სახლისთვის ხიმინჯების შედგმას", – გვითხრა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, პაატა გაფრინდაშვილმა.

მობინადრეებმა სახლის დანგრევის მომხრე მეზობლის ვინაობის დასახელებას მოერიდნენ. მასთან დაკავშირება ვერც ჩვენ მოვახერხეთ, როგორც გვითხრეს, ის სახლში გვიან ღამით მიდისო. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა მიიჩნევს, რომ ეს სახლი გამვლელებს უქმნის საფრთხეს, რადგან შეიძლება, მისი ქუჩისპირა ფასადი ყოველ წამს ჩამოინგრეს. გამგეობა მშენებლობის სამინისტროს დასკვნას ეყრდნობა. სამინისტროს კომისიამ ეს სახლი მესამე კატეგორიად მიიჩნია. "ამ სახლს ვინ და როდის ააშენებს, ამაზე ვერაფერს ვიტყვით, მთავარია, არავინ დაზარალდეს. მობინადრეები აცხადებენ, როცა ქუჩისპირა ფასადი ჩამოინგრევა, სახლი მერე დაანგრიეთო, მაგრამ შემდეგ გვიანი იქნება, ამას შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს", – გვითხრეს გამგეობაში.

„არ გემუქრებით, მაგრამ ცხვირ-პირს დაგინაყავთ!„

ეთერ მამულაშვილი

"ყველას გაფრთხილებთ: თავი დაანებეთ მეომართა სახელის დისკრედიტაციას, თორემ სასამართლოში კი არ გიჩივლებთ, ქუჩაში გამოგიყვანთ და ცხვირ-პირს დაგინაყავთ", - ეს სიტყვები ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეს გელა გელაშვილს ეკუთვნის და, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის გასაგონად, გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე წარმოთქვა.

გელაშვილის თქმით, უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილი მეომართა შეურაცხმყოფელ და აბსურდულ ინფორმაციებს მიზანმიმართულად ავრცელებს. ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებით, ამ დისკრედიტაციის მთავარი მიზეზი მათი დამოუკიდებლად მოქმედებაა. "რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ შემოგვთავაზა, რომ მათ გვერდით დავმდგარიყავით. სოლიდურ თანხასაც გვპირდებოდნენ - 5-დან 10 მილიონ ლარამდე, რაზეც ჩვენ უარი განვაცხადეთ", - აღნიშნა გელაშვილმა. კონკრეტული გვარების დასახელებისგან კი ამჯერად თავი შეიკავა. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესები კვლავ გაგრძელდება, გელაშვილი აცხადებს, რომ მას წინ ვეღარაფერი დაუდგება: "მარტო გვარებს კი არ

პრესკონფერენციაზე მარიკა ამერველაშვილის ფოტო

დავასახელებთ, ზოგიერთებს ჭკუასაც ვასწავლით. მუქარად ნუ ჩამითვლით, მაგრამ თუკი რომელიმე ჯარისკაცს სამართალდამცველები ციხეში ჩასვამენ აბსურდული მიზეზების გამო, მერე რაც მოხდება, თავის თავს დააბრალონ. და საერთოდ, თავი დაგვანებონ, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ომში გარდაცვლილი და დაჭრილი ჩვენი მეგობრების ოჯახებს მიხედვა სჭირდება. საცოდავები, შიმშილით და ავადმყოფობით, უპატრონოთა სახლებში იხოცებიან".

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, მოქმედი კანონმდებლობით, სხვადასხვა სოციალური შეღავათია დაწესებული. ამას გარდა, მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი დახმარებებიც არის გათვალისწინებული. თუმცა, რეალურად, გელაშვილის თქმით, ეს ოჯახები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერავითარი შეღავათით ვერ სარგებლობენ, რადგან მათთვის განკუთვნილი თანხა ხშირად მავანთა ჯიბეებში ილექება. "სირცხვილით ვერ მივდივართ ჩვენი გარდაცვლილი მეგობრების ოჯახების მოსანახულებლად. კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს ისინი ვერ იღებენ. ჩვენი ხელისუფლება ამას ბიუჯეტის კრიზისით ხსნის. კრიზისი მაგათ ტვინებში აქვთ. შვეიცარიულ ბანკებში გახსნილი მათი ანგარიშები მილიონებს ითვლის", - თქვა გელაშვილმა.

ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირს და ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციას შემუშავებული აქვთ რამდენიმე პროექტი, რომელიც გარდაცვლილ და დაჭრილ მეომართა ოჯახის წევრების დახმარებას ითვალისწინებს. "ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, რომ შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები", - განუცხადა "24 საათს" ორგანიზაცია "ომი და მშვიდობის" თავმჯდომარე ირაკლი ლომიძემ.

ერთ-ერთი პროგრამა, რომლის განხორციელება სექტემბრისთვის დასრულდება, ზამთარში მეომართა ოჯახების სათბობი მასალით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. თავდაცვის სამინისტრომ ამ ორგანიზაციას რამდენიმე ტრაქტორი და სატვირთო მანქანა აჩუქა. "უახლოეს დღეებში საწვავსაც ველოდებით. როგორც კი მივიღებთ, მაშინვე დავიწყებთ ჩვენი ძმების ოჯახების მომარაგებას, რომ ზამთარში გაყინვისგან მაინც გადავარჩინოთ", - გვითხრა ირაკლი ლომიძემ.

წყალი 204 ობიექტს არ მიეწოდება

"თბილწყალკანალის" დავალიანების გამო დღეისათვის წყალს 204 ობიექტი ვერ ღებულობს. ამ ობიექტებს წყალი უკვე თვის დასაწყისიდან არ მიეწოდებათ. დავალიანების დასაფარად მათ "თბილწყალკანალის" გამაფრთხილებელმა გათიშვებმაც ვერ უშველა და პაპანაქება ზაფხულში წყლის გარეშე დარჩნენ. მარტო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება 15 მლნ ლარს შეადგენს. მთლიანად "თბილწყალკანალის" მიმართ მოსახლეობისა და ორგანიზაციების დავალიანება შეადგენს 62 მლნ ლარს. ეს 2-5 წლის განმავლობაში დაგროვილი ვალებია.

"თბილწყალკანალში" გვითხრეს, რომ ზემოთ აღნიშნულ ობიექტებს წყლის საფასური საერთოდ არ აქვთ გადახდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ შეუწყდებოდათ წყლის მიწოდება. "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობა მიმდინარე დავალიანების ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, ორგანიზაციებს აღუდგენს წყლის მიწოდებას.

დავალიანების გამო სამედიცინო პროფილის დაწესებულებიდან წყალი ძირითადად ინსტიტუტებს არ მიეწოდება. მაგ, ბაქტერიოფაგს, მორფოლოგიის ინსტიტუტს და სხვას. დავალიანება სეფსისისა და ინფექციური პათოლოგიის ცენტრებსაც აქვთ, მაგრამ მათ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე წყლის მიწოდება აღუდგინეს. ამ შემთხვევაში "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ამ დაწესებულებათა პაციენტების მდგომარეობა.

"თბილწყალკანალის" დავალიანება სამინისტროებსაც გააჩნია. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც წყალი დროებით მიეწოდება. ასევე, იუსტიციის სამინისტროს ობიექტებს. ამ უწყებამ დავალიანების ნაწილი გადაიხადა და წყლის მიწოდება აღუდგა. სამინისტროს მთლიანი დავალიანება 1,740 მილიონი ლარია.

გადააგდე სიგარეტი და მოიგე

ქეთი ქადაგიშვილი

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი თამბაქოს გადაგდების მსურველთათვის ძალზედ საინტერესო კონკურსს ატარებს. კონკურსში მონაწილე მწეველები ორმაგ მოგებაში არიან. თუ ისინი საკონკურსო პირობებს მკაცრად დაიცავენ და ერთი თვის განმავლობაში სიგარეტს არ მოწევენ, ამით ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდებიან და შესაძლოა, ფულად ჯილდოსაც გამოჰკრან ხელი. ხოლო თუ მწეველმა კონკურსის პირობა დაარღვია და ერთ ღერი სიგარეტი მაინც მოწია, კონკურს გამოეთიშება.

კონკურსში მონაწილეობას 5000 სრულწლოვანი მწეველი მიიღებს. (ეს ღონისძიება ტარდება საერთაშორისო წესდებით, რომელიც კონკურსში არასრულწლოვანთა მონაწილეობას არ ითვალისწინებს). მათი მიღება პირველ დეკემბრამდე გაგრძელდება. ცენტრი მათ ფსიქოლოგიურ გახმარებას გაუწევს. კონკურსში მონაწილეობისთვის მწეველებმა 4-4 ლარი უნდა გადაიხადონ. ეს თანხა ისევ მათ ფულად პრიზებზე განაწილდება. ფულად ჯილდოს ყოველი მე-14 მიიღებს, ყველაზე მაღალი პრიზი 5000 ლარია, მომდევნო – 500 ლარი, დანარჩენ ყოველ მე-14-ს კი 100 ლარს მისცემენ.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს გელა კობეშავიძეს იმედი ჰქონდა, რომ მწეველებს ფულადი პრიზები მაინც დაინტერესებდათ, მარგამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი, ჯერჯერობით, ბევრს არ გამოუთქვამს. ამისი მიზეზი შეიძლება ზაფხულის სეზონიც იყოს, მოსახლეობის დიდი ნაწილი დასასვენებლად არის წასული. თუმცა, ისიც არის, რომ, უსახსრობის გამო, ცენტრი მოსახლეობას კონკურსის შესახებ ინფორმაცია ვერ აწვდის. ცენტრს, ჯერჯერობით, მხოლოდ 18-მა შუახნის მამაკაცმა მიაკითხა. "კონკურსით ჯერ ერთი ქალიც კი არ დაინტერესებულა. მწეველი ქალები სიგარეტს ორსულობის პერიოდშიც კი ვერ ელევიან. ისინი თამბაქოზე გაცილებით მეტად დამოკიდებულები ხდებიან, ვიდრე მამაკაცები, ამიტომ კონკურსისადმი მათი უყურადრებობა ჩვენთვის გასაკვირი არ არის", – აცხადებს კობეშავიძე.

ცენტრის ხელმძღვანელს იმედი აქვს, რომ სექტემბრის ნახევრიდან კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. "თუ კონკურსი წარმატებით დამთავრდა, კონკურსიდან შემოსული თანხით მსგავს კონკურსს მწეველი არასრულწლოვანებისთვისაც მოვაწყობთ. არასრულწლოვან მწეველთა რიცხვი თითქმის ყოველწლიურად მატულობს. შარშან სიგარეტს მოზარდთა 41 პროცენტი ეწეოდა, წელს ეს რიცხვი 2-3 პროცენტით გაიზარდა", - ამბობს კობეშავიძე.

კავკასიაში გაუდაბნოების შესაჩერებლად პროგრამა არ ქმარა

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ეგიდით, თბილისში გაიმართა კავკასიაში გაუდაბნოების პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია.

ფორუმში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამთავრობო, არასამთავრობო, აკადემიური სექტორებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი მიზანი იყო რეგიონში გაუდაბნოების პროცესების შეფასება, გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ნინო ჩხობაძის განცხადებით, გაუდაბნოების პროცესით გამოწვეული ნეგატიური შედეგები ხშირად არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, რაც, ეკოლოგიურ საფრთხესთან ერთად, უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეც.

გაუდაბნოების ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოში, კერძოდ, აღმოსავლეთ რეგიონებში (სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, გარდაბნის და სხვა რაიონები). გაუდაბნოების პროცესის ძირითადი ხელმშემწყობი ფაქტორები კლიმატის ცვლილება და არარაციონალური მიწათმოქმედებაა.

როგორც ნინო ჩხობაძემ აღნიშნა, გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა დეგრადირებული ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების აღდგენას, მართვის გაუმჯობესებისა და დაცვის გზით ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას. გარდა ამისა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმა იგეგმება. ნინო ჩხობაძის თქმით, პროგრამა, რომელიც სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (NACRES) სპეციალისტების მიერ შემუშავდა, ამჟამად განიხილება სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში.

"ინტერ-პრესი"

„ეროვნული ინტერესი" - ეროვნული ინტერესი

TSU-ში დარღვევების შესახებ

თინა დგებუაძე

დღეს, 12 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები გაზეთ "24 საათის" რედაქციაში პრეს-კონფერენციას მართავენ. მათ ხელთ აქვთ 2002 წელს კონტროლის პალატის მიერ უნივერსიტეტის შემოწმებისას აღმოჩენილ დარღვევათა ნუსხა. ეს დარღვევები კი, რაზეც უკვე იყო საუბარი და დისკუსია, ასეთია:

ირკვევა, რომ უნივერსიტეტი თავისი ტერიტორიების საკმაოდ დიდ ნაწილს ძალიან იაფად აქირავებს (ბანკ "რესპუბლიკისთვის" გამოყოფილი ტერიტორია, უნივერსიტეტის თითქმის ყველა საზ-კვების ობიექტი, სხვადასხვა გამომცემლობებისთვის დათმობილი ფართები). რა არის ამის მიზეზი? მისი მესვეურები ძალიან კეთილები არიან თუ უნივერსიტეტს ბევრი ფული აქვს და მეტი შემოსავალი აღარ სჭირდება? სინამდვილეში უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა ასეთი კეთილშობილების მიზეზი ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტი ამ ფართობს, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე აქირავებს. რადგან იმ შპს-თა უმრავლესობის დამფუძნებლები, რომლებსაც უნივერსიტეტის ფართობი იჯარით აქვთ აღებული, თავად უნივერსიტეტის (ძირითადად კი - მისი რექტორატის) თანამშრომლები არიან. ბანკ "რესპუბლიკის" დამფუძნებელი რომ უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ, ამაზე ხმაური ერთი წლის წინ გადაცემა 60 წუთის შემდეგაც იყო ატეხილი, ოღონდ ბატონმა როინმა მაშინ თავისი წილი საკუთარ შვილს გადააბარა. ახლა რექტორი მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოშია და პატიოსან სიტყვას თუ ვენდობით, იგი ამ ბანკისაგან არავითარ ხეირს არ ნახულობს. აი, უნივერსიტეტი კი ნამდვილად ზარალდება, რადგან, ნებისმიერი ექსპერტის აზრით, ჭავჭავაძის პროსპექტზე ამხელა ფართობის გაქირავება, თანაც, ბანკისთვის, თვეში 2000 დოლარადაც კი შეიძლება. სხვათაშორის, კონტროლის პალატის 2002 წელს ჩატარებული შემოწმების დროს გაქირავების თანხები უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული არ ყოფილა!

კონტროლის პალატისთვის გაურკვეველი დარჩა, რას წარმოადგენს და რა სამუშაოებს ასრულებს ე.წ. შპს "ვაკე", რომელსაც უნივერსიტეტი, 1997 წლიდან მოყოლებული დღემდე, გაურკვეველი სამუშაოების შესრულებაში ყოველ წელიწადს ათასობით ლარს უხდის.

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების მიხედვით, დარღვეულია "სალაროს მეურნეობის გაძღოლის" შესახებ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ბევრი დარღვევა გამოავლინა უნივერსიტეტში დიპლომების გაცემისა და შენახვის მდგომარეობის შესწავლამაც. უნივერსიტეტში დაკარგული დიპლომის თავიდან აღების პროცედურა ისეა გაადვილებული, რომ ნებისმიერს შეუძლია, განაცხადოს, დიპლომი დამეკარგა და ერთი-ორი ახალი გამიმზადეთო.

კონტროლის პალატის ოქმებში პრემიების გრაფა საერთოდ გამოტოვებულია. უნივერსიტეტი, თურმე, არავითარ პრემიებს არ არიგებს. არადა, ყოველ წელს უნივერსიტეტის სპეციალური ბრძანების საფუძველზე რექტორთან დაახლოებული პირები (ძირითადად, იურიდიული ფაკულტეტიდან, მათი შერჩევის კრიტერიუმი სრულიად უცნობია) თვეში, ხელფასის გარდა, საშუალოდ 300-500 ლარს იღებენ წახალისების მიზნით.

თვითმმართველობის სტუდენტებს ამ ფაქტების საჯაროდ აღნიშვნისა და დამნაშავეების სათანადოდ დასჯის გარდა, მისაღები გამოცდების გარშემო წლების განმავლობაში არსებული ანომალიური სიტუაციების გამოსწორებაც სურთ. მათ რამდენიმე დღის წინ უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ როინ მეტრეველის სახელზე განცხადება შეიტანეს, რომელშიც რექტორისგან გამოცდის ფორმის საჯაროობისათვის რამდენიმე ბრძანებულების გატარებას მოითხოვენ. ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტები თავიანთი მიზნის მიღწევას სასამართლო გზით აპირებენ.

დაწვრილებით ინფორმაციას პრეს-კონფერენციის შესახებ ხვალინდელ ნომერში მოგაწვდით.

ჩვეულებრივი ისტორია

VISION-სამი დღის ქრონიკა

მაკა ჭაიანი

ამ ერთი კვირის წინათ ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი ქუჩაში უცნობმა მამაკაცმა გააჩერა. გამოჰკითხა, საიდან იყო, სად სწავლობდა, მუშაობდა თუ არა და დანანებით უთხრა, ცოდო არ არის, ასეთი კარგი გოგონა წარმატებულ საქმეში არ იყოო. მერე ცოტა იფიქრა, ჯიბიდან უბრალო ქაღალდზე დაბეჭდილი სავიზიტო ბარათი ამოაძვრინა და მიაწოდა - ორშაბათს, დილის 11 საათზე, შეხვედრა გვექნება, ამ მისამართზე მოდი და შენი ცხოვრება 180 გრადუსით შეიცვლებაო. სერგო სტურუა, ფირმა VISION, დავით აღმაშენებლის ესა და ეს, მესამე სართული, ოთახი 5, - ეწერა ქაღალდზე.

ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი დანიშნულ შეხვედრაზე არ წასულა, ის კაცი ისე მელაპარაკა, მგონი, რომელიღაც სექტის წარმომადგენელი უნდა იყოსო. სამაგიეროდ, წავიდა ჩვენი კორესპონდენტი, მაგრამ შეხვედრაზე აღარ შეუშვეს - დაგაგვიანდა და მომავალ ორშაბათს მოდიო. კითხვაზე, მითხარით, რა ხდება, იქნებ მომავალ კვირას მოსვლა არც მოვინდომოო, ჩვენმა კორესპონდენტმა უფრო გაურკვეველი პასუხი მიიღო: ორშაბათიდან ოთხშაბათის ჩათვლით, აქ ლექციების კურსი ტარდება და, თუ მოგეწონებათ, საქმეშიც ჩაერთვებითო.

მომდევნო ორშაბათს, ანუ გუშინ, ჩვენი კორესპონდენტი ისევ მივიდა დანიშნულ ადგილას. ამჯერად - 10 წუთით ადრე, თუმცა, გასაიდუმლოებულ ოთახში ვერც ამჯერად შევიდა. პიროვნება, რომელსაც იგი ერთი კვირის წინ ესაუბრა, ფირმაში ვერ იპოვა. მეორე "მასპინძელთან" ურთიერთობების გარკვევა კი ასე მიმდინარეობდა:

კორესპონდენტი: იცით, მამუკამ დღეისთვის დამიბარა, სამსახურის დაწყება მინდა, უმუშევარი ვარ.

"მასპინძელი": ვინ ხარ? საიდან გაიგე ჩვენი ფირმის არსებობა?

კორესპონდენტი: ჩემს მეგობარს თქვენი წარმომადგენელი შეხვდა ქუჩაში და სამსახურის დასაწყებად აქ მოიპატიჟა.

"მასპინძელი": მამუკა არ არის, ჩვენ კი აქ მხოლოდ ნაცნობები მოგვყავს, ვერ შეგიყვანთ.

"კონსულტაცია" მარიკა ამერველაშვილის ფოტო

ჩვენმა კორესპონდენტმა ვერც იმ ხალხისგან გაიგო რამე, ფირმის კუთვნილ ოთახებში რომ ირეოდა. რას აკეთებთ? აქ რისთვის ხართ? და ა.შ. კითხვებს ისინი უპასუხოდ ტოვებდნენ.

ჩვენი მესამე ვიზიტი VISION-ში გუშინვე შედგა. სერგი სტურუა ორი წუთის განმავლობაში ცდილობდა, გაერკვია, რა მიზნით ვიყავით მასთან მისული. მერე დაგვტოვა (ჩვენი საუბარი №5 ოთახის პირველი შიდა ოთახის მისადგომებთან მიმდინარეობდა), თუმცა, ერთ წუთში დაბრუნდა და თან ვიღაც მაღალი ყმაწვილი მოიყვანა. ახლა ის დაინტერესდა, რა გვამოძრავებდა, მათთან რომ მოვდიოდით. მერე ჩვენმა მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედეს და სერგიმ მთავარ - მესამე შიდა ოთახში შეგვიპატიჟა.

იქ, ისევე როგორც მეორე შიდა ოთახში, რამდენიმე ადამიანი ირეოდა. მაგიდებს მაგარ ყდებში ჩასმული ბუკლეტებით "შეიარაღებული" ქალები უსხდნენ. მათ ირგვლივ ორ-ორი, სამ-სამი ქალი იჯდა და ბუკლეტიანს ყურადღებით უსმენდა. საუბარი, ძირითადად, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ფირმის წამლების (ამ სიტყვას თვითონ ხმარობდნენ) ეფექტიანობასა და კლიენტის გარანტირებულ კმაყოფილებას ეხებოდა.

წინა ორისგან განსხვავებით, მთავარ ოთახში ტელევიზორი იდგა. სერგიმ სკამები მოხერხებულად დაგვიდგა, კასეტა გამოცვალა და გვითხრა: ეს ფილმი ჩვენი ფირმის საქმიანობის შესახებ მოგითხრობთ და, თუ გაგიჩნდებათ, კითხვები შემდეგ იყოსო. თან გაგვაფრთხილა, რასაც ეკრანიდან მოისმენთ, იმის ციტირება არ შეიძლებაო. ამის სურვილი არც გაგვჩენია. ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ კაცობრიობის შემობრუნების მსურველთა პათეტიკური ტირადები მალე მოგვწყინდა, ტელევიზორის გამორთვა ვითხოვეთ და პასუხგაუცემელი კითხვების დასასმელად მოვემზადეთ, მაგრამ - ნურას უკაცრავად!

სულ ეს იყო ჩვენი ურთიერთობა. უცხო ადამიანს, ვერც იმას გეტყვით, რა საკვები დანამატები გვაქვს, ვერც მათი რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს გიჩვენებთ, ვერც - ჩვენი საქმიანობის ლიცენზიას. ასეთ "წვრილმანებს" მხოლოდ დისტრიბუტერებს ვანდობთო, - გამოგვიცხადეს ფირმის წარმომადგენლებმა. როგორც უცხოებს, მხოლოდ ის გვითხრეს, რომ დისტრიბუტერის ანკეტის შევსება ერთი დოლარი ღირდა, ფირმა პირამიდის პრინციპით არ მოქმედებდა და ინტერნეტ-მისამართი მოგვცეს. საიტი მოვინახულეთ. სიმბოლოებში პირამიდა იჯდა.

იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს მოსახლეობას "ჰერბალაიფთან" და სხვა საკვებ დანამატებთან დაკავშირებით გაუჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ დასაქმება ამ შემთხვევაშიც VISION-ის პროდუქციით ვაჭრობას ნიშნავს. ჩემი ძველი ნაცნობი, რომელმაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და, მინიმალური შემოსავლის გამო, დღეს VISION-ის დისტრიბუტერთა შორის აღმოჩნდა, მარწმუნებდა, აქ ყველაფერი სხვანაირადაა, არავინ არავის არაფერს აძალებსო, თუმცა, ფირმის მიერ შემოტანილი საკვები დანამატების დასახელება ვერც მისგან გავიგე.

რა შემოაქვს VISION-ს და ბევრ სხვა ფირმას, რომელიც ჩვენს მოსახლეობას დღეს ნაირ-ნაირი სამკურნალო საკვები დანამატებით ამარაგებს, არც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში იციან. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე ამირეჯიბი, რომლის დასკვნის გარეშეც ქვეყანაში არ უნდა შემოდიოდეს და რეგისტრირდებოდეს ასეთი სახის პროდუქცია, აცხადებს: "კანონით, ფირმამ ჩვენამდე თავად უნდა მოიტანოს პროდუქცია. ჩვენ ვამოწმებთ მას, ვწერთ დასკვნას და დარეგისტრირება მის საფუძველზე ხდება. საქართველოს ტერიტორიაზე ამის გარეშე შემოსული საკვები დანამატები კონტრაბანდაა. ჩვენთან რეგისტრაცია ჯერ არც ერთ კვებით დანამატს არ გაუვლია."

არარეგისტრირებული სამკურნალო კვებითი დანამატებით ვაჭრობას სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექციამ უნდა მიაქციონ ყურადღება. ეს სამსახური ჯერ აფთიაქებითა და ბაზრობებით არის დაკავებული. როდის მოექცევიან მისი ინტერესის სფეროში დაურეგისტრირებელი კვებითი დანამატებით მოვაჭრე ფირმები, ან, მოექცევიან თუ არა საერთოდ, დღეს ვერავინ იტყვის.

მანამდე ჩვენი მოსახლეობის ერთი, ხელისუფლების წყალობით, უსამსახუროდ დარჩენილი ნაწილი, ჯანმრთელობის გაუმჯობესების მსურველი მეორე ნაწილის ხარჯზე შოულობს ფულს. ღმერთმა ქნას, რომ ეს მათი ჯანმრთელობის ხარჯზე არ მოხდეს. სადაც ჯერ არს, ეს ყველაფერი მშვენივრად იციან. ისიც იციან, რა არის კონტრაბანდა და რას ამბობს მასზე კანონი. იციან, მაგრამ დუმან...

თბილისში უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციაა

პოლიციას მტკიცებულება დარბეულ ოფისში დარჩა

ხათუნა ჯანგირაშვილი

თენგიზ მახარაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ყაჩაღობა, ადამიანის მოტაცება, მძევლობა, მკვლელობა, ძარცვა, გაუხსნელი საქმეები, კანონის დარღვევა და, საერთოდ, ბოლო დროს ქალაქში გამწვავებული კრიმინოგენური სიტუაცია – ეს ის თემებია, რომლებსაც თბილისის პროკურორი თენგიზ მახარაძე უკვე საგანგაშოდ მიიჩნევს და ექსპრომტად მოწვეულ პრესკონფერენციაზე შეშფოთებული განიხილავს.

"მე კანონის უზენაესობას ვცემ პატივს. მტკიცებულებებისა და ფაქტების გარეშე არაფერზე ვსაუბრობ", - აცხადებს იგი და სისხლის სამართლის კოდექსში ქვეყნის პრეზიდენტისა და თანამდებობის პირების მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამოთქმების ავტორთათვის დასჯადი მუხლის შემოღებას ითხოვს.

ქალაქის პროკურორი სამართალდამცველი ორგანოების ოპერატიულ მუშაობას იწუნებს და მათ უფრო მეტი პროფესიონალიზმისკენ მოუწოდებს, თუმცა იმასაც არ მალავს, რომ ხშირ შემთხვევაში საგამოძიებო სტრუქტურებიც სცოდავენ ხოლმე.

"ზოგ-ზოგიერთების მტკიცება, რომ "თავისუფლების ინსტიტუტს" რამდენიმე დღის წინ ქვეყნის პრეზიდენტი და მისი მეუღლე დაესხნენ თავს, სიცრუეა. არანაირი მასალა, არანაირი ვერსია, არანაირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევა ხელისუფლების დაკვეთით მოხდა, არ მოგვეპოვება, ჩვენ უფრო სხვა ვერსიები გაგვაჩნია," - ირწმუნება თენგიზ მახარაძე და დიდი იმედი აქვს, რომ თავდამსხმელი დამნაშავეები ცოტა ხანში გამოვლინდებიან და დაისჯებიან კიდეც.

ალბათ, თბილისის მთავარი პროკურორისთვის არ არის ცნობილი და ჩვენგან შეიტყობს, რომ დარბევის დღეს "თავისუფლების ინსტიტუტში" მტკიცებულებების შესაგროვებლად მისულ პოლიციელებს შემთხვევის ადგილიდან აღებული ანაბეჭდები დარბეულ ოფისში დარჩათ. ძირითადი მტკიცებულება ამჟამადაც "თავისუფლების ინსტიტუტშია" და საქმის გახსნით დაინტერესებულ კანონდამცველებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მისი საქმისთვის დამატება.

თენგიზ მახარაძის თქმით, "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის საქმეში კონკრეტული ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ არსებობენ. თუმცა, პროკურატურას მოეპოვება ინფორმაცია ეჭვმიტანილი დაჯგუფების შესახებ, რომელთა გამოვლენაშიც თბილისის პროკურორი დახმარებას დაზარალებულებსა და მოწმეებს სთხოვს.

"მართალია, ძირითადი დაზარალებულების დაკითხვა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ მოწმეთა დაკითხვით ირკვევა, რომ დაზარალებულებსაც და მოწმეებსაც შეუძლიათ თავდამსხმელთა ამოცნობა", - აცხადებს თბილისის პროკურორი, რომელიც ყველაზე ნაკლებ სავარაუდო ვერსიად მიიჩნევს გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, რომ "თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმა რამდენიმე დღით ადრე მომხდარი ინციდენტის, დაცვის სამსახურის თანამშრომლის, დონაძის ცემის გამოძახილია. ანუ, იმ კონფლიქტისა, რომლის მონაწილედაც დაზარალებული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი გივი თარგამაძე დასახელდა.

თბილისის პროკურორი ბოლო დროს კიდევ უფრო გახშირებულ კრიმინალს, უცხოელი სტუმრების მოტაცებისა და დაყაჩაღების ფაქტებსაც აძლევს შეფასებას და იმის გამო წუხს, რომ გატაცებულები ხანდახან თავისუფლდებიან, გამტაცებელი დამნაშავეები კი უჩინრებად რჩებიან.

"დემოკრატია – ეს არის კანონის უზენაესობის დაცვა. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რაც მოგესურვება, ის თქვა, თანაც ისე, რომ მტკიცებულებები არ მოგეპოვებოდეს", - გვახსენებს თბილისის პროკურორი და ცრუ დამსმენებს, სამართალდამცავ ორგანოებს, დაზარალებულებს, საერთოდ, ყველას, კანონის დაცვისკენ მოუწოდებს.

თენგიზ მახარაძე არც მართლმსაჯულებას ტოვებს უყურადღებოდ და საქმეების განხილვის გაჭიანურებაში, სერიოზული დამნაშავეებისთვის მინიმალური სასჯელის დაწესებაში ადანაშაულებს. **"ასე დანაშაულს ვერ მოვსპობთ, ასე გამორიცხულია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა,"** – აღშფოთებული აცხადებს ქალაქის პროკურორი და თბილისის ქუჩებსა და სადარბაზოებში გამეფებულ ყაჩაღობებსა და ხულიგნობებზეც აკეთებს კომენტარს. მისი მტკიცებით, პოლიციელების მიერ ჩადენილი დანაშაულებები რეაგირების გარეშე არ რჩება. ამის დამადასტურებლად პროკურორი სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებს და ირწმუნება, რომ ქრთამის აღების, მოქალაქეთა ცემის, სამსახურეობრივი მოვალეობის გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით კონკრეტულ პოლიციელებზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

ერთი სიტყვით, ქალაქის პროკურორი, თბილისში არსებული უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენური სიტუაციის გამო, განგაშის ზარებს სცემს და ამ სიტუაციიდან გამოსავალს ისევ კანონის უზენაესობაში ხედავს.

"გორის ჯგუფის" კრიმინალური ისტორია

ნათია დავითაშვილი

კანონდამცველებმა რამდენიმე დღის წინ უკვე მეორედ დააკავეს შიდა ქართლში მოქმედი ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების ცნობილი ლიდერი სტეფანე გეორქოვი.

ყაჩაღობაში ბრალდებული სტეფანე გეორქოვი გორის სასამართლომ პატიმრობიდან გასულ წელს გაათავისუფლა. მას 5-წლიანი პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალეს.

პატიმრობიდან გათავისუფლებულმა სტეფანე გეორქოვმა და მისი ჯგუფის წევრებმა ერთი წლის განმავლობაში გორის რაიონში 30-ზე მეტი ყაჩაღობა ჩაიდინეს.

2001 წლის 10 ივნისს ისინი თავს დაესხნენ გორელ დიმიტრი სამადაშვილს და ფიზიკური განადგურების მუქარით სახლიდან წაიღეს ფასეული ნივთები.

9 დეკემბერს თავს დაესხნენ გიორგი ავთანდილაშვილს და წაართვეს "ფორდის" მარკის ავტომანქანა.

13 დეკემბერს გორში ილია ნასყიდაშვილის ავტომანქანა "ვაზ-2121" გაიტაცეს.

18 იანვარს ცხინვალის გზატკეცილზე ემზარ ბაბუცაძე მანქანიდან იარაღის მუქარით გადმოსვეს, ხოლო მისი მანქანა "ვაზ-2107" გაიტაცეს.

იმავე დღეს გეორქოვის ჯგუფი თავს დაესხა ვეფხია შევარდნაძეს, რომელსაც მანქანა წაართვეს.

იმავე დღეს მათ მესამე თავდასხმაც განახორციელეს. გორში მდებარე კაფე "მერცხალში" შეიჭრნენ და იქ მყოფ ერთ-ერთ ახალგაზრდა მამაკაცს იარაღის მუქარით მანქანა "ვაზ-2121" და მობილური ტელეფონი წაართვეს.

1 თებერვალს ნიღბებით სახედაფარული და ავტომატით შეიარაღებული გეორქოვი, პარტნიორებთან ერთად, თავს დაესხა ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურს, საიდანაც გაიტაცეს ფული და სხვა ნივთები.

მომდევნო დღეს ავტომატებით შეიარაღებულმა და ნიღბებით სახედაფარულმა გეორქოვმა და მისი ჯგუფის რამდენიმე წევრმა დააყაჩაღეს გორში მდებარე ბენზინგასამართი სადგური. თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორმა, დავით ქრისტესიაშვილმა, რომელიც მძარცველებმა მოკლეს.

იმავე დღეს გეორქოვის ჯგუფმა გაძარცვა გორში მდებარე მაღაზია.

მომდევნო დღეს თავს დაესხნენ გორის უნივერსიტეტის რექტორს, ნინო ელიკაშვილს, რომელსაც თავდამსხმელებმა ავტომატიდან ესროლეს, იმის გამო, რომ ელიკაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია.

გეორქოვის ჯგუფი გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევში მდებარე ბენზინგასამართ სადგურს ერთ კვირის მანძილზე ორჯერ დაესხა თავს და იქიდან ფული, მობილური ტელეფონი და სხვა ნივთები გაიტაცა.

მარტის ბოლოს დაჯგუფების წევრებმა სოფელ ბერბუკში, საავტომობილო გზაზე გააჩერეს მანქანა "ზილი" და გაძარცვეს მგზავრები, რომლებსაც ოქროულობა წაართვეს.

2 ივნისს გორში გაქურდეს ალბერტ აბესაძის სახლი, საიდანაც გაიტაცეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ორი დღის შემდეგ, ნიღბებით სახედაფარული, შეიარაღებული კრიმინალები სოფელ სვენეთში, რესტორან "გუდაბარტყიასთან" მანქანის გატაცების მიზნით თავს დაესხნენ რესტორნის მუსიკოსს, ნიკოლოზ ვეშაპურს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევისას მოკლეს.

იმავე დღეს გორში გაქურდეს დიმიტრი სამადაშვილის სახლი. თავად სამადაშვილი, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, დაჭრეს და სახლიდან ოქროს სამკაულები გაიტაცეს.

კანონდამცველთა ინფორმაციით, გეორქოვის ჯგუფმა გაიტაცა მერაბ ნადირაძის მანქანა "გაზელი". მათ გაძარცვეს სოფელ შავშვებში მდებარე საბურავების ვულკანიზაციის საამქრო, რომლის ხელოსანს, კონსტანტინე წიქარაძეს წაართვეს ფული.

12 ივლისს გეორქოვი, მეგობრებთან ერთად, ერგნეთი-თბილისის გზაზე თავს დაესხა თბილისელ სოლომონ ბექაურს. მას წაართვეს "გაზელის" მარკის ავტომანქანა და 55 ტომარა ფქვილი.

დაკავებული სტეფანე გეორქოვი ჯერჯერობით შიდა ქართლის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. სასამართლომ მას სამთვიანი პატიმრობა გუშინ შეუფარდა. შიდა ქართლის პროკურატურამ ძებნა გამოაცხადა გეორქოვის ჯგუფის რამდენიმე წევრზე. გორის კრიმინალური ჯგუფის ლიდერი სტეფანე გეორქოვი განზრახ მკვლელობაში, ბანდიტიზმში, მანქანის გატაცებასა და ყაჩაღობაშია ბრალდებული. დაკავების შემთხვევაში იგივე, მძიმე ბრალდებები ელის მის ძებნილ თანამზრახველებსაც.

ფედერალური ძებნილი ურეკში დააკავეს

ინგა ალავიძე

რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების მიერ ტერორისტული აქტების მოწყობაში ეჭვმიტანილი, ფედერალური ძებნილი რუსლან ბეშაევი საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმმა ურეკში დააკავა. რუსლან ბეშაევი, ცოლთან ერთად, ურეკში ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში მომუშავე ქისტი მარგო ხანგოშვილის კოტეჯში იმალებოდა. რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ტერორისტობისთვის ძებნილის დასაკავებლად ქართველი ძალოვანები სპეცოპერაციას რამდენიმე დღე გეგმავდნენ.

რუსეთის პროკურატურამ ქართველ კოლეგებს ვოლგოდონსკის ტერარქტში ბრალდებულის დაკავებისა და ექსტრადიციის მოთხოვნით, დაახლოებით, 2 თვის წინ მიმართა. რუსი სამართალდამცველები შუამდგომლობაში ტერორისტობისთვის ძებნილის დროებით თავშესაფარსაც აზუსტებდნენ. მათი მონაცემებით, ტერორისტი პანკისის ხეობაში ახლობლებთან ბინადრობდა.

არსებული ინფორმაციით, ბეშაევი პანკისის ხეობაში მართლაც იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მას და მასთან ერთად მალვაში მყოფ, ასევე ტერორისტობისთვის ძებნილ კიდევ სამ პიროვნებას კანონდამცველები ეძებდნენ, ურეკში პანკისელ ახლობელთან გადაინაცვლა.

დაკავებისას ტერორისტობისთვის ძებნილმა ძალოვანებს წინააღმდეგობა გაუწია. მის მიერ გამოყენებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად სერიოზული დაზიანებები მიიღეს მარგო ხანგოშვილმა და მისმა მეუღლემ, მარინე ხანგოშვილმა. ორივე დაზარალებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

რუსლან ბეშაევს დაკავების დროს აღმოუჩინეს პირადობის დამადასტურებელი ორი ყალბი მოწმობა, რადიშევისა და ხამიდოვის გვარებით. ასევე ლტოლვილობის დამადასტურებელი ყალბი საბუთი.

კავკასიის საკითხებში ექსპერტის, მამუკა არეშიძის განცხადებით, მისთვის რუსლან ბეშაევის, როგორც ტერორისტის, გვარი უცნობია. **"ჩემთვის ცნობილია ყარაჩაელი დონგუშევი, რომელზეც რუსეთის სამართალდამცველ ორგანოებს ფედერალური ძებნა აქვთ გამოცხადებული. იგი ეჭვმიტანილია მოსკოვსა და ვოლგოდონსკის ტერაქტების მოწყობაში. ინფორმაციას იმის თაობაზე, დონგუშევი არის თუ არა ბეშაევი, მე არ ვფლობ,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას მამუკა არეშიძემ.

მისივე თქმით, მოსკოვისა და ვოლგოდონსკის ტერაქტების მონაწილე დონგუშევი ყარაჩაელთა ვაჰაბისტური დაჯგუფების წევრი იყო. უფრო ზუსტად, ხატაბის ბოევიკთა იმ რაზმის წევრი, რომლის ლიდერიც გახლდათ "ლისის" სახელით ცნობილი ყარაჩაელი ვაჰაბისტი. გროზნოდან გამოსვლის დროს "ლისის" რაზმის დიდი ნაწილი და თავად მეთაურიც გაანადგურეს. ხატაბის ყარაჩაელი მებრძოლებიდან ზოგი დაიჭირეს, გადარჩენილებმა კი სხვადასხვა ადგილებს შეაფარეს თავი. **"მე ნანახი მაქვს ვიდეოფირი, რომელზეც ხატაბის ყარაჩაელი ბოევიკების საწვრთნელი ოპერაციებია გადაღებული. "ლისის" რაზმს წვრთნებს პირადად ხატაბი უტარებდა, ეს ფირზეა გადაღებული,"** – ამბობს მამუკა არეშიძე.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულ ბეშაევს ჯაბრიელ ხანგოშვილი მფარველობდა - პანკისელი ქისტი ნავთობის მაგნატი, რომელიც თავის დროზე ბაქოს ნავთობის ბიზნესში სერიოზულად მუშაობდა და რომელიც ამჟამად თურქეთში მოღვაწეობს.

ერთი სიტყვით, საქართველო ახალ ტერორისტულ სკანდალში გაება. ქართველი ძალოვანების მიერ დაკავებული რუსლან ბეშაევი გუშინ რუსი სამართალდამცველებისთვის არ გადაუციათ, იგი უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფებოდა. თავად უშიშროების სამინისტროს მის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

გიორგი რჩეულიშვილი მოწამლეს

ლევან პირველის დაცვის უფროსი, გიორგი რჩეულიშვილი, მკვლელებმა ჯერ მოწამლეს და შემდეგ მოკლეს. ასეთი დასკვნა გააკეთა კომპლექსურმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ, რომელიც გიორგი რჩეულიშვილის გვამს ჩაუტარდა.

კანონდამცველთა მიერ შექმნილი საქმის მასალებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილმა დათო სიხარულიძემ გიორგი რჩეულიშვილი გაიცნო მკვლელობის წინა დღეებში, სოფელში გამართულ ქორწილში. მკვლელობის დღეს მიაკითხა სახლში და სოფელ ოკამში, ბებიამისის სახლში წაიყვანა. სახლში მისულმა სიხარულიძემ დაუდგენელ პირთან ერთად ნარკოტიკი მიიღო. შემდეგ გიორგი რჩეულიშვილი სამართალდამცველთათვის, ჯერჯერობით, დაუდგენელი ნივთიერებით მოწამლეს და გონებადაკარგული სახლის მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც სახრახნისით მოკლეს.

მკვლელებმა, კვალის დაფარვის მიზნით, რჩეულიშვილის გვამი ზეწრებში და საბანში გაახვიეს, მოათავსეს მოკლულის მანქანა "გრანდ ჩეროკში" და გადააგდეს საძოვარზე. მათ გაიტაცეს მოკლულის "ზიგზაუერის" ტიპის პისტოლეტი, "ანგლოჯორჯიას" კუთვნილი ავტომანქანა "გრანდ-ჩეროკი", რომელსაც რჩეულიშვილი მართავდა, მობილური ტელეფონი და ოქროს სამაჯური.

სახლში დაბრუნებული დათო სიხარულიძე ბებიას, ქეთევან ბერიანიძეს, რომლის თვალწინაც მოკლეს რჩეულიშვილი, სიკვდილით დაემუქრა და კატეგორიულად გააფრთხილა, რომ მომხდარის შესახებ არ განეცხადებინა პოლიციაში. ამის შემდეგ იგი, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ცხინვალის მიმართულებით მარტო გაემგზავრა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თბილისელი დათო სიხარულიძე, შარშან გეგუთის კოლონიიდან გაიქცა. იგი ორჯერაა ნასამართლევი საკმაოდ მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის.

სამართალდამცველთა ვერსიით, გიორგი რჩეულიშვილი ავტომანქანისა და პირადი ნივთების გატაცების მიზნით მოკლეს.

პერლის მკვლელს სიკვდილი მიუსაჯეს

პაკისტანის სპეციალურმა ანტიტერორისტულმა სასამართლომ ამერიკელი ჟურნალისტის, დენიელ პერლის მკვლელობაზე განაჩენი გამოიტანა.

ტერორისტული დაჯგუფების ლიდერს, 28 წლის ახმედ ომარ საიდ შეიხს, სასამართლომ სიკვლდილით დასჯა მიუსაჯა. მუსულმანური ბანდის ოთხ დანარჩენ წევრს, რომლებიც პერლის მკვლელობაში მონაწილეობდნენ, ნახევარი ცხოვრების გატარება ციხეში მოუწევთ, მათ 25 წელი მიუსაჯეს.

სიკვდილმისჯილ მუსულმანს სასამართლო განაჩენის გასაჩივრება ორ ინსტანციაში შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ ამერიკული პოპულარული ჟურნელის - "Wall Street Journal"-ის სპეციალური კორესპონდენტი დენიელ პერლი, 23 იანვარს პაკისტანში გაიტაცეს. პაკისტანში იგი ისლამურ რადიკალური დაჯგუფების საქმიანობას იძიებდა.

ჟურნალისტის გამტაცებლებმა ამერიკის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს. ისინი კორესპონდენტის სანაცვლოდ, კუბაში მძევლად აყვანილი "ალ-ქაიდას" ბოევიკებისა და თალიბების გათავისუფლებას ითხოვდნენ.

დენიელ პერლის გატაცებიდან თვენახევარში ამერიკის ხელისუფლებამ მიიღო ვიდეოფირი, რომელზეც ტყვედაყვანილი ჟურნალისტის მკვლელობის საზარელი სცენა იყო აღბეჭდილი.

პოლიციის კოორდინირებული მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, რომლებმაც გაიტაცეს და სიცოცხლეს გამოასალმეს ამერიკელი ჟურნალისტი

პერლის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. პრესა პროცესის მსვლელობის შესახებ ინფორმაციებს ადვოკატებისგან იღებდა.

ადვოკატთა განცხადებით, უკვე სიკვდილმისჯილი – ომარ საიდ შეიხი, ბოსნიაში მუსულმანთა მხარეს იბრძოდა, შემდეგ კი კაშმირის საბრძოლო მოქმედებებში იღებდა მონაწილეობას.

სიკვდილმისჯილი ომარ საიდ შეიხი

REUTERS

დაკავებული ბანდიტები კაციჭამიები აღმოჩნდნენ

უკრაინის პოლიციამ ქალაქ ჟიტომირში ბოროტმოქმედთა დაჯგუფება დააკავა. ბანდის წევრები ბანდიტიზმში, თავდასხმებში, მკვლელობებსა და კანიბალიზმში არიან ეჭვმიტანილები.

ცოტა ხნის წინ კრიმინალური ბანდის წევრებმა გაიტაცეს 18 წლის გოგონა. გამტაცებლები გატაცებულის მშობლებისგან გამოსასყიდს, 3 ათას დოლარ ითხოვდნენ. დაზარალებულის დედამ გამოძალვის ფაქტი და გამტაცებელთა მიერ ფულის გადასაცემად დათქმული შეხვედრის ადგილი პოლიციის თანამშრომლებს შეატყობინა. სამართალდამცავებმა ბანდის წევრები ფულის გადაცემის მომენტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბანდის წევრებმა გატაცებული გოგონა ტყეში წაიყვანეს, უმოწყალოდ აწამეს, შემდეგ კი მოკლეს, გვამი დაანაწევრეს და სხეულის ნაწილები საკვებად გამოიყენეს.

კანონდამცველთა ინფორმაციით, კაციჭამიების ბანდა მსხვერპლის გვამს ანაწევრებდა, შიგნეულობას იღებდა და ფარშის სახით საკვებად იყენებდა. ადამიანის ხორცისაგან მომზადებულ კერძს ისინი ბანდის ერთ-ერთი წევრის შვილს, 4 წლის ბავშვსაც აჭმევდნენ.

კანიბალმა კრიმინალებმა სამართალდამცველებს დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სპეცოპერაციისას დაიჭრა პოლიციის თანამშრომელი. გამომძიებელთა თქმით, კანიბალთა ბანდას კიდევ 5 მკვლელობა აქვს ჩადენილი, რასაც ემატება პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმა, ძარცვისა და ფულის გამოძალვის 20-ზე მეტი ფაქტი. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯენინ უედელი: დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნას

ჯენინ უედელი არის ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორი. იგი, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკურ განვითარებასა და მასში დასავლური დახმარების როლს შეისწავლის. საყოველთაო აღიარება პროფესორ უედელს მისმა უკანასკნელმა წიგნმა - "Collision and Collusion" მოუტანა, რომელშიც იგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დასავლური დახმარების როლს საკმაოდ უარყოფითად აფასებს. გთავაზობთ მის ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც მან "24 საათის" ჟურნალისტებთან შეხვედრისას გამოთქვა.

ჯენინ უედელი

იური ლოგოჟინის ფოტო

როდესაც სოციალისტური ბანაკი დაიშალა, მე პოლონეთში ვიყავი და ჩემი თვალით ვხედავდი "საერთაშორისო ექსპერტთა" რაოდენ დიდი არმია მოაწყდა ვარშავას. პოლონელები მათ "მარიოტის ბრიგადას" უწოდებდნენ, რადგან ისინი ქალაქის ერთადერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, "მარიოტში" ცხოვრობდნენ. უფრო სწორად, ორი-სამი დღით ჩამოდიოდნენ, "შეისწავლიდნენ ვითარებას" და მერე სხვა ქვეყნებში გარბოდნენ. ისინი, ტექნიკური ექსპერტებიცა და საერთაშორისო დახმარების კოორდინატორებიც, ერთმანეთთან თითქმის არ თანამშრომლობდნენ; დადიოდნენ მთავრობის მოხელეებთან და ყველას ერთსა და იმავე შეკითხვებს უსვამდნენ. მათი პარტნიორები იყვნენ საგარეო დახმარების კოორდინაციისა და პრივატიზაციის სამინისტროები, უფრო სწორად, მათი ის ნაწილები, სადაც თანამშრომლებმა ინგლისური ენა, ასე თუ ისე, იცოდნენ.

გადავწყვიტე, საერთაშორისო დახმარების პროგრამა უფრო ღრმად შემესწავლა და მეტ-ნაკლებად გავეცანი პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში შექმნილ ვითარებას და ყველგან მსგავს სურათს წავაწყდი.

ჩემდა გასაოცრად, სრულიად განსხვავებული სურათი იყო რუსეთში. ფორმალურად, აქ ყველაფერი მშვენივრად გამოიყურებოდა. უცხოური დახმარების მიმღებ ყველა სააგენტოს ჰქონდა კარგად მოწყობილი ოფისი, ინგლისურ ენაზე გამოცემული ლამაზად გაფორმებული ბუკლეტები, ჰყავდა თანამშრომლები, ვისაც შეეძლოთ პერანგი და ჰალსტუხი ზუსტად შეეხამებინათ ერთმანეთთან; მაგრამ, როდესაც საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედე, აღმოჩნდა, რომ ყველა, ვისაც უცხოურ დახმარებაზე ხელი მიუწვდებოდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩუბაისის კლანთან. ოღონდ კლანი - არა შუააზიური გაგებით, არამედ საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით დაკავშირებული ადამიანებს ჯგუფი.

ჩუბაისი, რომელიც მუდმივად ელცინის გარემოცვაში ტრიალებდა, დასავლეთისათვის ყველაზე საყვარელ ფიგურას წარმოადგენდა. მასზე წერდა ყველა დიდი ამერიკული და ევროპული გაზეთი, როგორც რუს "ახალგაზრდა რეფორმატორზე" და ეკონომიკური რეფორმების ძირითად მამოძრავებელ ძალაზე - ეს რუსეთის მხრიდან. ამერიკის მხრიდან კი დახმარების კოორდინაციის უკან ჰარვარდის უნივერსიტეტი იდგა, უფრო კონკრეტულად, ე.წ. "ჰარვარდის საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტი", რომელსაც რუსული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი ანდრეი შლაიფერი ხელმძღვანელობდა. ჯგუფთან დაკავშირებული იყო ცნობილი ეკონომისტი ჯეფრი საქსიც, მაგრამ ის და შლაიფერი ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ. საბოლოო ჯამში, ეს რუსულ-ამერიკული ჯგუფი განკარგავდა, დაახლოებით, 350-მილიონიან ამერიკულ დახმარებას რუსეთისადმი, რომელიც ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციისათვის იყო განკუთვნილი. მათ შორის ძალზე მჭიდრო თანამშრომლობა არსებობდა - იმ დონემდეც კი, რომ ამერიკელი ჯონათან ჰეი, აღნიშნული ინსტიტუტის წევრი, ხელს აწერდა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანესი ობიექტების პრივატიზაციის შესახებ. ისინი ქმნიდნენ რაღაც სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლეოდა, პრივატიზაცია მთავრობის გვერდის ავლით განეხორციელებინათ.

ჩუბაისის ჯგუფი აშშ-ს მთავრობამ შექმნა და მანვე მიაწება მათ რეფორმატორების იარლიყი. აღნიშნული ჯგუფი იღებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს პრივატიზაციის შესახებ. ვაუჩერული პრივატიზაცია მთლიანად აშშ-ს მთავრობის მიერ იყო მოგონილი, იმ დონემდეც კი, რომ აშშ-ს მთავრობამ გადაიხადა ვაუჩერული პრივატიზაციის "პი-არ" კამპანიის ხარჯები.

ჰარვარდ-ჩუბაისის ჯგუფს უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა ორივე ქვეყნის მთავრობაში. აშშ-ს მთავრობა, ყოველგვარი ტენდერისა და კონკურსის გარეშე, აძლევდა ამ ჯგუფს დახმარების ფულის განკარგვის უფლებას, რისი გაკეთებაც მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მხარდაჭერით შეიძლება. ამის უკან იდგა ლორენს სამერსი, აშშ-ს ფინანსთა მინისტრი (ხაზინის მდივანი), რომელიც იქამდე მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი იყო, ამჟამად კი ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტია. მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა ჩუბაისთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების გამოყოფა რუსეთისათვის მის სახლში წყდებოდა.

ბუნებრივია, ამან ცუდად იმოქმედა რუსეთზეც და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზეც. პრივატიზაცია რუსეთში კრახით დამთავრდა, რადგანაც მან არა სიმდიდრის შექმნა, არამედ სიმდიდრის კონფისკაცია გამოიწვია და, საბოლოო ჯამში, რუსეთი კიდევ უფრო გააღატაკა.

რატომ გამოიწვია პრივატიზაციამ აღმავლობა პოლონეთში და გაღატაკება რუსეთში? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პოლონელებმა სწრაფ პრივატიზაციაზე და, მით უმეტეს, ვაუჩერულ პრივატიზაციაზე უარი თქვეს. პოლონეთში სამრეწველო პოტენციალის ნახევარზე მეტი ახლაც სახელმწიფოს ხელშია. მეორეც, ჯერ კიდევ 1983 წელს, პოლონეთის მუშახელის ნახევარი კერძო ბიზნესში იყო დასაქმებული. მართალია, ეს იყო მცირე ბიზნესი - რესტორნები, მაღაზიები, ტაქსები, ფერმები, მაგრამ მან მაინც შექმნა გარკვეული ტრადიცია. პოლონეთში ეკონომიკურ რეფორმებს თან ახლდა მცირე ბიზნესის დიდი აღმავლობა, რამაც ქვეყანა იმ კრიზისიდან გამოიყვანა, რომელშიც პოლონეთი შოკური თერაპიის შედეგად აღმოჩნდა. რუსეთში და, ალბათ, საქართველოშიც მსგავსი არაფერი მომხდარა.

რუსეთის ეკონომიკა საბოლოოდ გაანადგურა პრივატიზაციის ბოლო ეტაპმა, ე.წ. "აქციები კრედიტების სანაცვლოდ", როდესაც რუსეთმა ჩალის ფასად გაყიდა არათუ ყველაზე მომგებიანი საწარმოები, არამედ ეკონომიკის მთელი დარგები. მადლობა ღმერთს, ამერიკელებს ამაში მაინც აღარ მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ არც მის შესაჩერებლად იღონეს რამე.

შეგახსნებეთ, რომ დღეს საერთაშორისო დონორების უპირველესი დევიზია კორუფციასთან ბრძოლა. მე ეს ცოტა ცინიკურად მეჩვენება იმ ფონზე, როდესაც სწორედ დონორების ხსნებულმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი კორუფციის აყვავებას.

ვიმეორებ, რომ ამგვარმა პრივატიზაციამ და ეკონომიკურმა რეფორმებმა დიდად დააზარალა აშშ-რუსეთის ურთიერთობები. ცივი ომის დასრულების შემდეგ, რუსეთში ამერიკელები უყვარდათ, რამდენიმე წლის შემდეგ კი, საკუთარ თავზე გამოვცადე რუსების სიძულვილი, როდესაც ისინი უარს ამბობდნენ ჩემთან საუბარზე მხოლოდ იმიტომ, რომ მე ამერიკელი ვიყავი. რუსეთში ახლაც ბევრი მიიჩნევს, რომ მათ გაღატაკებაში ამერიკას უდიდესი წვლილი მიუძღვის.

აშშ-ს ადმინისტრაცია ახლა ამტკიცებს, რომ ელცინისა და მისი ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა აუცილებელი იყო კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლის თავიდან ასაცილებელად, მაგრამ ეს მხოლოდ პროპაგანდაა. რეალურად, იყო უამრავი ალტერნატივა, რომლის განხილვითაც თავი არავის შეუწუხებია. ადგნენ და ასეულობით მილიონი დოლარი პირდაპირ მიართვეს ჩუბაისს, რომელსაც რუსეთის შიგნით ძალზე მცირე მხარდაჭერა ჰქონდა.

როდესაც ჩუბაისი ელცინმა, ბოლოს და ბოლოს, გაათავისუფლა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა მისი დაბრუნება დაჟინებით მოითხოვეს. პრეზიდენტი იძულებული აღმოჩნდა, იგი სავალუტო ფონდთან მთავარ მომლაპარაკებლად დაენიშნა.

ის, რასაც დასავლეთი აკეთებდა, არავითარ შემთხვევაში არ იყო დემოკრატიის მხარდაჭერა. აშშ და ევროპა უგულვებელყოფდნენ, ჩუბაისის გარდა, ყველა სხვა ძალას, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვანს, როგორიც იყო ივლინსკის ჯგუფი. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერას, აქაც ყველაფერი არ არის წესრიგში. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ელემენტი, მე როგორც ვიცი, კონკურენციაა და არა მონოპოლიზმი, რისი შექმნაც დასავლეთმა, ნებსით თუ უნებლიედ, წაახალისა.

საერთაშორისო დახმარებასთან დაკავშირებით ანალოგიური პრობლემები თითქმის ყოველთვის არსებობს. კოორდინაცია დონორებს შორის ძალზე დაბალია, პროექტები ხშირად არეულ-დარეულია და უშედეგოდ სრულდება. მაგრამ საერთაშორისო დახმარებას თითქმის არასოდეს არავინ აკრიტიკებს, განსაკუთრებით, მიმღები მხარე. რადგან, რაც არ უნდა არაეფექტური იყოს დახმარება, მას მაინც შემოაქვს გარკვეული ფული, ქმნის სამუშაო ადგილებს, მათ შორის, საკმაოდ მაღალ ანაზღაურებადსაც. უცხოელი ექსპერტები მშვენიერ ჰონორარებს იღებენ. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილია, საქმე კი ნაკლებად კეთდება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი საერთაშორისო დახმარებასთან დაკავშირებით არის ის, რამდენად ემსახურება იგი მთელი ქვეყნის, და არა ქვეყნის შიგნით არსებული ცალკეული ჯგუფების, ძირითადად, მმართველი ელიტის, ინტერესებს.

კორუფცია საერთაშორისო დახმარებაში ყოველთვის სერიოზული პრობლემა იყო, შეიძლება გავიხსენოთ, თუნდაც, სუჰარტო ინდონეზიაში და მაბუტუ ზაირში. აქცენტი კეთდებოდა ეკონომიკური ზრდაზე და არა კორუფციასთან ბრძოლაზე. ახლახან გადავათვალიერე საერთაშორისო განვითარების ყველა ძირითადი სახელმძღვანელო და უნდა ვთქვა, რომ სიტყვა "კორუფცია" სულ ერთხელ თუ ორჯერ არის ნახსენები და ისიც გაკვრით. ბოლო ხანს, როგორც ვთქვით, დაიწყო სერიოზული მოძრაობა კორუფციის წინააღმდეგ. ამავე დროს, რეპუტაციის გაფრთხილება ძალზე მნიშვნელოვანია. მსოფლიო ბანკისა და მსგავსი ორგანიზაციების წინააღმდეგ, 80-იანი წლების ბოლოდან ახალი პანაცეა გაჩნდა: არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ იდეის თანახმად, თუ დახმარების განაწილება მთავრობის გვერდის ავლით განხორციელდებოდა, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა კორუფციას. მახსოვს, 1992 წლიდან პოლონეთში პროექტების უმეტესობა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით ხორციელდებოდა. არადა, ალბათ, არასწორი იქნება, ვიფიქროთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია აუცილებლად უფრო გამჭვირვალე და სუფთაა, ვიდრე სხვა ინსტიტუტები. ბოლო ათ წელიწადში ფოკუსი შეიცვალა. დონორები მიხვდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია მთავრობასთან თანამშრომლობა. ასევე, დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნას, ვიდრე ადრე.

რაც შეეხება სხვადასხვა დონორების ეფექტურობის შედარებას, "იუსაიდი" საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ, ხანდახან, მათ კარგად არა აქვთ წარმოდგენილი თავიანთი პროგრამებისა და პროექტების შედეგები, რაც ხანდახან, შეიძლება, დესტრუქციულიც კი იყოს; "ტასის"-ს საკმაოდ ზანტ და ბიუროკრატიულ ორგანიზაციად თვლიან, მისი ცენტრალურ-ევროპულ ანალოგ PHARE-საგან განსხვავებით. ცენტრალურ ევროპაში ეფექტურობის საიდუმლო, ალბათ, ის გახლავთ, რომ ადგილობრივი პერსონალი გაცილებით უფრო დიდ მონაწილეობას იღებს პროექტების მართვაში, ვიდრე აქ. მახსოვს, პოლონეთში, ერთ-ერთ პროექტში გაჩნდა პრობლემები კორუფციასთან დაკავშირებით, მაგრამ ევროკავშირის წარმომადგენელმა ვერ გაბედა ხმის ამოღება იმის გამო, რომ, როგორც მან თქვა, "ათი წლის შემდეგ, შესაძლოა, პოლონელი მისი უფროსი გამხდარიყო". ყოფილ საბჭოთა კავშირში ჭეშმარიტი პარტიორობა დონორსა და რეციპიენტს შორის ნაკლებია, ეს ქვეყნები, სამწუხაროდ, მეტისმეტად კორუმპირებულად ითვლებიან.

ქართული დემოკრატიის სერიოზული კრიზისი

ვირველი გვერდიდან

ბზეჟინსკის ცენტრში კავკასიის პროექტის დირექტორი ზეინო ბარანი ინტერვიუში პირდაპირ აცხადებდა, რომ შევარდნაძეს, თუ მას ვაშინგტონთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურს, რეფორმების გატარების გარდა სხვა ალტერნატივა არ აქვს.

ბუნებრივია, შევარდნაძეზე საუბრისას გაცილებით უფრო თავშეკავებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. კოლინ პაუელის მთავარმა წარმომადგენელმა მასმედიასთან ურთიერთობაში, რიჩარდ ბაუჩერმა, საერთოდ არანაირი კომენტარი არ გააკეთა საქართველოს პრეზიდენტის საშინაო პოლიტიკაზე და მხოლოდ იმ ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა, რომ ისინი საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არ ერევიან. მაგრამ დიპლომატისაგან სხვაგვარი კომენტარი მოსალოდნელი არც იყო.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ამერიკის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში შევარდნაძის ავტორიტეტი საკმაოდ მტკიცე და ძნელად შესარყევი აღმოჩნდა. ამ ავტორიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში დიდ როლს მისი, კერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრის ამპლუაში დამყარებული პირადი კონტაქტები თამაშობს. გარდა ამისა, საქართველო ნამდვილად არ არის ამერიკისთვის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მასში დემოკატიული ინსტიტუტების სისუსტე და ადამიანის უფლებათა დარღვევები ამერიკის საგარეო ინტერესებს უქმნიდეს პრობლემას. ამ მხრივ ძალზე სიმპტომატურია ბაუჩერის განცხადების ქვეტექსტი,- რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან ანტიტერორისტულ ოპერაციაში შევარდნაძესთან თანამშრომლობით და მის შიდა პოლიტიკაში არ ერევიან.

მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის ადმინისტრაცია ყოველთვის ძალიან პრაგმატულ და საკუთარ ეროვნულ ინერესებსზე დამყარებულ პოლიტიკას ატარებს. ადამიანის უფლებები და დემოკრატიის სხვა ფუნდამენტური ღირებულებები უცხოეთის ქვეყნებში მხოლოდ მანამდეა მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი, სანამ ის მის ეროვნულ ინტერესებს არ კვეთს. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება, როგორც წესი, უკანა პლანზე იწევს.

ამის კარგ მაგალითად იგივე ცენტრალური აზიაც გამოდგება. იმ ფაქტს, რომ უზბეკეთში და ამ რეგიონის ყველა სხვა რესპუბლიკაში კლასიკური დიქტატურაა, სულაც არ შეუშლია ხელი, რომ ამ ქვეყნების პრეზიდენტები ამერიკის ადმინისტრაციას, ანტიტერორისტული კაპანიის საჭიროებიდან გამომდინარე, ხელგაშლილი მიეღო. ხოლო ის ამერიკული დახმარებები, რომელიც უკვე ფართო არხებით შეედინება ამ ქვეყნებში, ადგილობრივი რეჟიმების გაძლიერებას უფრო ხმარდება, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების და თავისუფალი პრესის განვითარებას.

და თუ საქართველოში სერიოზული გამოხმაურებები აქვს ადამიანის უფლებების დარღვევებს, რელიგიური ნიშნით ადამიანების დისკრედიტაციის ფაქტებს და ამის გამო საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ექმნება პრობლემები, ეს უფრო იმ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის დამსახურებაა, რომელიც, ცენტრალური აზიისა და კავკასიის დანარჩენი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით უკეთ არის განვითარებული. თუმცა ეს აქტიურობა სულ უფრო ძვირი უჯდება სამოქალაქო სექტორს, ხელისუფლება მათ "ჭკუაზე მოსაყვანად" ბოლო დროს სხვადასხვა გზებს ეძებს, გრანტების კონტროლის მცდელობით დაწყებული, ფიზიკური ანგარიშსწორებით დამთავრებული.

ამერიკის ინტერესებში ნამდვილად შედის სტაბილური საქართველო. კეთილშობილურ მიზნებს რომ თავი დავანებოთ, არასტაბილური და ეთნიკური კონფლიქტებით მდიდარი ქვეყნები ნოყიერი ნიადაგი ხდება ტერორიზმის, ნარკო და იარაღის ბიზნესის ასაყვავებლად. გარდა ამისა, სტაბილურობა აუცილებელია დაწყებული ენერგეგტიკული პროექტების ბოლომდე მისაყვანად.

შევარდნაძე ამერიკისთვის მანამდე იქნება მეტ-ნაკლებად მისაღები, სანამ ის მეტ-ნაკლებად დარჩება სტაბილურობის გარანტად. თუმცა შევარდნაძე ალიევი ვერ გახდა, და მისი ყოველი ახალი არადემოკრატიული ინიციატივა, სულ უფრო არასტაბილურს ხდის სიტუაციას და დესტაბილიზაციის მოლოდინს ამძაფრებს. არსებულ სიტუაციაში ყველაზე დიდი მიღწევა ამერიკისათვის, სავარაუდოდ, იქნება ის, თუ შევარდნაძე საპრეზიდენტო ვადას მშვიდობიად ამოწურავს და ხელისუფლებაში ძალაუფლების გადაცემა ზედმეტი კატაკლიზმებითა და სიტუაციის დესტაბილიზაციის გარეშე მოხდება.

მანამდე კი ამერიკა ისევ ფინანსური დახმარებებით ცდილობს სიტუაციის განმუხტვასა და იგივე მოსალოდნელი სოციალური აფეთქების თავიდან აცილებას, ფაქტობრივად კი სიტუაციის დაკონსერვებას. ამაზე ის უამრავი კომპრომისებიც მიანიშნებს, რომელზეც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მუდმივად თანხმდება საქართველოს ხელისუფლების მიერ უამრავი შეუსრულებელი რეკომენდაციის მიუხედავად. ერთ-ერთი ბოლო, ყველაზე სერიოზული დახმარება გახმაურებული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა გახდა. დაახლოებით ორი კვირის წინ, ჩვენთან ინტერვიუში რიჩარდ ბაუჩერმა აღნიშნა, რომ თუ კონგრესში გავა კანონპროექტი დამატებითი გრანტების შესახებ, საქართველოს დახმარება კიდევ გაეზრდება.

ეს ფაქტი, ბუნებრივია, ხელისუფლებისთვის სასიხარულო იქნება, თუმცა ცხადია, რომ ყველა ის ამერიკული დახმარება, წინა დახმარებების მსგავსად, აბსულუტურად ფუჭი იქნება იმ ხელისუფლების ხელში, რომლის პატრიოტიზმი საკუთარი ჯიბის პატრიოტიზმს ვერ ცდება. ამერიკული დახმარება რომ პანაცეა არ არის, ეს უახლესი ისტორიის განმავლობაში უამრავი ქვეყნის მაგალითმა დაამტკიცა. რაც ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობასა და კორუმპირებულობასთან ერთად, იმ ვარაუდის დაშვების საშუალებასაც იძლევა, რომ ამერიკის იდენტურ სქემებზე აგებული პოლიტიკა ყველაგან ერთნაირად არ ამართლებს. თავად ამ ქვეყნის მართლა საათივით აწყობილი სისტემა ამერიკული საზოგადოების ფსიქოლოგიას ემყარება, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება სხვა ქვეყნების საზოგადოებების ფსიქოლოგიისაგან.

დღეს ექსპერტები ამტკიცებენ, რომ იაპონიის სასწაულის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა ამ ქვეყანასთან ამერიკის ინდივიდულურმა მიდგომამ, რომელიც იაპონიის თავისებურებების პროფესიულ ცოდნაზე იყო დამყარებული.

ამერიკის პოლიტიკის წარუმატებლობა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მუსლიმანურ სამყაროში, საფუძველი გახდა, რომ სხვადასხვა დონეზე ამ პოლიტიკის გადასინჯვის ტენდენცია გამოკვეთილიყო. მაგრამ, რამდენად შეეხება ეს ტენდენცია საქართველოს, ძნელი სათქმელია.

თუმცა ცხადია, დღეს ამერიკის ხელისუფლება უფრო კარგად აცნობიერებს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სხვა ღირებულებების დაცვის გარეშე, ტერორიზმთან ბრძოლა სიზიფეს უნაყოფო შრომას დაემსგავსება.

ამერიკის ახალ საგარეო პრიორიტეტებში უკვე გაჩნდა ამიერკავკასიაში და კასპიის რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფალი საზოგადოების განვითარებისთვის ხელშეწყობა, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად კონკრეტულ, უფრო ეფექტურ გზებზე საუბარი დღეს ყველას უჭირს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაშიც ამერიკაში შეხვედრების შემდეგ კიდევ ერთხელ პირადად დავრწმუნდი, არის ის ბანალური ჭეშმარიტება, რომ საგარეო დახმარებები მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორია და ვერც ერთი დახმარება ვერ გააკეთებს იმას, რაც კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებისა და ხელისუფლებისაგან არის გასაკეთებელი.

ბარსელონა - დიდი ნაბიჯი შიდსის დამარცხების გზაზე

ლია თოფურია

ბარსელონაში გაიმართა შიდსის პრობლემებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია დევიზით: "ცოდნა და პასუხისმგებლობა - აქტიური ქმედებისათვის!" ასეთი მასშტაბური ღონისძიება იმართება 2 წელიწადში ერთხელ და წარმოადგენს შიდსის და აივ ინფექციის პრობლემებისადმი მიძღვნილ მთავარ მოვლენას. შეკრებაში მონაწილეობდა პრაქტიკულად ყველა ქვეყნის 15 ათასამდე წარმომადგენელი. გარდა მრავალრიცხოვნობისა და მასშტაბურობისა, ეს ფორუმი სხვამხრივაც განსაკუთრებულია და თავისი სტრუქტურით არ ჯდება მარტო სამედიცინო-სამეცნიერო ღონისძიების ჩარჩოებში - მას სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. სხვა დარგის ანალოგიურ კონფერენციებზე არსად არის ხოლმე წარმოდგენილი ამდენი არასპეციალისტი - ბარსელონაში ისინი მონაწილეთა თითქმის ნახევარს შეადგენდნენ. ესენი იყვნენ ქვეყნების ამჟამინდელი და ყოფილი ლიდერები. მაგალითად, დახურვის ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ საპატიო სტუმრები - ბილ ქლინთონი და ნელსონ მანდელა. ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი და ა.შ. გვესაუბრება საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **თენგიზ ცერცვაძე:**

"საქართველოდან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ჩემს გარდა იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და შიდსით ინფიცირებული პირები (მათ იწვევს ხოლმე შიდსით ინფიცირებულთა საერთაშორისო ორგანიზაცია). ამ ფორუმის მთავარ თავისებურებას სწორედ ეს წარმოადგენს, რომ აქ მონაწილეობს საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენა: დაწყებული სამთავრობო დონიდან - დამთავრებული ყველაზე დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებით, როგორებიცაა უსახლკაროები, მაწანწალები, ჰომოსექსუალები, ნარკომანები; აგრეთვე, აივ ინფიცირებულები და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც თუნდაც რაიმე შეხება აქვთ (ან იჩემებენ, რომ აქვთ) შიდსთან.

დიდი კონფერენციის დღეებში ბარსელონა, შეიძლება ითქვას, ცხოვრობდა შიდსის პრობლემებით: შენობების ფასადები დაფარული იყო სააგიტაციო თვალსაჩინო პლაკატებით, ქუჩები კი გადაკეტილი; იმართებოდა ხალხმრავალი შეკრებები, მრავალნაირი დემონსტრაციები - ჰომოსექსუალების, ნარკომანების, ინფიცირებული პირების, ქალების მხარდამჭერთა და ა.შ. ანუ მიმდინარე ფორუმს საზოგადოების მხრიდან უდიდესი რეზონანსი ჰქონდა, გამომდინარე შიდსის პრობლემის სოციალური დატვირთვიდან, რაც იქ მშვენივრად აქვთ გაცნობიერებული.

კონგრესის პროგრამაც ძალიან მრავალფეროვანი იყო: დაწყებული ჭეშმარიტად სამედიცინო-სამეცნიერო ასპექტებიდან - დამთავრებული სოციალური, პოლიტიკური და სამთავრობო საკითხებით. და მაინც, კონფერენციის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ქვეყნების მთავრობების პასუხისმგებლობის ამაღლება. სწორედ ამ მისიას ემსახურებოდა ქვეყნების ამჟამინდელი და ყოფილი ლიდერების იქ ყოფნა. იყო პრინციპული მოწოდება ყველა ქვეყნის მთავრობისადმი: თუ თქვენ ჯერ კიდევ არა გაქვთ აყვანილი ეს პრობლემა სამთავრობო დონეზე, ეს აუცილებლად და სწრაფად უნდა გაკეთდეს! ამ მოწოდებით გამოვიდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი - სტივენ ლუისი. იგი კონგრესზე კოფი ანანის სახელით გამოდიოდა.

სამედიცინო სფეროში მთავარი, კონკრეტული საკითხი, რა თქმა უნდა, იყო - მიღწევები შიდსის მკურნალობაში მიღწეული წარმატებები იყო. ამ მხრივ ბოლო ხანებში დიდი პროგრესია - დაახლოებით 20-მდე მაღალეფექტური პრეპარატია შექმნილი. მოგეხსენებათ, შიდსის პრობლემა სულ 20 წელია, დადგა და 20 ეფექტური სამკურნალო პრეპარატის არსებობა დიდი მუშაობის მაჩვენებელია. მაგალითისათვის: ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობისათვის სულ 4, მაქსიმუმ - 5 პრეპარატია მოქმედებაში. შიდსის სამკურნალოდ ოფიციალურად რეკომენდებული ეს 20 პრეპარატი არა მარტო ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას, არამედ აუმჯობესებს ხარისხს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიღწეულია ძალიან მნიშვნელოვანი - ავადმყოფმა არა მარტო იცოცხლოს, არამედ იცოცხლოს სრულფასოვნად. სამკურნალო პრეპარატების ე.წ. "ტრიადა" (სამი პრეპარატის კომბინაცია) ხარისხობრივად გაუმჯობესდა და დაემატა მეოთხე პრეპარატი. რაც მთავარია, კარზეა მომდგარი პრინციპული თვისობრივი გაუმჯობესება, ფაქტობრივად რევოლუცია მკურნალობაში - გამოცდას გადის წამლების ახალი კლასი, რომელიც, სავარაუდოდ, მკვეთრად გააუმჯობესებს სიტუაციას.

დიდი ხანია ცნობილია, რომ შიდსის ვირუსის გენეტიკური მასალა უჯრედში მოხვედრის შემდეგ ინტეგრირდება ანუ "ჩაშენდება" უჯრედის გენეტიკურ მასალაში და იქ აგრძელებს არსებობას (შიდსი სწორედ ამიტომ არის მოურჩენელი დაავადება). დღემდე არსებული ყველა პრეპარატი ვირუსს კლავს, სანამ ის თავისუფალი სახით არსებობს სისხლში, და ხელს უშლის მის გამრავლებას, მაგრამ სრულიად ვერ წვდება უკვე უჯრედში შეღწეულ ვირუსს. ახალი კლასის წამლები კი ბლოკირებას გაუკეთებს ვირუსის უჯრედში შეღწევას ანუ აბლოკირებს იმ რეცეპტორს, რომლითაც ვირუსი უჯრედში ახერხებს შესვლას. ამჟამად უკვე მთავრდება ამ წამლების კლინიკური აპრობაცია და იმედოვნებენ, რომ მომავალი წლიდან ისინი უკვე გაყიდვაში იქნება. ითვლება, რომ **ამ წამლების ხმარებაში შემოსვლის შემდეგ შიდსი აღარ ჩაითვლება განუკურნებელ დაავადებად.** თუმცა, გამართლდება თუ არა ეს ოპტიმისტური პროგნოზი, დრო გვიჩვენებს. ეს იყო პრინციპული სიახლე, რაც ამ კონგრესზე პირველად ითქვა ხმამაღლა: **2003-2004 წლიდან კაცობრიობას უჩნდება რეალური შანსი შიდსის დამარცხებისა!** თუმცა შიდსის, ისევე როგორც ნებისმიერი ინფექციური დაავადების, საბოლოო დამარცხება - ეს არის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. წამალმა შეიძლება მოარჩინოს კონკრეტული ავადმყოფი, მაგრამ ვერ მოსპობს დაავადების გავრცელებას. როგორც, მაგალითად, საყოველთაო ვაქცინაციამ მოსპო ყვავილი, პოლიომიელიტი და ა.შ. ამ კონკრეტულ ასპექტშიც დიდი პროგრესია: გამოცდას გადის ათამდე ვაქცინა, მათგან ზოგიერთი ძალიან ახლოა პრაქტიკულ გამოყენებასთან და, ვარაუდობენ, რომ 2005 წლისთვის ვაქცინები ხმარებაში შემოვა. მათი გამოცდა უკვე მიმდინარეობს მოხალისეებზე, ასე რომ, გვაქვს ოპტიმიზმის რეალური საფუძველი.

შიდსის მკურნალობა ამჟამად არსებული პრეპარატებით წელიწადში დაახლოებით 10 ათასი დოლარი (რამდენიმე წლის წინ ეს ფასი 100 ათასს აღწევდა) ჯდება. თუმცა, ამ საფასურის გაღება თითოეულ ავადმყოფზე ქვეყნების უმრავლესობას არ შეუძლია (ახერხებს მხოლოდ აშშ, კანადა, იაპონია და დასავლეთ ევროპის ქვეყნები). იმისათვის, რომ ყველა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი იყოს მკურნალობის ხარჯები, მიმართეს სხვა გზებს. კერძოდ, ორი წელია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ე.წ. "გაეროს შიდსის პროგრამა" ანუ "UNAIDS"-ის დიდი მცდელობის შედეგად, წამყვანმა ფარმაცევტულმა ფირმებმა დაახლოებით 20-ჯერ შეამცირეს წამლების ფასი აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნებისათვის. ეს ის ქვეყნებია, სადაც მოსახლეობა სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და სადაც შიდსის გავრცელების განსაკუთრებით მაღალი დონეა. ეს პროექტი, სამწუხაროდ, არ ვრცელდება სხვა ქვეყნებზე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ღატაკი ქვეყნებისთვის ასეთი შეღავათებიც არ არის გამოსავალი - მათ მთავრობებს თითოეულ ავადმყოფზე 500 დოლარის დახარჯვაც არ შეუძლიათ. არც საქართველოა უკეთეს მდგომაროებაში - როგორც ცნობილია, ჯანდაცვისათვის გამოყოფილია სულ 9 დოლარი 1 სულ მოსახლეზე. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მოქმედებს ე.წ. "უსაფრთხო სისხლის, შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა", რომლისთვისაც გამოყოფილია 1,6 მილიონი ლარი. ამასთანავე, შექმნილია სამთავრობო კომისიები: ერთი - შიდსის, ხოლო მეორე - ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებით."

როგორც ბატონი თენგიზ ცერცვაძე ამბობს, საქართველო შიდსის გავრცელების თვალსაზრისით - როგორც აბსოლუტური რაოდენობით, ისე ზრდის ტემპით (დაფიქსირებულია 320 შემთხვევა) ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილზეა. ანუ ეს ის ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საქართველო თავისი მაჩვენებლებით ჯობნის თითქმის ყველა სხვა ქვეყანას. მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების საბაბს, ვინაიდან კატასტროფული ტემპით იზრდება დაავადებულთა რიცხვი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით - უკრაინაში, რუსეთში, მოლდოვასა და ბელორუსში. აი, ამიტომ ითვლება საქართველო რისკის ზონად და ამიტომ გვაფრთხილებენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ეპიდემიის აფეთქება. "საქართველოს წლევანდელი მაჩვენებლებით (შარშანდელთან შედარებით რამდენიმე შემთხვევით ნაკლებია) კონფერენციაში მონაწილე სპეციალისტები სასიამოვნოდ გაოცებულნი დარჩნენ და ქათინაურები არ დაიშურეს ჩვენი სამსახურის კარგი მუშაობის გამო, მაგრამ ძნელი ასახსნელია ამ მდგომარეობის რეალური მიზეზი, - ამბობს ბატონი თენგიზი, - რა თქმა უნდა, თავისი როლი შეასრულა მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებამ, აგიტაციამ, ბოლოს-დაბოლოს ქართველებიც დაუმეგობრდნენ პრეზერვატივს, პრაქტიკულად იხმარება მხოლოდ ერთჯერადი შპრიცები და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმ ღონისძიებებთან შედარებით, რასაც ატარებენ განვითარებულ ქვეყნებში. მით უმეტეს, გაოცებას იწვევს შიდსის გავრცელების ჯერჯერობით ასეთი დაბალი დონე იმ ფონზე, რომ საქართველოში ძალიან გავრცელებულია ნარკომანია და B და C ჰეპატიტები".

ბარსელონას კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო "შიდსი და ქალები". აქ ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ ქალი უფრო დაუცველია არა მარტო სოციალურად, არამედ შიდსის ვირუსის მიმართაც. იყო მოწოდება მათ დასაცავად და მხარდასაჭერად, მოწოდება ქალების პრეზერვატივების წარმოების გაზრდაზე, ჩატარდა ამ თემისადმი მიძღვნილი დემონსტრაციები და ა.შ. ორიოდე კვირაში ვაშინგტონში შედგება ჯ.ანდერსონის წიგნის "ქალი და შიდსი" პრეზენტაცია და მალე ეს წიგნი ჩვენშიც გავრცელდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა - ეს იყო "შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის" (არსებობს 2001 წლის ივნისიდან) საქმიანობა. ეს ფონდი შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით, მისი ხელმძღვანელია რიჩარდ ფეჩემი. ფონდმა უკვე 5 მილიარდი დოლარის მობილიზება (აქედან 2,5 მლრდ აშშ-მ გადასცა) მოახდინა და ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე ეს თანხა 10 მილიარდამდე გაიზრდება. ფონდი დაეხმარება ყველაზე ღარიბ და შიდსის ყველაზე მაღალმაჩვენებლიან ქვეყნებს, ყოფილი სსრკ რესპუბლიკებიდან კი - ჯერჯერობით, უკრაინას და მოლდოვას. საქართველომაც გააკეთა განაცხადი, რომელიც ყურადღებით იქნა განხილული და, მიუხედავად ჩვენში შიდსის გავრცელების დაბალი ტემპებისა, შეგვპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყანა ამ პროგრამის ჩარჩოებში მოექცევა.

ბარსელონა



ბარსელონას კონფერენციის ემბლემა



თენგიზ ცერცვაძე



სექსუალურ უმცირესობათა დემონსტრაცია

ისტორიული ჩანაწერები

The Beatles

არგენტინელი კოლექციონერი წარმოგვიდგენს "სერჟანტის" კიტელებს

გიორგი კაკაბაძე

ამ ზაფხულს მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოება "ბითლზის" ლეგენდარული ალბომის Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ის 35 წლის იუბილეს აღნიშნავს. ეს ჩანაწერი ჯგუფის შემოქმედების მწვერვალად ითვლება და მუსიკალურ კრიტიკოსთა უმრავლესობა მას საუკეთესო ალბომად მიიჩნევს როკის ისტორიაში. "სერჟანტმა" (როგორც მას შემოკლებით მოიხსენიებენ მუსიკის მოყვარულები) სათავე დაუდო როკ-მუსიკაში კონცეფტუალური საწყისების განვითარებას, ერთი საერთო იდეით გაერთიანებული მხატვრული ნაწარმოების შექმნას. ჰანტერ დევისი, "ბითლზის" ბიოგრაფი: "ეს იყო, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ალბომი როკ-მუსიკის ისტორიაში. "სერჟანტმა" როკის, როგორც მუსიკალური მიმდინარეობის, ფარგლები საოცრად გაფართოვა".

ალბომზე მუშაობა ახალი რეალობიდან გამომდინარე მიმდინარეობდა. 1966 წლის აგვისტოში ჯგუფმა თავისი უკანასკნელი ტურნე ჩაატარა, რის შემდეგაც საბოლოოდ უარი თქვა საკონცერტო გამოსვლებზე და მთლიანად სტუდიურ მუშაობაზე გადაერთო.

1966 წლისათვის როკი უკვე რთულ და მრავალმხრივ კულტურულ მოვლენად ჩამოყალიბდა. ლონდონში - იმდროინდელი როკ-მუსიკის ცენტრში, "როლინგ სთოუნზის", "ჰუს", "იარდბერდზის" გვერდით გამოჩნდნენ ახალი სუპერჯგუფები: "ჯიმი ჰენდრიქს იქსფირიენსი" და "ქრიმი". შეერთებულ შტატებში ბობ დილანი უშვებს თავის საუკეთესო ალბომს Blonde on Blonde, შემოქმედების მწვერვალს აღწევს "ბიჩ ბოიზიც" (ალბომი Pet Sounds). კალიფორნიაში კი ადგილობრივი როკ-ჯგუფები უარს ამბობენ ანდერგრაუნდის იმიჯზე და აქტიურ სტუდიურ მუშაობას იწყებენ. ბევრი ფიქრობდა, რომ დადგა როკ-ოლიმპზე "ბითლზის" ჰეგემონიის დასასრულის დრო. 1966 წლის დეკემბერში "ბითლზი" ახალ ალბომზე იწყებს მუშაობას. ჯგუფის წევრები ფაქტობრივად გადასახლდნენ ები როუდის სტუდიაში. პროექტის სრულფასოვანი განხორციელება, როგორც ჯგუფის წევრების, ასევე ტექნიკური პერსონალის უდიდესი შრომისა და ძალისხმევის ფასად ხერხდება. ჯორჯ ჰარისონი: "ინტენსიური საკონცერტო ტურნეების გამო სტუდიაში ხანგრძლივ მუშაობას ვერ ვახერხებდით. სტუდიაში უკვე გამზადებული კომპოზიციები მოგვქონდა. ამჟამად მთელი მუშაობა სტუდიაში მიმდინარეობს, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ, ვირჩევთ ყველაზე რთულ გზას". პოლ მაკარტნი: "თავიდანვე, როდესაც ალბომზე მუშაობა დავიწყეთ, მე შევთავაზე დაგვვიწყებინა ყველაფერი, რაც მანამდე გვქონდა შექმნილი, წავსულიყავით მაქსიმალურად ექსპერიმენტული გზით. ჩავთვალოთ, რომ ეს იყო დროის გამოწვევა და ჩვენც არ შეგვეძლო, იგი არ მიგვეღო".

1967 წლის თებერვალში გამოჩნდა "ბითლზის" ახალი სინგლი penny lane| strawberry fields forever. მიუხედავად იმისა, რომ სინგლი ბრიტანეთის ჰიტ-პარადის სათავეში ვერ მოხვდა, მან, როგორც მსმენელთა, ასევე მუსიკალურ კრიტიკოსთა მხრიდან დადებითი შეფასებები დაიმსახურა. ნოსტალგიური ინტონაციებით, უცნაური ლექსიკით და ელექტრონული ეფექტებით გაჯერებული მუსიკა სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ჯგუფს მანამდე შეექმნა.

1967 წლის 1 ივნისს გამოდის "ბითლზის" ოთხთვიანი მუშაობის შედეგი - ალბომი sgt. pepper's lonely hearts club band. ახალი ალბომის გამოშვებისათვის გაწეულმა ხარჯებმა 40 ათას ფუნტს გადააჭარბა. მისი ჩაწერისათვის ჯგუფს სტუდიაში 700 საათის მუშაობა დასჭირდა (შედარებისათვის - ბითლზმა სადებიუტო ალბომი სულ 10 საათში ჩაწერა). გენიალური მუსიკა, ბრწყინვალე არანჟირებები, საერთო იდეით გაერთიანებული საოცარი ტექსტები წარმატების საწინდარი გახდა. ბრიტანეთში ორ კვირაში ალბომის 250 ათასი ჩანაწერი გაიყიდა, შეერთებულ შტატებში ერთი კვირის განმავლობაში - მილიონზე მეტი (2001 წლისათვის აშშ-ში sgt. pepper'-ის 11 მილიონზე მეტი დისკია გაყიდული).

პირველად თანამედროვე მუსიკის ისტორიაში სიმღერების ტექსტები განთავსდა ალბომის კონვერტზე. დისკის გარეკანზე "ბითლზის" წევრებთან ერთად წარმოდგენილია 58 ადამიანი, რომლებმაც, ჯგუფის წევრების აზრით, XIX-XX საუკუნეების მსოფლიო კულტურასა და ისტორიას ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს. სპეციალურად პოლ მაკარტნის ძაღლისათვის ალბომის ბოლოს სიგნალი ჩაწერეს, რომელიც მხოლოდ ძაღლის მგრძნობიარე ყურისათვის იყო მისაწვდომი. ყველაფერი ეს ძალზე უჩვეულო იყო იმდროინდელი ხმისჩამწერი ინდუსტრიისათვის.

sgt. pepper-ის ჩაწერისას გამოყენებულია ისეთი ეგზოტიკური ინსტრუმენტები, როგორიცაა ინდური საკრავები: სიტარი, ტაბლა, ტამბურა, დილრუბაი, ასევე კლავესინი, კლარნეტი. სამ კომპოზიციაში ჟღერს სიმფონიური ორკესტრი. ალბომის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის "ბითლზის" პროდიუსერს ჯორჯ მარტინს, რომლისთვისაც ეს ჩანაწერი საუკეთესო პროდიუსერულ ნამუშევრად იქცა.

"სერჟანტში" შესული 13 კომპოზიციიდან მხოლოდ ერთის - within you without you ავტორია ჯორჯ ჰარისონი. ალბომის კონცეფცია და მუსიკალური მასალის ძირითადი ნაწილი პოლ მაკარტნის ეკუთვნის. ჯორჯ მარტინი: "sgt. pepper ძირითადად პოლმა შექმნა, ჯონმა კი მხოლოდ სამი კომპოზიცია დაამატა: lucy in the sky with diamonds, being for the benefit of mr.kite და good morning, good morning. მიუხედავად ამისა, ალბომის სამივე საუკეთესო კომპოზიცია: with a little help from my friends, getting better და a day in the life ლენონ-მაკარტნის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

კომპოზიცია a day in the life ორი სრულიად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება, რომელსაც აგვირგვინებს გრანდიოზული ფინალი 41 ორკესტრანტის მონაწილეობით. ჯონ ლენონი: "როიალთან მედო გაზეთი "დეილი მეილი". სიმღერის ტექსტის ნაწილი სწორედ გაზეთში წაკითხული ინფორმაციის გამოყენების შედეგად დავწერე. შემდეგ მოვასმენინე პოლს და ვთხოვე, დაეწერა შუა ნაწილი. მან შემომთავაზა სიმღერის ფრაგმენტი, რომელიც ადრე ჰქონდა დაწერილი. დამაგვირგვინებელი ფინალი უკვე ერთად მოვიფიქრეთ".

ეპიკური ხასიათით გამოირჩევა ალბომის კიდევ ერთი კომპოზიცია she's leaving home, რომელიც ყვავილების თაობის - ჰიპების ჰიმნად იქცა.

ფანების ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ახალი სიმღერების ტექსტები ნარკოტიკების ზეგავლენის შედეგად შეიქმნა. განსაკუთრებული ეჭვის ქვეშ აღმოჩნდა ჯონ ლენონის lucy in the sky with diamonds. უკვე კომპოზიციის სახელწოდებას ჰალუცინოგენ ლსდ-ზე ფარულ მინიშნებად მიიჩნევდნენ. თავად ლენონის განცხადებით, სიმღერის იდეა მას მისი შვილის დახატულმა ნახატმა შთააგონა.

ის, თუ რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა sgt. pepper-ს, ნათლად ჩანს გამოკითხვიდანაც, რომელიც 1967 წლის დეკემბერში ჩატარდა ამერიკულ კოლეჯებში. გამოკითხულ სტუდენტთა 60-მა პროცენტმა სწორედ ეს ალბომი დაასახელა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელმაც მათ ცხოვრებაზე ზეგავლენა მოახდინა.

"ბითლზის" ნამუშევრით მოხიბლულმა მიკ ჯაგერმა გადაწყვიტა ჩაეწერა თავისი ჯგუფის კონცეფტუალური ალბომი. 1967 წლის ბოლოს გამოსული "როლინგ სთოუნზის" their satanic majesties request არა მარტო მუსიკალური თვალსაზრისით, არამედ გაფორმებითაც წააგავს sgt. pepper-ს. 1967 წლის გაზაფხულზე ები როუდის სტუდიებში თავის სადებიუტო ალბომზე მუშაობდა "პინქ ფლოიდი", რომლის piper at the gates of dawn აგრძელებს sgt. pepper-ის მიერ არჩეულ მუსიკალურ მიმართულებას. sgt. pepper-მა კალიფორნიული ფსიქოდელიური როკ ჯგუფების შემოქმედებასაც დიდი ბიძგი მისცა.

თავისი არსებობის მანძილზე "ბითლზი" წარმოადგენდა ერთგვარ მუსიკალურ ლაბორატორიას, სადაც მუშავდებოდა იდეები, რომლებმაც ფაქტობრივად განსაზღვრეს როკ-მუსიკის შემდგომი განვითარება. 1963 წლის დებიუტიდან მოყოლებული, ჯგუფის ყოველ ახალ ალბომს წინამდებარესაგან განსხვავებული, მუსიკალური მიღწევები გააჩნდა. მაგრამ ამ ფონზეც, sgt. pepper-ი გამოირჩევა, როგორც ჯგუფის ყველაზე უფრო გაბედული, უკომპრომისო ნამუშევარი. ალბომი გამოსვლისთანავე იქნა შერაცხული, როგორც მოვლენა თანამედროვე მუსიკაში და იგი დღემდე სამოციანების სიმბოლოდ რჩება.

ჰემინგუეი - 103

ჰემინგუეის შარშანდელი კონკურსის გამარჯვებული, ოჰაიოელი დენი ვუდსი დამარცხებულ მეტოქეებთან ერთად

REUTERS

უკვე მეორე დღეა ქალაქ კეი ვესტში (ფლორიდა) ერნესტ ჰემინგუეის თითქმის ყველგან ხედავენ. უფრო ზუსტად, ხედავენ თეთრწვერა მამაკაცებს, რომელთაც ძალიან სურთ, რომ ჰემინგუეის გავდნენ. მათ კეი ვესტში შეკრება ტყუილუბრალოდ არ გადაწყვიტეს – 14 ივლისიდან ფლორიდა "მოხუცი და ზღვის" გამოცემიდან 50 წლისთავს და მწერლის დაბადების 103 წლის იუბილეს აღნიშნავს. ღონისძიება "ჰემინგუეის დღეები" 21 ივლისამდე გრძელდება და მწერლის პროტოტიპების კონკურსის გარდა, ჰემინგუეის სახლში გამართულ წვეულებას, მისი ნივთების გამოფენას და ნოველების კონკურსს მოიცავს.

მწერალი კეი ვესტში 1930-იან წლებში ცხოვრობდა და სათევზაოდ თითქმის ყოველდღიურად დადიოდა. სწორედ ამ შთაბეჭდილებების წყალობით შეიქმნა "მოხუცი და ზღვა". ნოველა პირველად 1952 წელს, ჟურნალ LIFE-ში დაიბეჭდა, 1953 წელს კი ჰემინგუეიმ "მოხუცი და ზღვისთვის" პულიცერის პრიზიც მიიღო. ეს ნაწარმოები გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იმისთვისაც, რომ მოგვიანებით ჰემინგუეი ნობელის პრემიის ლაურეატი გამხდარიყო.

მწვანე შუქი ახალბედებს

მეტ დეიმონი და ბენ აფლეკი თავიანთ აგენტთან ერთად

პირველი წარმატების შემდეგ, რომელიც "ოსკარით" დასრულდა, მეტ დეიმონი და ბენ აფლეკი ერთმანეთს აღარ დაშორებიან. წყვილმა დამწყები რეჟისორების დახმარებაც გადაწყვიტა და საკუთარი კომპანიის Liveplanet Productions-ის ფარგლებში ყოველწლიურ კონკურსს Project Greenlight-ს (პროექტი მწვანე შუქი) ჩაუყარა საფუძველი. კონკურსის გამარჯვებულ სცენარისტს ისინი ფილმის გადაღებისათვის საჭირო ფინანსებით უზრუნველყოფენ.

მალე ეკრანებზე სწორედ დეიმონი-აფლეკის წყალობით გადაღებული ფილმი გამოვა. მისი დაფინანსება Liveplanet-მა 2001 წლის კონკურსზე გადაწყვიტა. Speakeasy-ის რეჟისორი და სცენარის ავტორიც ბრენდან მარფია. მისი ფილმი მოგვითხრობს საბედისწერო შემთხვევაზე, რომელიც ერთ უცნაურ ოჯახს ეხება. მართალია, ხსენებულ კონკურსში მარფის სცენარი მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ დეიმონს და აფლეკს პროექტი ისე მოეწონათ, რომ მცირებიუჯეტიანი, დამოუკიდებელი ფილმის დაფინანსება მაინც გადაწყვიტეს. Project Greenlight-ი ახალი სეზონის კონკურსის დაწყების შესახებ განცხადებას აგვისტოშივე გააკეთებს.

სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

ახალგაზრდა ხელოვანთა არაკულტურული მისია

ვოიაჟი კახეთში ნარკომანიის წინააღმდეგ

"ზუმბა" - ზაზა კორინთელი

ბესო ხვედელიძე, შოთა იათაშვილი და გაგა ნახუცრიშვილი ფესტივალის ორგანიზატორთან ერთად

დუტა სხირტლაძე

იური ლოგოდინის ფოტოები

ვერა ნეფარიძე

უკანასკნელი ვიკენდი არამხოლოდ თელავის კულტურული ცხოვრებისთვის იყო განსაკუთრებული. ახალგაზრდა მუსიკოს-ლიტერატორებმა დასვენების დღეები ნარკომანიასთან ბრძოლას მიუძღვნეს. ბრძოლა კი, კახეთის გულიდან, თელავიდან დაიწყო. დევიზს, "ერი ჰეროინის წინააღმდეგ", კვირას საკუთარი შემოქმედებით შოთა იათაშვილმა, ბესო ხვედელიძემ, გაგა ნახუცრიშვილმა, ამირან სვიმონიშვილმა, "ზუმბამ", "მთვარის კლუბმა" და დუტა სხირტლაძის "ღამურებმა" დაუჭირეს მხარი.

ახალგაზრდა ქართველი ხელოვანების დარაზმვა ნარკომანიის წინააღმდეგ, ორგანიზაცია "მატარებელმა" და მუსიკალურ წრეებში კარგად ნაცნობმა "ბენჯიმ" (ზაალ ბაიდაშვილი) ძირითადად, "სოროსის" ფინანსური დახმარებით მოახერხა. კახეთში ვოიაჟს ერთი-ორი მონაწილის გარდა, საერთო არფერი ჰქონია რამდენიმე დღის წინათ "ბაკურიანში" გამართულ სემინარ-შეხვედრასთან. თუმცა, ლექსები და სიმღერები არც ახალგაზრდა შემოქმედების უკანასკნელ ქალაქგარეთ გასვლას აკლდა.

მხიარული ვოიაჟი დაიწყო "კონკასთან", სადაც კახეთში გასამგზავრებელ ლიტერატორებს უცნობი მელექსე (ალბათ შინაგანმა ხმამ თუ უკარნახა) შეეხმიანა. უცნობი სახალხო მთქმელი აღმოჩნდა, ვისი ყოველი სტროფიც იმ ადამიანთა გარითმული გინებით სრულდებოდა, რომელთა გამოცნობა დაუსახელებლადაც არ გაუჭირდება მკითხველს. უცნობს ერთი-ორი სტროფი ნარკომანიის თემაზეც რომ დაეწერა, იგი აქციის გაუთვალისწინებელი მონაწილე უთუოდ გახდებოდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და ვიდრე სისხლში გამჯდარი პუნქტუალობით გამორჩეული ლიტერატორები გამოჩნდებოდნენ, სახალხო მთქმელმა საკუთარი "შემოქმედების" კითხვით შეკრებილების შემოქმედებითი პოტენციის ამაღლებაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა. მათი ლიტერატურული პოტენცია ლექსის თქმით აღტკინებული გამომსვლელების რეპერტუარსა (საკუთარით დაწყებული კლასიკოსი ავტორების ნაწარმოებებამდე) და გამოსვლის რეგლამენტზე აისახა. ასე რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად გაჭირდებოდა ზაფხულის მზით გათანგული მგზავრებისთვის სამსაათიანი გზის მოთმენა.

გზაში წარმოთქმულმა ლექსებმა და ხუმრობებმა ნაკლებად გაახალისა ამირან სვიმონიშვილის მეგობარი, შვეიცარელი მწერალი, დენიელ სალადინი. მართალია, იგი ცნობილია, რორც კონსტანტინე გამსახურდიასა და გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების მკვლევარი, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორების იუმორის გასაგებად ნამდვილად სჭირდებოდა თარჯიმანი. ამისთვის კი, ნაკლები დრო ჰქონდა აქციის ყველაზე სიტყვამოსწრებულ მონაწილესთან, გაგა ნახუცრიშვილითან დებატებში ჩართულ ამირან სვიმონიშვილს. თავის მხრივ, იუმორი არც სტუმარს აკლდა. თელავში, სააკაძის ძეგლთან საორგანიზაციო საქმეების მოსაგვარებლად გაუჩინარებული ბენჯის მოლოდინში, დანიელმა, რომელიც რატომღაც, ყველაზე დიდი ინტერესით ელოდა კონგრესის (როგორც მან დაგეგმილ სემინარს დაარქვა) დაწყებას, იხუმრა: "ან ჩვენ ვართ სხვა ქალაქში და ან კონგრესი გადაიტანესო". მანვე უწოდა "მედიტაციური კონგრესი" პირველ დღეს ჩაშლილ სემინარს; ფრაზა აქციის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გამოთქმად იქცა. ვინაიდან ვოიაჟის ხუმრობებს გადავწვდით, არ შემიძლია არ ვახსენო ის ხუთასი ფანი, რომელთა არსებობა ავტობუსში ბენჯიმ ("დამირეკეს, თქვენ ახლა ქალაქში ხუთასი ფანი გელოდებათო") მგონი, მონაწილეთა პასუხისმგებლობის გრძნობის ასამაღლებლად გამოიგონა. თუმცა, გაგა ნახუცრიშვილმა ეს ხუმრობა აქციის ორგანიზატორს "ძვირად დაუფასა" – ვოიაჟის განმავლობაში, პოეტის მოსწრებული იუმორის ობიექტი ყველაზე ხშირად სწორედ ორგანიზატორი იყო. ამას ხელი არ შეუშლია ბენჯის ობიექტურობისთვის. მან "ყაზბეგის" მიერ საჩუქრად დაწესებული მაისური რეკორდული რაოდენობის ლუდის მსმელ ნახუცრიშვილს გადასცა.

პირველ დღეს თბილისელი აქტივისტები ნარკომანიას არ შებრძოლებიან. სემინარი, გარკვეული მიზეზების გამო, მეორე დღისთვის გადაიტანეს. შაბათს კი, სტუმრები კახურ მენიუს: მუსიკასა და იუმორს შუამთაში, მამია მაჭავარიანისეულ ეზოში გაეცნენ. თუმცა, ვერც ტრადიციული კახური სუფრის ეშხმა და ვერც ზადიძეების სასტუმროს კეთილმოწყობილმა პირობებმა ვერ შეაჩერა ლიტერატორების შემოქმედებითი წვა. მგონი, ასეთმა პირობებმა პირიქითაც იმოქმედა: იათაშვილმა და ხვედელიძემ თელავში ერთობლივი ლიტერატურული ნაწარმოების შემქნა გადაწყვიტეს. დუეტს ჟურნალისტი ლაშა გაბუნიაც შეუერთდა და მათ ლიტერატურას პუბლიცისტური სტროფები შემატა. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც "24 საათის" კუთვნილებად დარჩა.

აქციის ოფიციალური ნაწილი თელავის გამგეობაში კვირას, ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის წარმომადგენელმა, აკაკი გამყრელიძემ გახსნა. სამწუხაროდ, სემინარს მხოლოდ უფროსი თაობის თელაველები ესწრებოდნენ. ახალგაზრდობა კი მხოლოდ საღამოს გამართულ კონცერტზე მივიდა, სადაც მათ ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ ცნობილი მუსიკოსები და ლიტერატორები მოუწოდებდნენ.

თელავის თეატრის წინ, მოედანზე შეკრებილი აუდიტორიის ნარკოტიკულ მისწრაფებებზე ვერაფერს გეტყვით. მათი აპლოდისმენტებით მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ლექსების მოსმენა ნამდვილად ყვარებიათ. აქ, სხვა მსგავსი კონცერტებისგან განსხვავებით, პოეტებს არ უსტვენდნენ. პირიქით: მუსიკოსებს არ ეწყინებათ თუკი დავადასტურებ, რომ მეტი ოვაცია (თელავური "ღამურების" გარდა) სწორედ თბილისიდან ჩატანილ პოეზიას ჰქონდა. კონცერტზე პირველი "ბრავოც" ხომ ბესო ხვედელიძემ დაიმსახურა. აი, შოთა იათაშვილისთვის კი, კახეთში ვოიაჟი, თაყვანისმცემლების აღმოჩენით აღინიშნა. პირველი თელაველი ფანი შოთამ სემინარზე გაიცნო. "თქვენი "მანიფესტი" და "ანდერძი" ყველამ ზეპირად ვიცოდით ჩვენს სამეგობროში" – უთხრა უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა იათაშვილს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ადამიანს ზეპირად ახსოვდა პოეტის უზარმაზარი ძველი ლექსიც, რომლის არსებობაც იათაშვილმა მისი დახმარებით გაიხსენა.

აქცია, თელაველი მელომანების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დუტა სხირტლაძისა და მისი მეგობრებისთვის. ბოლო ათი წლის განმავლობაში სცენაზე პირველად გამოვიდა მათი ბავშვობის ასაკში შემქნილი როკ-ჯგუფი "ღამურები". ბითლზის" ტრადიციების გამგრძელებელმა "ღამურებმა", ათწლიანი პაუზის კვალობაზე, კარგად შექმნეს როკ-ენ-როლის განწყობა, რის გასაძლიერებლადაც მუსიკოსებმა Yesterday-ს საკუთარი ვერსიაც მოიშველიეს. დუტა კი, ავტოგრაფებისთვის შეკრებილი უამრავი თაყვანისმცემელის გარემოცვაში, ნამდვილი დასავლეთელი როკ-ვარსკვლავი იყო. "ღამურებით" გახურებული, თუ მუღამზე მოსული პუბლიკის აპლოდისმენტები არ დაკლებია არც "ზუმბასა" და არც "მთვარის კლუბს" (ჯგუფიდან მხოლოდ ვოკალისტი, ლევან ქუმსიაშვილი იყო). რაც მთავარია, აქციამ გაამართლა – კმაყოფილები დარჩნენ პოეტები, რომელთაც მოუსმინეს; მუსიკოსები – ვისგანაც, "ზუმბელი" მაგდას თქმით, მაქსიმუმი მოითხოვეს და თავად თელაველებიც, ვინც ეს ყველაფერი მუსიკისა და ლიტერატურის თანამედროვე ოსტატებისგან მიიღო. ორგანიზატორები კი, ასეთმა შედეგმა მსგავს სამომავლო აქციებზე დააფიქრა.

პერმში მოკლეს ცნობილი ქორეოგრაფი ევგენი პანფილოვი

2001 წელს პანფილოვს პრესტიჟული თეატრალური პრემია „ოქროს ნიღაბი„ მიანიჭეს

დავით ბუხრიკიძე

კვირას, ქალაქ პერმში, საკუთარ ბინაში პოლიციის თანამშრომლებმა მკვდარი იპოვეს ცნობილი რუსი ქორეოგრაფი, ევგენი პანფილოვი. მოკლულს დანით უამრავი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. პოლიციელთა ვარაუდით, დამნაშავენი, რომლებიც ბინაში გასაქურდად შევიდნენ, არ ელოდნენ, რომ სახლის პატრონი შინ დახვდებოდათ. პერმის ქორეოგრაფიულ კოლექტივს, რომელსაც ევგენი პანფილოვი ხელმძღვანელობდა, მონაწილეობა უნდა მიეღო ეკატერინბურგში გამართულ თანამედროვე ცეკვის ფესტივალზე. ქორეოგრაფის ტრაგიკული სიკვდილი კარგად წარმოაჩენს არა მხოლოდ კრიმინალურ ვითარებას, არამედ ხელოვნების მდგომარეობასაც პოსტსაბჭოთა სივრცეში.

42 წლის იური პანფილოვი თანამედროვე რუსული ქორეოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. 80-იან წლებში, როდესაც საბჭოეთში ტერმინი "თანამედროვე ცეკვა" ჯერ კიდევ ბურჟუაზიული "დაავადების" აღმნიშვნელი იყო, მან შექმნა სამოყვარულო-საცეკვაო დასი და პროპაგანდას უწევდა "თავისუფალ ცეკვებს". შემდეგში ამ ტერმინით მონათლეს მიმდინარეობა, რომელმაც უკვე 90-იან წლებში, ევროპაში დიდი აღიარება მოიპოვა.

პანფილოვი არაერთი პრესტიჟული ქორეოგრაფიული პრემიის ლაურეატი იყო, როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში. 1992-94 წლებში მან მშობლიურ პერმში მოაწყო ბალეტის საერთაშორისო კონკურსი სახელწოდებით ARABESK, 1993 წელს, პარიზში მიანიჭეს საპატიო ქორეოგრაფიული პრემია Prix volinine, 2000 წელს კი, დევნილმა და მუდმივად იატაკქვეშეთში მყოფმა ქორეოგრაფმა, როგორც იქნა, აღიარება მოიპოვა - მშობლიურ რუსეთში მის დასს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭეს.

სხვათა შორის, პანფილოვი იყო ერთ-ერთი თანამედროვე რუსი ქორეოგრაფი, რომელსაც საფრანგეთში ბალეტის კრიტიკოსებმა ყველაზე ნიჭიერი უწოდეს. გენადი აბრამოვთან (რომლის "კინეტიკური ბალეტი" მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი) და ტატიანა ბოგაევასთან ერთად (რომელმაც თანამედროვე ცეკვის ცენტრი პროვინციულ ეკატერინბურგშიც ჩამოაყალიბა), ევგენი პანფილოვი თანამედროვე რუსული ცეკვის თეატრის სახეს წარმოადგენდა. თუმცა კლასიკური ბალეტის ბღენძი წარმომადგენლები მას ყოველთვის შურითა და ირონიით უყურებდნენ.

2001 წლს, პანფილოვმა, როგორც იქნა, საყიოველთაო აღიარება მოიპოვა და სპექტაკლისათვის "დედაკაცები,1945 წელი" პრესტიჟული ყოველწლიური პრემია "ოქროს ნიღაბი" დაიმსახურა. ყველაზე უცნაური და საოცარი ის არის, რომ პანფილოვმა ქუჩის ქალებისგან (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) შექმნა საოცარი და უშუალო დასი - სახელწოდებით "მსუქანთა ბალეტი", რომელშიც სხვადასხვა ასაკის არაპროფესიონალები გაერთიანდნენ. რუსულმა კრიტიკამ გვიან, მაგრამ მაინც აღირსა ეპითეტი "თავგადაპარსული პერმელი გენიოსი". ზოგისთვის იგი, უბრალოდ, არც არსებობდა, რადგან შოკისა და ეპატაჟის მომგვრელი მისი წარმოდგენები, მოწინააღმდეგეებში გააფთრებულ წინააღმდეგობას ბადებდა. ერთ-ერთ რეცენზიაში კი ამგვარ რამესაც ამოიკითხავთ: "სამყაროს, რომელიც უაზრობამ და უგემოვნებამ დაამარცხა, პანფილოვმა მის მიერ ნაჩუქარი სარკე შეაჩეჩა." სამწუხაროდ, ეს "სარკე" აღარ დაიორთქლება მისი გამომწვევი, ბრწყინვალე, პროვოკაციული ქორეოგრაფიის სუნთქვით.

რუდოლფ ვალენტინოდან ტომ კრუზამდე

Paramount Pictures არ ბერდება

Paramount Pictures-ის სტუმრები: ვუპი გოლდბერგი

ეშლი ჯადი და დევიდ სპეიდი

ჯეინ ფონდა და სალი ფილდი

ალ პაჩინო

თამარ ბაბუაძე

როცა ბიზნესს ლოს ანჯელესში დაიწყებ, თანაც 1916 წელს და თანაც კინოს განხრით და 90 წლის შემდეგაც ფეხზე მყარად იდგები, მაშინ ნამდვილად საზეიმოდ გაქვს საქმე.

კვირას, 14 ივლისს, Paramount Pictures-ში გრანდიოზული მოლხენის მიზეზი სწორედ ეს ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღი იყო. კომპანია 90 წლის გახდა. ჰოლივუდში, Paramount-ის სტუდიაში მოწყობილ უზარმაზარ გალა-მიღებას ამერიკული კინემატოგრაფის ყველა დროის ცნობილი სახე ესწრებოდა. ძველ ჰოლივუდს მიკი რუნი, ჯეინ რასელი, პატრისია ნილი წარმოადგენდნენ, თანამედროვე ვარსკვლავებს კი – დაიან კიტონი, ჯეინ ფონდა, მაიკლ დუგლასი, ალ პაჩინო, სილვესტერ სტალონე...

იუბილარი (ანუ, კომპანიის დღევანდელი ხელმძღვანელობა), რა თქმა უნდა, ბედნიერი იყო და, როგორც ასეთ ამაღელვებელ წუთებში ხდება ხოლმე, თავის ნამდვილ დაბადების დღეს იგონებდა.

ეს 1912 წელს იყო. Paramount Pictures-სი ჰოლივუდს თავიდან Famous Players Film Company-ის სახელით მოევლინა (ცნობილი მსახიობების კინო-კომპანია). ამ ორგანიზაციაში მართლაც ცნობილი სახეები შედიოდნენ, სარა ბერნარისა და მერი პიკფორდის ჩათვლით. თუმცა, ორი წლის შემდეგ, მეწილეების ფინალურ თათბირზე, რომელსაც წინ კულუარული გარიგებები უძღოდა, კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ადოლფ ცუკორმა საკონტროლო პაკეტი მოიპოვა. ეს გასაკვირი არ არის, ცუკორი ხომ ჰოლივუდში ერთ-ერთი ყველაზე გაიძვერა პროდიუსერის სახელით სარგებლობდა. მან ჯერ Famous Players-ი ჩაიგდო ხელში, შემდეგ მთავარ მოწილეს, ჯესი ლესკის დაუკავშირდა, მეტოქე კომპანია Sam Goldfish-ი (მოგვიანებით, Samuel Goldwyn-ი) შეისყიდა და ბოლოს, Paramount-ი დააარსა.

უკვე წლებია, Paramount Pictures-ი მრავალ მსახიობს უზრუნველყოფს ვარსკვლავის სტატუსით. პირველი მსახიობი კი, რომელსაც ვარსკვლავობისკენ გზა Paramount-მა გაუკვალა, რუდოლფ ვალენტინო იყო – ჰოლივუდის იერარქიულ კიბეზე აღმასვლა ვალენტინომ სწორედ Paramount-ის მიერ 1921 წელს გადაღებული პირველი ფილმის, "შეიხის" შემდეგ დაიწყო.

კინოს ისტორიკოსი ნილ გებლერი აღნიშნავს: "ცუკორი მეფე გახლდათ". თუმცა, ალბათ, ვერც ეს მოხერხებული და ნიჭიერი ბიზნესმენი წარმოიდგენდა, თუ რამხელა იმპერიად იქცეოდა მის მიერ დაარსებული კომპანია.

ცუკორის ისტორიული სტარტიდან 90 წლის შემდეგ Paramount-ი ჰოლივუდში კვლავაც დომინანტის როლს ასრულებს. Paramount-ი არის სამარკო ნიშანი, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, კენტუკიდან კატმანდუმდე მოიაზრება, ის არის კორპორაცია, რომლის ლოგოსაც, ვარსკვლავებიან მთის მწვერვალს, ღირსეული ადგილი უკავია საზოგადოების ცნობიერ თუ ქვეცნობიერ მეხსიერებაში; და ბოლოს, Paramount-ი არის ცენტრი, რომლის გარშემოც Viacom-ის მედია-იმპერია აშენდა. ფინანსური ანალიტიკოსების მონაცემებით, Paramount Pictures-ის ქონება, კინო და ტელე, თემატური პარკებისა და საგამომცემლო სახლის, Simon & Shuster-ის ბიზნესიდან 10 მილიარდ დოლარს აღწევს. 90 წლის წინ კი ცუკორის ქონება სულ 1.5 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა...

Paramount Pictures-ის ეს წარმატებული გზა აშკარად ამტკიცებს, რომ 90 წლის კომპანიას სიბერემდე ჯერ ბევრი უკლია. Paramount-ი ამერიკულ მედია ბაზარზე ჯერაც ახალგაზრდულად გრძნობს თავს.

მონუმენტური შოუ - „გზა სიკვდილისაკენ„ 2002

თამარ სუხიშვილი

რეჟისორი: სემ მენდესი.
სცენარის ავტორი: დევიდ სელფი.
მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯენიფერ ჯეისონ ლეი, ჯუდ ლო, დენიელ კრეიგი და სხვები

თორმეტი წლის ბიჭი მაიკლ სალივანი (უმცროსი) ტბის პირას დგას და თავისი მამის, ჩიკაგოში მცხოვრები ირლანდიელი მაფიოზის დაქირავებული მკვლელის, მაიკლ სალივანის ამბავს გვიყვება, ამბავს, რომელიც სიკვდილის გზაზე ხდება.

ახალ ფილმს "გზა სიკვდილისაკენ" (Road to Perdition) მაქს ალან კოლინზის ნაწარმოები და ილუსტრატორ რიჩარდ პიერს რეინერის მისტერია-კომიქსის სერიალი უდევს საფუძვლად. მოქმედება ვითარდება ჩიკაგოში, ფილმის მთავარი გმირია მაიკლ სალივანი (ტომ ჰენკსი), რომელსაც მტრებიც და მეგობრებიც საშიშ კაცად იცნობენ.

საქმეში უკომპრომისო მაიკლ სალივანი თავისი ოჯახის - მეუღლისა და ორი ვაჟის ერთგულია. თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ როცა ორი სამყარო ერთმანეთს შეეჯახება, კონფლიქტიც სწორედ მაშინ იწყება. ორი სამყაროს დაპირისპირებას ტრაგედიისკენ მივყავართ, იღუპებიან სალივანის ცოლი და უმცროსი ვაჟი... ამის შემდეგ მაიკლს სხვა არჩევანი არა აქვს, ის თავის უფროს ვაჟთან ერთად შურისძიების გზას დაადგება.

"შვილები იმისათვის გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე, რომ მამები დატანჯონ," - ექოსავით გაიჟღერებს ფილმში ბებერი ირლანდიელი მაფიოზის, ჯონ რუნის (პოლ ნიუმანი) სიტყვები. რუნი თავის ვაჟს, კონორს (დენიელ კრეიგი) დაუპირისპირდება. კონორიც შავი სამყაროს წარმომადგენელია, მაგრამ მამა-შვილის პრინციპები ერთმანეთს არ ემთხვევა: რუნი ძველი მაფიოზური კანონებით ცხოვრობს და შვილს მეგობრის მოკვლას არ აპატიებს. სამაგიეროდ, რუნის ღვიძლ შვილზე მეტად უყვარს თავისი გაზრდილი ობოლი სალივანი. მაგრამ ფილმში მოქმედება ისეთნაირად ვითარდება, რომ რუნის ნათქვამი უკუღმაც შებრუნდება: "მართალია, მამები შვილებს ბევრ რამეს ასწავლიან, მაგრამ უამრავ საზრუნავსაც უჩენენ." (ეს ნათლად ჩანს როგორც სალივანისა და მისი ვაჟის, ასევე თავად რუნისა და სალივანის მაგალითზე, რომლებიც ბოლოს მაინც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს).

ფილმი "გზა სიკვდილისაკენ" უკვე გამოვიდა მსოფლიო ეკრანებზე. ეს მეორე ფილმია, რომელიც რეჟისორმა სემ მენდესმა გადაიღო. თეატრის ბრიტანელი მაესტრო, კარგა ხანია, ჰოლივუდის სიის სათავეში მოექცა ფილმით "ამერიკული სილამაზე". მისი ახალი ფილმიც მშვენიერი კინემატოგრაფიული ნამუშევარია, ცოტა სიურეალისტური, თანაც კლასიკური. კრიტიკოსები უკვე ბევრს ლაპარაკობენ ფილმის ვიზუალურ მხარეზე და მას მონუმენტურ შოუს უწოდებენ.

რა ავითარებს ფილმის ტრაგიკულ ჯაჭვს? - ფილმში პროტაგონისტი ოჯახის ერთგული განგსტერია და ეს უკვე ტრაგედიაა. მაგრამ მთავარი მაინც უმცროსი მაიკლის პატივისცემა და ცნობისმოყვარეობაა მამის პიროვნებისა და საქმიანობის მიმართ. მთავარი გმირის როლის შემსრულებელს, ტომ ჰენკსს შვილის შეკითხვა საგონებელში აგდებს და ასე იწყება მისი პიროვნების გაორება. ბიჭი მამის მანქანაში იმალება და მოულოდნელად მამის საიდუმლო, თანაც, საბედისწერო შეხვედრის მოწმე გახდება. ვერაფერი დააჯერებს სალივანის მტერს, კონორს, რომ ბავშვი მოგზავნილი არ არის. კონორი ულმობელ გადაწყვეტილებას იღებს - ბიჭი უნდა მოკვდეს. ის სალივანის სახლში შეიჭრება, ჯერ ცოლს (ჯენიფერ ჯეისონ ლეი) მოუკლავს, გზაზე შინისკენ მომავალ უმცროს ვაჟს გადაეყრება და მასაც სიცოცხლეს გამოასალმებს, მაიკლის ნაცვლად...

ასე იწყება შურისძიება. კონორი ჩიკაგოს ერთ-ერთ სასტუმროში იმალება. სალივანი, რომელიც სულ იმას ცდილობს, რომ მისი ვაჟი მამის გზას არ დაადგეს, ბოლოს შვილს თვითონვე აძლევს იარაღს და სროლასაც ასწავლის.

დენიელ კრეიგი, პოლ ნიუმანი, ტომ ჰენკსი და ჯუდ ლო ფილმის ნიუ-იორკულ პრემიერაზე. 2002 წლის 9 ივლისი
REUTERS

ფილმი კლასიკური ვესტერნის მკაცრი და უცვლელი მორალით საზრდოობს, მაგრამ აქ იგრძნობა ღმერთისა და ჯოჯოხეთის რწმენა, წინა პლანზეა წამოწეული მონანიების, დანაშაულის გამოსყიდვის მოტივი. ფილმის გმირები სწორედ ამ კუთხით არიან დანახულნი, მათ რაღაც შორეული, მითიური აურა აქვთ. ფილმში ბიბლიური სიუჟეტიც იკითხება: თითქოს სიმბოლურადაა წარმოჩენილი ორი სამყარო - სამოთხე და ჯოჯოხეთი, ჩნდება ასოციაციები აბრაამისა და ისააკის, კაენისა და აბელის მოტივებთან. თვითონ სიტყვას perdition (სიკვდილი, დაღუპვა) რელიგიური დატვირთვაც აქვს, მას ხშირად ჯოჯოხეთთან კონტექსტში მოიხსენიებენ.

ფილმს - "გზა სიკვდილისაკენ" - უკვე ადარებენ "ნათლიას", "სოპრანოსა" და სხვა ფილმებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის კლინტ ისტვუდის Unforgiven-ს უფრო წააგავს. ზემოხსენებული ვესტერნი თავისი მითიური შინაარსით ძალიან უახლოვდება ბერძნულ სამყაროს. აქვე ყურადსაღებია ისიც, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით არის შერჩეული სისხლისღვრისა და ძალადობის მომენტები. ძალადობის დიდი ნაწილი სცენის მიღმა ხდება. რეჟისორი დიდხანს ფიქრობდა ამ საკითხზე და ბოლოს ბერძნული ტრაგედიის პრინციპი აირჩია. ფილმში მონაწილე მსახიობებმა თითქმის ერთხმად მოიწონეს მისი გადაწყვეტილება, რადგან ფილმი სწორედ იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობა მოძალადეზეც და იმ ადამიანზეც, რომელიც მოძალადეს განსჯის. ამიტომ ძალადობის უშუალო ეფექტის ჩვენება სრულებითაც არ ჩათვალეს საჭიროდ. მიუხედავად ამისა, "გზა სიკვდილისაკენ" R-კატეგორიის ფილმია, რომლის ნახვაც 17 წლამდე ასაკის მოზარდებს მშობლების თანხლების გარეშე ეკრძალებათ.

ერთ-ერთ ინტერვიუში ტომ ჰენკსი, რომელიც დიდი თეატრალური გამოცდილების მქონე კინომსახიობთა მცირე რიცხვს მიეკუთვნება, ხსენებულ ფილმში თავისი წარმატების მიზეზად სწორედ სცენაზე მოღვაწეობას მიიჩნევს და გულწრფელად წუხს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა მსახიობები თეატრალური კულტურისა და გამოცდილების დეფიციტს განიცდიან.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა აცხადებს კონკურსებს:

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 5 აგვისტო
(18.00 სთ-მდე)

ტელ: 25-04-63 ან 93-89-99
ფაქსი: 29-10-52

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

 კავკასიის ამბები

საქართველოს ნაკრები თურქეთს შეხვდება

დიმიტრი ობოლაძე

ქართველთა მომავალი მეტოქეები

REUTERS

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის ემზადება. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხშირად სპარინგ-პარტნიორების არასწორ შერჩევაში ადანაშაულებდნენ და, ალბათ, სამართლიანადაც. 21 აგვისტოს საქართველოს ნაკრების მორიგი მეტოქე უნდა ყოფილიყო ესტონეთის გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ ესტონელებმა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ რუსეთის გუნდს მოუგეს, ქართველი გულშემატკივარი ბალტიისპირელთა სპარინგ-პარტნიორობას საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა. გუშინ საღამოს კი გაირკვა, რომ, ესტონელთა ნაცვლად, ჩვენი გუნდის მეტოქე დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თურქეთის ნაკრები იქნება. ეს კი ნამდვილად სერიოზული მიღწევაა. ეროვნული ნაკრები შეხვედრას, 21 აგვისტოს, ტრაბზონში გამართავს. წინა დღეს ქალაქ რიზეში ერთმანეთს შეხვდებიან თურქეთისა და საქართველოს ახალგაზრდული გუნდები. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მოედანზე ახალი სათამაშო ფორმით გავლენ. ფედერაციამ ფირმა "ლოტოს" მიერ გამოგზავნილი სრული ეკიპირება მიიღო. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას განცხადებით, ახალი ეკიპირების წონა ერთი ტონაა. შესარჩევი ტურნირის დაწყების წინ თურქეთის ნაკრებთან თამაში ეროვნული ნაკრებისთვის პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. სწორედ ეს თამაში გახდება გენერალური რეპეტიცია და გულშემატკივარიც დაინახავს გუნდის რეალურ პოტენციალს. თურქული ფეხბურთი არა მარტო რეალურ პროგრესს განიცდის, არამედ უკვე წარმოადგენს სერიოზულ ძალას, რასაც ადასტურებს დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიც. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე მიემგზავრება გერმანიაში, სადაც 17 ივლისს ფრაიბურგში "ფრაიბურგისა" და თბილისის "დინამოს" ამხანაგურ შეხვედრას დაესწრება. ჩივაძე ეროვნული ნაკრების კანდიდატთა თამაშს დააკვირდება. რაც შეეხება ესტონელებთან შეხვედრას, ეს მატჩი თებერვალში გაიმართება.

ესპანური კლუბები ფინანსურ კრიზისში

ხუან რამონ რიკელმე კონტრაქტის გაფორმებისას

REUTERS

აკა ტონია

ესპანურმა კლუბებმა უკვე დაიწყეს "პრიმერადივიზიონის" მორიგი სეზონისათვის მზადება. გუნდების ვარჯიშზე ახალ გვარებს ძნელად თუ წააწყდებით, როგორც ჩანს, ესპანეთის წლევანდელ ჩემპიონატს გუნდები თითქმის იგივე შემადგენლობებით შეუდგებიან.

კრიზისი ესპანელებსაც შეეხოთ

ხმაურიანი ტრანსფერები ამ ზაფხულს არ შედგა და ალბათ ახლო მომავალში აღარც უნდა ველოდეთ. იტალიელების მსგავსად ესპანურმა გუნდებმაც მინიმალური თანხები გაიღეს ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

ამ მომენტისათვის, სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე დიდი აქტიურობით მადრიდის "ატლეტიკო" გამოირჩევა. ესპანეთის უმაღლეს ლიგაში ახლად დაბრუნებულმა კლუბმა ხავი მორენოს ("მილანი") და ემერსონის ("დეპორტივო") სანაცვლოდ ჯამში 12 მილიონი ევრო გაიღო. ხოსე მარის, ალბერტინის და კოლოჩინის (განათხოვრებული იყო "ალავესში") სახით მადრიდელებმა იტალიური "მილანიდან" სამი ფეხბურთელი ინათხოვრეს. ამას ემატება სერხი, რომელიც გუნდში უსასყიდლოდ იქნა გადაყვანილი.

წლევანდელი რეკორდი მხოლოდ 10 მილიონია

დღემდე, ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი ლა კორუნიის "დეპორტივომ" განახორციელა. გალისიელებმა პარაგვაელი აკუნიას სანაცვლოდ "სარაგოსას" 10 მილიონი ევრო გადაურიცხეს.

აკუნიას შეძენით "დეპორტივომ" "ბარსელონას" აჯობა, რომელიც არგენტინელი რიკელმეს შეძენით წლევანდელი ზაფხულის რეკორდსმენი იყო ძვირადღირებული ტრანსფერების თვალსაზრისით. მართალია რიკელმეს გამოსასყიდი 11 მილიონ ევროს შეადგენს, მაგრამ კატალონიელებს, მისი ყოფილი კლუბის "რივერ პლეიტის" ანგარიშზე ჯერჯერობით მხოლოდ 6 მილიონი აქვთ გადარიცხული.

უცნაური კონტრაქტი

ნოემბრამდე რიკელმე სანახევროდ ორივე კლუბის - "ბარსელონასა" და "რივერ პლეიტის" საკუთრებას წარმოადგენს. თუ კატალონიელები ფეხბურთელის შეძენას გადაწყვეტენ, მაშინ მათ დანარჩენი 5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. თანხის დაფარვის შემთხვევაში რიკელმე 80 პროცენტით "ბარსელონას" საკუთრება გახდება, 20 პროცენტი კი კვლავინდებურად "რივერ პლეიტს" დარჩება. თუ რომელიმე გარეშე კლუბი არგენტინელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ უფრო დიდ თანხას შესთავაზებს, მაშინ "ბარსელონა" იძულებული იქნება განსხვავება დაფაროს და "რივერ პლეიტს" დამატებითი თანხა გადაუხადოს. თუ არა და კატალონიელებმა რიკელმეზე უარი უნდა თქვან. ასეთი გართულებული კონტრაქტი ფეხბურთში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის ნათელი მაგალითია. კრიზისია არა მარტო იტალიაში, არამედ ესპანეთშიც.

ლუის ვან გაალის დაჟინებული მოთხოვნით, არგენტინელები რიკელმეს კონტრაქტში ერთი დამატებითი პუნქტის შეტანაზე დათანხმდნენ. "ბარსელონას" ფეხბურთელის განათხოვრების უფლება აქვს. რიკელმეს სახით, უცხოელებით ისედაც გატენილ კლუბს კიდევ ერთი არაევროპელი დაემატა, რაც დამატებით პრობლემას ქმნის: მოედანზე მხოლოდ 4 არაევროპელის გამოყვანაა ნებადართული. გარდა ამისა, "ბარსელონას" ჰოლანდიელი მწვრთნელი თვლის, რომ მის გუნდს რიკელმეს დახმარება ნაკლებად სჭირდება. "მის პოზიციაზე რივალდო და ლუის ენრიკე მყავს. მოედნის მარჯვენა ფლანგზე უფრო ვსაჭიროებთ გაძლიერებას, ვიდრე მის ცენტრში," – ამბობს ვან გაალი.

მენდიეტას რივალდოში ვერ გაცვლიან

სწორედ მარჯვენა ფრთის გასაძლიერებლად სურდა ვან გაალს გაიცკა მენდიეტას რომის "ლაციოდან" გადმოყვანა. იყო საუბარი, რომ "ბარსელონა" რომაელებს მენდიეტას სანაცვლოდ ბრაზილიელ რივალდოს დაუთმობდა. ეს გარიგება სავსებით რეალური იყო, ყოველ შემთხვევაში, "ლაციოს" პრეზიდენტ სერჟიო კრანიოტისათვის, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: "ტრანსფერის განხორციელება შესაძლებელია. იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანებში, რივალდოს სახით ახალ შენაძენს წარმოგიდგენთ."

ვან გაალი მენდიეტას შეძენით კვლავინდებურადაა დაინტერესებული, თუმცა ამ ფეხბურთელის რივალდოში გაცვლის ოპერაცია ჩაიშალა: რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომაელები მენდიეტას სანაცვლოდ, რივალდოსთან ერთად გარკვეული თანხის გადახდასაც ითხოვენ. ცხადია, ეს არ აწყობს "ბარსელონას". ამას ემატება ის, რომ თავად ბრაზილიელს არავითარ შემთხვევაში არ სურს კლუბის მიტოვება. რივალდომ კარგად იცის, რომ სხვაგან არსად გადაუხდიან წელიწადში 10 მილიონს.

ხუან რამონ რიკელმეს ბედი კი ჯერაც გაურკვეველია.

"რეალი" კვლავინდებურად ხელმოცარულია

წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე უიღბლო გუნდად კვლავინდებურად მადრიდის "რეალი" რჩება. სამეფო კლუბის სასურველ ფეხბურთელთა სიაში უამრავი ხმაურიანი სახელი იყო: რონალდო, რონალდინიო, ნესტა, შევჩენკო და ა. შ. "რეალმა" ვერც ერთი ამ ფეხბურთელის შეძენა ვერ შეძლო. ამასთან ერთად, მადრიდელებმა ვერაფრით მოიცილეს თავიდან ის ფეხბურთელები, რომელთა გაყიდვაზეც დიდ ხანია ფიქრობენ.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ორმა ჩემპიონმა რონალდომ და რონალდინიომ "რეალში" გადასვლაზე უარი განაცხადეს, სამეფო კლუბმა, ასევე ბრაზილიელების, ამჯერად უკვე მცველების – ლუსიოსა და ედმილსონის გადაბირება განიზრახა.

ბაჯო „მერცხლებთან" რჩება

სეზონის ბოლოს ისეთი აჟიოტაჟი იყო ამტყდარი რობერტო ბაჯოს მომავალი კლუბის შესახებ, რომ არავის ეგონა, თუ "კიკინიანი ლეგენდა" ისევ პატარა, პროვინციულ "ბრეშაში" დარჩებოდა.

ლონდონის "ჩელსი", რომელმაც დიდი ინტერესი გამოავლინა ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელების მიმართ, მზად იყო ბაჯოსთვისაც შეეთავაზებინა კონტრაქტი, მაგრამ "პატარა ბუდა", როგორც ჩანს, ჯერ კიდევ იმედოვნებს, ჯოვანი ტრაპატონი ერთ დღესაც იმდენად გულმოწყალე გახდება, რომ მას ნაკრებში აიყვანს და ევრო 2004-ზე ასპარეზობის საშუალებას მისცემს.

სწორედ ამ იმედით სულდგმულობდა ბაჯო, როცა "ბრეშაში" თამაშობდა და ამავე იმედით შეპყრობილი რჩება ლომბარდიულ კლუბში. "მერცხლების" პრეზიდენტმა ჯინო კორინიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ "ლა კოდინემ" მის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც ჩანს, ბაჯოს კარიერა სწორედ "ბრეშაში" დასრულდება.

მორიგი იტალიური სურვილი

ვინც ლონდონის "ჩელსის" არისტოკრატთა კლუბს ეძახის, ძალიანაც ცდება. ჯანლუკა ვიალის ხანიდან დაწყებული, "ჩელსი" ყოველთვის პრემიერლიგის იტალიური კლუბი იყო და დღემდე ასეთად რჩება.

ლონდონელთა იტალიელ თავკაც კლაუდიო რანიერის თანამემამულე ფეხბურთელები ისე უყვარს, რომ მათ გარეშე ინგლისში მუშაობა ვერც კი წარმოუდგენია. "ჩელსიმ" უკვე დაკარგა ერთი იტალიელი – სამუელ დალა ბონამ სამშობლოში მოისურვა დაბრუნება და "მილანში" გადავიდა. ამბოზეტისაც მსგავსი სურვილი აქვს და კლუბში იტალიურ ბალანსი რომ არ დაირღვეს, რანიერი "ლაციოს" მცველ ჯუზეპე პანკაროს იწვევს გუნდში. პანკაროს "ლაციოში" არც ისე წარმატებული სეზონი ჰქონდა და თუ გაუშვებენ, ალბათ სიამოვნებით წავა ლონდონში.

კიდევ ერთი კანდიდატი

მუნდიალზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია თავგამოდებით ეძებს ეროვნული ნაკრების ახალ ხელმძღვანელს და ჯერაც ვერ უპოვია.

აფრიკელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი საკმაოდ სერიოზული კანდიდატი მოიაზრებოდა – ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა და სერბი მილორად ურუკალო. ახლახანს კი მათ რიცხვს შეემატა წარსულში სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუუდ გულიტიც.

გულიტი რომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, ალბათ ყველას კარგად ახსოვს. წარმატებული სამწვრთნელო კარიერით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამ სფეროში რაღაც გამოცდილება ნამდვილად აქვს – 40 წლის ექსვარსკვლავი ერთ დროს ინგლისური "ნიუკასლის" მწვრთნელი იყო.

სანტა კრუსი ლაზარეთშია

მოკლედ, ბედი არ წყალობს ამ ფეხბურთელს. ჯერ იყო და მუნდიალის მერვედფინალში, პარაგვაისა და გერმანიის ნაკრებების მატჩში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ვეღარ შეძლო თამაშის გაგრძელება. ახლა კი ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა.

მიუნხენის "ბაიერნი" ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდს შეხვდა და მოუგო (6:0), სანტა კრუსმა კი სწორედ მაშინ იტკინა ფეხი, როცა უკანასკნელი გოლი უნდა გაეტანა. როგორც კლუბის ექიმი ჰანს ვილემ ვოლფარტი აცხადებს, პარაგველი ფორვარდი ვარჯიშს მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაიწყებს.

ბირჰოფი „სამშობლოში" ბრუნდება

სწორედ ასე წერენ გერმანული გაზეთები. გგონიათ, ევრო 96-ის დაძაბული ფინალის "ოქროს გოლის" ავტორი ბუნდესლიგაში აპირებს კარიერის დასრულებას? სულაც არა. ეკონომიკის დოქტორს სურს დაბრუნება "მშობლიურ" კლუბში, ანუ იტალიურ "უდინეზეში".

ბირჰოფი "უდინეზეში" 1995 წელს მივიდა და 1998 წლს სერია ა-ს პირველი გერმანელი გოლეადორი გახდა. სამი სეზონის განმავლობაში, ბირჰოფმა, უდინური კლუბის მაისურით, 58 გოლი გაიტანა, შემდეგ კი "მილანში" გადავიდა.

ჯერჯერობით კონტრაქტი ოფიციალურად გაფორმებული არ არის და გერმანელი ფორვარდი ისევ ფრანგული "მონაკოს" საკუთრებაა, მაგრამ როგორც გერმანელი და იტალიელი სპორტული ჟურნალისტები იუწყებიან, ბირჰოფი "უდინეზეში" ორი წელი ითამაშებს, ისევ ცხრა ნომერი იქნება, შემდეგ კი უდინურ კლუბში მენეჯერის ამპლუაში გააგრძელებს მოღვაწეობას.

„ბარსას" გაცვლა არ სურს

ამაოდ იმედოვნებდნენ "ლაციოს" ტიფოზები, რომ მომავალი სეზონიდან რომში მსოფლიო ჩემპიონს რივალდოს იხილავდნენ. როგორც "ბარსელონას" პრეზიდენტმა, ხუან გასპარმა განაცხადა, მას არც კი უფიქრია, რივალდო რომაელებისთვის დაეთმო და ვერ გაუგია, რატომ ვრცელდება ასეთი ჭორები.

არადა, სპორტულ პრესაში გაცხარებით მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ "ლაციო" კატალონიელებს მენდიეტას უთმობდა და სანაცვლოდ რივალდო მიჰყავდა. როგორც ჩანს, ასეთი გაცვლა არ შედგება.

პაულუ სერჟიოს უცნაურობა

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა, პაულუ სერჟიომ საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. "ბაიერნის" ექსფეხბურთელმა უარყო იტალიური "ტორინოს" წინადადება და კარიერის გაგრძელება, არც მეტი და არც ნაკლები, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გადაწყვიტა.

ბრაზილიელი ერთი წელი დარჩება არაბულ კლუბ "ალ ვეჰდაში", რომელიც ქვეყნის ჩემპიონი იყო 2000-01 წლებში. ფეხბურთელი ჯერჯერობით არ ახმაურებს, გასამრჯელოდ რა სახის თანხას მიიღებს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ პაულუ სერჟიოს ემირატებში სერიოზული ანაზღაურება ელოდება.

საესი ესპანელებს უხელმძღვანელებს

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არაერთმა ნაკრებმა მოასწრო მწვრთნელის შეცვლა. გუშინ ასეთებში ესპანეთის ნაკრებიც გაერია. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საკუთარი სურვილით გადამდგარი ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაცვლად ამიერიდან ნაკრებს ინიაკი საესი გაწვრთნის.

საესმა ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობით გაითქვა სახელი. მისი მწვრთნელობის პერიოდში ესპანელმა ახალგაზრდებმა ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს, 2000 წელს კი ოლიმპიადის ფინალში გავიდნენ.

მეტსიუ არაბეთში გადაიხვეწა

სენეგალის ნაკრები ახალი მწვრთნელის ძიებაშია. ბრუნო მეტსიუ, რომლის ხელმძღვანელობითაც სენეგალის ნაკრებმა ფურორი მოახდინა მსოფლიო ჩემპიონატზე, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გადაიხვეწა და იქაურ "ალ აინს" ჩაუდგა სათავეში. ჯერჯერობით კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება, თუმცა, ფრანგული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, მეტსიუ საამიროებში მხოლოდ ერთი სეზონი დარჩება. მერე კი სენეგალში დაბრუნდება და ნაკრების წვრთნას გააგრძელებს. მის არყოფნაში სენეგალელებს ვინმე სხვა გაწვრთნის. სავარაუდოა, რომ ის "ვინმე" მეტსიუს თანაშემწე იქნება.

Tour de France

ფრანგული დღესასწაული ჰოლანდიურად

ლუჩანო ტაიოლი
სან-მარტინ-დე-ლანდელ - ჰლუაი
სპეციალურად „24 საათისთვის„

კარსტენ კრუნი REUTERS

ბასტილიის აღების დღე განსაკუთრებული დღეა ყველა ფრანგისთვის. ყველაფერი ამ თარიღის, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის სიმბოლოდ ქცეული 14 ივლისის გარშემო ტრიალებს. ბურთის სათამაშო დარბაზში მიღებული თავისუფლების ქარტია დღესაც, ორი საუკუნის შემდეგაც, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად რჩება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანებისთვის.

ძნელად, რომ ქვეყნად მოიძიოთ სპორტული შეჯიბრება, რომელიც ყოველ წელიწადს აღნიშნავდეს ამ თარიღს. სხვა ყველაფერთან ერთად, ტურ დე ფრანსი ამითაც არის ღირსშესანიშნავი. მისი ერთ-ერთი ეტაპი აუცილებლად ემთხვევა ბასტილიის დღეს და ბედნიერია სპორტსმენი, რომელიც ამ დღეს იქნება ფინიშთან პირველი.

იმას, ვინც ტურ დე ფრანსის შეჯიბრებებს სისტემატურად ადევნებს თვალს, აუცილებლად ეხსომება ერთი ჰოლანდიელის გვარი, რომელიც ჩვენი მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობი ჯეკი დურანდივით სტაჟიანი გამქცევია. საუბარია ჰოლანდიური "რაბობანკისავე" წევრ ერიკ დეკერზე. სხვათა შორის, სიტყვა "ჰოლანდიელის" ხმარება ამ წერილში ხშირად მომიწევს და თუ რატომ, მერე და მერე მკითხველი თვითონ მიხვდება.

ტურის ისტორიას ბასტილიის დღისადმი მიძღვნილი ბევრი შეტევა ახსოვს. ახსოვს და ინახავს. ამიტომ თუ ცდილობენ ასეთი თავგამოდებით მაინცდამაინც ამ ეტაპის მოგებას. ტკბილი და ბანგის მომგვრელია ისტორიის ფურცლებზე მოხვედრის შესაძლებლობა. ტკბილია იმიტომ, რომ ღრმა სიბერეში, შვილიშვილებით გარშემორტყმულს, ამაზე დიდი და ჟრუანტელის მომგვრელი მოსაგონარი არაფერი ექნება.

მეორმოცე კილომეტრზე შვიდი კაცი დაადგა ამ სანუკვარი ჯილდოსკენ მიმავალ გზას. სამი ფრანგი, სამი ჰოლანდიელი და ერთიც ლატვიელი.

საერთოდ, შემჩნეულია, რომ სიმბოლური მოგონებები განსაკუთრებულ ელფერს სძენენ, ძალასა და გამბედაობას მატებენ ადამიანებს.

ალბათ, არასოდეს დამავიწყდება 1997 წლის ტური და ის, თუ როგორ გაიმეორა შვილმა...

იმ წელიწადს, თუ არ ვცდები, მეხუთე ეტაპზე შეტევა განახორციელა ვინმე ვასერმა, მანამდე ყველასთვის უცნობმა ოცდახუთი წლის ბიჭმა. ასეთი გამწარებული იერიში ტურის სტაჟიან ქომაგებსაც არ ახსოვდათ. ორმოცდაათი კილომეტრის შემდეგ პელოტონიდან ოტებული ერთადერთი კაცი ჩვიდმეტწუთიან განსხვავებას ქმნის. რამდენიმე გუნდი გამოუდგა გაქცეულს, მაგრამ ისღა მოახერხა, რომ ოთხ წუთამდე შეამცირა სხვაობა. მერეღა გასკდა ამბავი. 27 წლის წინათ ზუსტად ასეთივე ფანტასტიკური იერიშით მოეგო მამამისს. ჟურნალისტების ალყაში მოქცეულმა, სულ რამდენიმე სიტყვით ახსნა ყველაფერი: ერთთავად მამაჩემზე და 27 წლის წინანდელ გამარჯვებაზე ვფიქრობდიო. - საოცარია, - რბოლის შემდეგ სატელეფონო საუბარში აღიარა ალან ვასერმა, - მეჩვენებოდა, რომ ბოლო 15 კილომეტრი ჩემს შვილთან ერთად ვატრიალებდი პედლებს...

სიტყვა "ბასტილია" იყო ის ჯადო, რომელმაც შვიდი მოიერიშე უმაღლესი კლასის სპორტსმენად აქცია. რაღას არ მიმართა პელოტონმა, რომ ეს შეტევა უვნებელეყო, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და თხუთმეტი კილომეტრით ადრე ბედს შეურიგდა. დანარჩენი იმ მცირე ჯგუფის საქმე, მისი გადასაწყვეტი იყო.

იქ კი ნამდვილი ომი გაჩაღდა. მაყურებელი გულში წინასწარ ზეიმობდა ფრანგის გამარჯვებას. ასე არ მოხდა და ეს სულაც არ ნიშნავდა სიმბოლოების გაფერმკრთალებას. სიმბოლური იყო ისიც, რომ პირველი სამი ადგილი ჰოლანდიელებს ხვდათ, იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, ვინაც პირველებმა მოახდინეს ყველაზე უსისხლო და უმტკივნეულო რევოლუცია.

ტექნიკური შედეგები

VIII ეტაპი. სან-მარტინ-დე-ლანდელ - პლუაი. 217.5 კმ.

1. კარსტენ კრუნი ("რაბობანკი", ჰოლანდია) - 4 სთ. 36 წთ. 52 წმ.

2. სერვაის კნავენი ("დომო", ჰოლანდია) - იგივე დრო.

3. ერიკ დეევერი ("რაბობანკი", ჰოლანდია) - იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპანეთი) - 32 საათი, 18 წთ. 46 წმ.

2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +4 წმ.

3. იორგ იაკშე ("ონსე", ესპანეთი) - +12 წმ.

. . .

8. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - +34 წმ.

საუკეთესო სპრინტერი

1. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 193 ქულა

2. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 191

3. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) - 134

გუნდური

1. ონსე - 96 სთ. 56 წთ. 34 წმ.
2. CSC ტისკალი - +1 წთ. 36 წმ.
3. US პოსტალი - +2 წთ. 31 წმ.

ქრივი

იღბლიანი კვირა

რუსეთის ქალაქ პერმის რინგზე გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კრივში. შაბათისგან განსხვავებით, კვირა ქართველი მოკრივეებისთვის იღბლიანი გამოდგა. რინგზე ოთხი ქართველი გამოვიდა.

პირველად ლაშა ოჩიგავამ იჩხუბა. 54 კგ წონით კატეგორიაში მისი მეტოქე იყო პოლონელი ანდრეი ლიხიკი. ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა. ლაშასგან სიურპრიზებს არავინ მოელოდა, მაგრამ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის, გიორგი კანდელაკის თქმით, ლაშას ლიხიკის დამარცხება შეეძლო.

როგორც ჩანს, ლაშამაც ეს იგრძნო და ორი რაუნდი თავგამოდებით ეჩხუბა გაკადნიერებულ სლავს. ყველაფერი მესამე რაუნდში გადაწყდა, ქართველმა მეტოქისგან რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა, რამაც მსაჯების სიმპათია და გამარჯვების სასწორი პოლონელის მხარეს (17:15)გადახარა.

მართალია, ოჩიგავა ტურნირს გამოეთიშა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს კვირადღის ერთადერთი წარუმატებლობა იყო. დანარჩენ შემთხვევებში კი, ქართველებმა მეტოქეებს კრივის კარგი გაკვეთილი ჩაუტარეს. გიორგი კანდელაკის თქმით, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არავინ ელოდა, თუ კაშია, ბოლქვაძე და ბერკაცაშვილი ესოდენ შთამბეჭდავად იჩხუბებდნენ და იოლად გაუსწორდებოდნენ მეტოქეებს.

60 კგ წონით კატეგორიაში ავთანდილ კაშიას მეტოქე იყო კვიპროსელი პოლიდოროს პოლიდოროუ. ქართველმა თავიდანვე აშკარა უპირატესობა მოიპოვა. მან კვიპროსელს 14 დარტყმა მიაყენა და მხოლოდ ორი მიიღო, რაც გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

67 კგ წონით კატეგორიაში კი მალხაზ ბერკაცაშვილმა შავი დღე აყარა ვიტალი გრუშაკს. მალხაზის გამანადგურებელ დარტყმებს გრუშაკმა მხოლოდ რამდენიმე წუთს გაუძლო. ერთ რაუნდში სამი ნოკდაუნი იგემა და, ქართველი მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა.

მაკედონიელი პრიმისლავ დიმოვსკის სახით გაგა ბოლქვაძესაც იოლი მეტოქე ერგო. + 91 კგ. წონითი კატეგორია ერთ-ერთი პრესტიჟულია კრივის სამყაროში, ამიტომ ყოველი გამარჯვება მაშინვე სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია.

ბოლქვაძემ ბევრი ურტყა მეტოქეს და ცოტაც რომ დასცლოდა, არაქათგამოცლილ დიმოვსკის რინგზე გააკრავდა, თუმცა მისი 17 დარტყმა 4-ის წინააღმდეგ თავისთავად მეტყველებს ქართველის აშკარა უპირატესობაზე.

ქართველთა ესოდენ შთამბეჭდავი გამარჯვებების შემდეგ, ბევრმა სპეციალისტმა აზრი შეიცვალა. ქართველი მოკრივეები მედლების მოპოვების რეალურ კანდიდატებად იქცნენ, ხოლო საქართველოს ნაკრებს პატივისცემით იხსენიებენ. გიორგი კანდელაკის მტკიცებით, მათ ჩვენს მიმართ მორიდება ადრეც ჰქონდათ, რამდენიმე კარგი ჩხუბის შემდეგ კი ქართველი მოკრივეებით ბევრი სპეციალისტი დაინტერესდა.

კალათბურთი

„პორტლენდმა" ნარკომანთან კონტრაქტი გააფორმა

კვინტელ ვუდსმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან". სავარაუდო სატრანსფერო თანხა 2,6 მილიონი დოლარია. შარშან 21 წლის ფორვარდი ერთ-ერთი კოლეჯის გუნდში თამაშობდა და მატჩში, საშუალოდ, 32,3 ქულას აგროვებდა. თუმცა, ამის მიუხედავად, კალათბურთელი დიდხანს ყოყმანობდა, ჩაებარებინა თუ არა უნივერსიტეტში.

ბოლოს ვუდსმა პროფესიული სპორტი აირჩია და დრაფტში მონაწილეობაზე განაცხადი შეიტანა. იგი 21-ე ნომრად აირჩიეს. სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ვუდსი, რომელსაც nba-ს ვარსკვლავს ტრეისი მაკგრეიდსაც ადარებენ, დრაფტზე პირველ ათეულში უნდა ყოფილიყო, მაგრამ კალათბურთელს პირადი ცხოვრების ზოგიერთმა შტრიხმა შეუშალა ხელი: კოლეჯში დაბალი მოსწრება ჰქონდა და ოფიციალურად მარიხუანას მომხმარებლად ითვლებოდა. ასეთი დახასიათების შემდეგ, ბუნებრივია, მასზე მოთხოვნილება შესუსტდა.

მიუხედავად ამისა, კალათბურთელი ცდილობს, მავნე ჩვევები წარსულს ჩააბაროს და უკვე შაბათს შეუდგეს პირველ ვარჯიშს თავის ახალ კლუბში, რომელიც სოლტ-ლეიკ-სიტის საზაფხულო ლიგის თამაშებისთვის ემზადება.

ჩოგბურთი

ლეიტონ ჰიუიტი - მწვანე კორტის უპირობო მეფე

ჰაატა თოთაძე

ლეიტონ ჰიუიტი REUTERS

მწვანე კორტის მეფე ჰიუიტს უიმბლდონის შემდეგ შეარქვეს. 2001 წლის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი, მეორე წელია, ზედიზედ არავის ანებებს ბალახის კორტზე გამარჯვებას და სპეციალისტების თქმით, ამ სახელს იმსახურებს.

როცა პატრიკ კეში უიმბლდონის ფინალს იგებდა, მისი პატარა თანამემამულე, ლეიტონ ჰიუიტი ტელევიზორში ქომაგობდა თავის კერპს და დიდი კეშის მიღწევაზე ოცნებობდა. ავსტრალიელმა ბავშვობის ოცნება აისრულა, უიმბლდონი მოიგო და პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში უდიდესი პროგრესი განიცადა. მეხუთე საფეხურიდან პირველზე აღზევდა.

ისევ არ ახდა ბრიტანელ ჩოგბურთის მოყვარულთა ოცნება – უიმბლდონის ფინალში გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელი ეხილა. ტიმ ჰენმანმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო ცენტრალურ კორტზე შეკრებილი უამრავი ქომაგის გახარება.

ჰენმანისა და ჰიუიტის ნახევარფინალმა ინგლისში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. იმ დღეებში ჰენმანი ინგლისის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა, ხოლო ჩოგბურთმა პოპულარობით ფეხბურთიც კი დაჩრდილა. როგორი მოსათმენია, 1977 წლის შემდეგ ამ ქვეყნის წარმომადგენელს, ერთეულთა თანრიგში, უიმბლდონის ტურნირი არ მოუგია. მაშინ, 25 წლის წინათ, ვირჯინია უეიდმა გაიმარჯვა და სანუკვარი ჯილდო თვით ინგლისის დედოფალმა, ელისაბედ მეორემ გადასცა.

მონარქი ამჯერადაც ეწვია მწვანე კორტებს, მაგრამ მისმა ხელქვეითმა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, იმედები გაუცრუა. ჰენმანის მარცხი – ჰიუიტის დამსახურება იყო და ინგლისელებს ამ ფაქტთან შეგუება მოუწიათ.

ავსტრალიელი იმ დღეს შეუდარებელი იყო. მას ყველაფერი გამოსდიოდა, რასაც სტიტისტიკაც ადასტურებს. ჰიუიტმა უზარმაზარი უპირატესობა მოიპოვა. საბოლოო ჯამში, ოზმა სამჯერ მეტი ბურთი მოიგო და სამჯერ ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მატჩის შემდეგ ჰიუიტი იტყვის: "ასე კარგად ტურნირზე არ მითამაშია". ავსტრალიელი განსაკუთრებით იმით მოიხიბლა, რომ უმნიშვნელოვანესი მატჩი გადაჭედილი ტრიბუნების თანხლებით მოიგო. რაც შეეხება ჰენმანს, მან, უბრალოდ, მეტოქის ოსტატობა აღიარა.

ჰენმანის დამარცხების შემდეგ ჰიუიტი ფინალის უპირობო ფავორიტი გახდა. მისი მეტოქე სომხური წარმოშობის არგენტინელი დევიდ ნალბანდიანი იყო. ჰიუიტი 21 წლისაა. ნალბანდიანი კი – 20-ის, ამიტომ ფინალს ახალგაზრდობის მატჩი შეარქვეს.

ავსტრალიელს ნალბანდიანი ერთხელ სამ სეტში დაუმარცხებია. ამიტომ მატჩის წინ არგენტინელის მხოლოდ ყველაზე ოპტიმისტ ქომაგებს თუ სჯეროდათ, რომ მათი კერპი დაამარცხებდა ჰიუიტს – გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს. როგორც მოსალოდნელი იყო ბალახის კორტის მბრძანებელმა, უპრობლემოდ, სამ სეტში მოიგო და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ამბიცია, რომ იყოს მწვანე კორტის უპირობო მეფე.

უიმბლდონის შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ლეიტონ ჰიუიტი საჩემპიონო რბოლაში 127 ქულით დაწინაურდა. ოთხი საფეხურით აღზევდა ტიმ ჰენმანიც, ხოლო ესპანელი ალბერტ კოსტა, რომელმაც უიმბლდონი ოჯახური პრობლემების გამო გამოტოვა, მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა.

Atp-ის რეიტინგი.
საჩემპიონო რბოლა. პირველი ათეული.

1. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	524
2. მარატ საფინი (რუსეთი)	397
3. ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი)	378
4. ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	340
5. ანდრე აგასი (აშშ)	332
6. როჟე ფედერერი (შვეიცარია)	324
7. ტომას იუჰანსონი (შვედეთი)	304
8. ხუან კარლოს ფერერო (ესპ.)	287
9. ტომი ჰაასი (გერმანია)	273
10. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	261

რეიტინგი 52 კვირის შემდეგ

1. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ.)	5110
2. მარატ საფინი (რუსეთი)	3095
3. ტომი ჰაასი (გერმანია)	2990
4. ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტ.)	2605
5. ევგენი კაფელნიკოვი (რუს.)	2575
6. ანდრე აგასი (აშშ)	2310
7. ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	2290
8. ხუან კარლოს ფერერო (ესპ.)	2165
9. ტომას იუჰანსონი (შვედეთი)	1960
10. სებასტიან გროსჟანი (საფ.)	1945
11. როჟე ფედერერი (შვეიც.)	1915
12. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	1875
13. ენდი როდიკი (აშშ)	1825
14. გუსტავო კუერტენი (ბრაზ.)	1765
15. დევიდ ნალბანდიანი (არგ.)	1748
16. პიტ სამპრასი (აშშ)	1715
17. გილიერმო კანიასი (არგ.)	1585
18. იუნეს ელ აინაუი (მოროკო)	1545
19. ანდრეი პაველი (რუმინეთი)	1510
20. ნიკოლას ლაპენტი (ეკვ.)	1460

სახლი ნებისმიერი გაანწყობისთვის

როცა მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა ჯონსი უელსში ჩადიან, ღამის გათევა ყოველთვის მარიოტის სასტუმროში უხდებათ, რადგან ჯონსების უელსური სახლი ძალიან პატარაა და სტუმრებს ვერ იტევს. მართალია, სასტუმროში ცოლ-ქმარი დუგლასები პირობებს არ უჩივიან, მაგრამ ეს მათ ოჯახურ იდილიას მაინც არღვევს. სიტუაციის გამოსასწორებლად კეტრინ ზეტა ჯონსმა მშობლებს მშობლიურ ქალაქში 750 ათას გირვანქა სტერლინგად შეფასებული უზარმაზარი სახლი უყიდა. იქ დაი და პეტ ჯონსები სიძესა და ქალიშვილს თავისუფლად მიიღებენ.

ზღვისპირა მყუდრო და ლამაზი კურორტი ჰოლივუდის გიჟური ცხოვრებისგან თავდაღწევისთვისაც საუკეთესო საშუალებაა. დუგლასებსაც ეს წყნარი მხარე ისე მოსწონთ, რომ აპირებენ, ვაჟი დილანი იქვე, ლენდოვერის კერძო კოლეჯში მიაბარონ. უელსში სახლის შეძენის შემდეგ ისინი მსოფლიოს გარშემო უკვე ოთხი მამულის მფლობელები გახდებიან – კოლორადოში, ლოს ანჯელესში, მალიორკასა და უელსში. ანუ, ამიერიდან მაიკლ დუგლასის ოჯახი დროს ისე გაატარებს, როგორ ხასიათზეც იქნება – ჰოლივუდის მონატრების შემთხვევაში ლოს ანჯელესის 2 მილიონ გირვანქა სტერლინგიან სახლში იცხოვრებს, სამხრეთულ მზეს და ეგზოტიკას მაიორკაში ეზიარება, თოვლს – კოლორადოში, ბრიტანულ ტრადიციებსა და სიმშვიდეს კი – უელსში.

ინგლისის სამეფო ოჯახის მთავარი პრობლემა

პრინცი ჩარლზი უკვე დარწმუნდა, რომ ვაჟების გაზრდა პრინცობაზე უფრო რთული საქმეა. ამაზე ის მეტყველებს, რომ პრესის ფურცლებზე ახალ-ახალი ისტორიებით, უილიამთან ერთად, უკვე ჰარიც ჩნდება. ახლახან საკვირაო გაზეთმა The News of the World-მა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ 17 წლის პრინცი წვეულებაზე არაყს სვამდა. პოლოს კლუბის მიერ მოწყობილ საღამოზე ჰარიმ არყით დამზადებული ექვსი ბოთლი სასმელი დალია, - ზუსტად არის გამოთვლილი პუბლიკაციაში. სამეფო ოჯახმა ეს ინფორმაცია უპასუხოდ არ დატოვა. სასახლის წარმომადგენლის განმარტებით, გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ყველანაირ სტანდარტს არღვევს და აშკარად გაზვიადებულია. ჰარი კერძო წვეულებას ესწრებოდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე ჭიქა სასმელი მიირთვა. თუმცა, The News of the World-ში ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ იმავე წვეულებაზე სტუმრებმა კოკაინითაც შეიქციეს თავი. სასახლის წარმომადგენელს არ დაუკონკრეტებია, როგორ იმოქმედა ამ საგაზეთო პუბლიკაციამ პრინც ჩარლზზე. თუმცა, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ იანვარში ის ძალიან ნერვიულობდა ჰარის მომავალზე. მაშინ საგაზეთო ინტერვიუში ახალგაზრდა პრინცმა თავად აღიარა, რომ გემო უკვე კანაფსაც გაუგო და ალკოჰოლურ სასმელებსაც. ამ განცხადების შემდეგ უმცროსი ვაჟი ჩარლზმა სამხრეთ ლონდონში ნარკომანების სარეაბილიტაციო კლინიკაშიც მოათავსა.

მსმენელი კონცერტებზე ვეღარ დადის

ამერიკულმა ჟურნალმა Pollstar მუსიკოსები კონცერტებზე გაყიდული ბილეთების მიხედვით დააჯგუფა. პირველი ადგილი ბილეთებიდან შესული 52.8 მილიონი დოლარით პოლ მაკარტნის ერგო. მეორე ადგილზე კი ელტონ ჯონისა და ბილი ჯოელის ერთობლივი ტურნე გავიდა, 44.4 მილიონი დოლარის გაყიდული ბილეთით.

Pollstar-ის ცნობით, მაკარტნის ოც ქალაქში ჩატარებულ კონცერტზე ბილეთის საშუალო ფასი 129 დოლარი იყო, ჯოელი-ჯონის კონცერტზე დასწრება კი საშუალოდ 108 დოლარი ღირდა. არ არის გამორიცხული, ამ წყვილს უკეთესი შედეგებისთვისაც მიეღწია, ბილი ჯოელს ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ არ გაუარესებოდა და ათი დაგეგმილი კონცერტი შემოდგომამდე არ გადაედო.

ჟურნალის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გამოკვეთა. აღმოჩნდა, რომ ამერიკის ყველაზე ძვირადღირებულ კონცერტებს სულ უფრო მცირე აუდიტორია ჰყავს. საუკეთესო 50 ტურნეზე დასასწრებად წელს 10.6 მილიონი ბილეთი გაიყიდა, 2000 წელს კი გაცილებით მეტი – 12.9 მილიონი.

ხსენებული ორმოცდაათეულიდან კი საუკეთესო ათეულში მოხვედრა ქროსბიმ, სტილსმა, ნეშმა და იანგმა, ჯიმი ბაფეტმა და Eagles-მა შეძლეს.

არ არის გამორიცხული, მაკარტნის რეკორდი მალე "როლინგ სტოუნზმა" მოხსნას. ჯგუფის 1994 წლის ტურნემ რეკორდული – 121.2 მილიონი დოლარის მოგება მოიტანა.

სკანვორდი



TV პროგრამა 16 ივლისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და გიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ევოლუცია" მთ. როლებში: დევიდ უხოვნი, ჯულიანა მური

პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმგა ფეხგურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური გუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამგე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 სატ. სპექტაკლი "ჩოლახა"
15.15 ქართ. ფილმი "ზღვის შვილები"
16.50 ლერერის შოუ
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.15 გაეროს პროექტი საქართველოში
18.30 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 გასტი - გუგუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.35 კონცერტი "ჯიფსი და ჩიკო"
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "ქმეგეთ ქალი" (მე-2 სერია)

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე ეხგურთი.
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "გააღეთ პოლიციაა!"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "სიხარგე"

იგერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მატყუარა, მატყუარა"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამგეგი
10.25 საგაკვშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "წვიმის კაცი"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 გურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ღრმა ლურჯი ზღვა"
22.30 ძველი კინო "ალექსანდრე დიდი"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტორელა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "დოქტორი მამფორდი"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 "ბრავო" მხ.ფ. "დედოფალი მარგო". მთ. როლებში იზაბელ აჯანი, დანიელ ოტეი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "შურისძიება". მთ. როლებში რეი გიუმატაი, კარლოტა ჩანგი, კრის ტაშიმა
03.30 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "ნიჭი"
13.50 მხ.ფ. "დიდი რგოლა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "მარტის კატები"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ.ფ. "დიდი კუში"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამგეგი"
09.20 მულტფილმი "შეკრაზადი" მე-5 სერია
09.45 საგაკვშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-5 სერია
10.15, 11.15, 13.45, 17.15, 18.45, 20.20, 23.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.30 მხ.ფ. "კრომველი"
14.00 გადაცემა რაგგი
14.45 მხ. ფილმი "12 სკამი"
17.45 მულტფილმი "შეკრაზადი" მე-6 სერია
18.15 საგაკვშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-6 სერია
18.50 მხ.ფ. "გაგსი მელოუნი"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "მსხვერპლშეწირვა" მთ. როლებში მაიკლ მედნისი, გუკიმ გუდვაილი
00.40 მხ.ფ. "სილამაზე ამერიკულად". მთ. როლებში კევინ სპეისი, ანეტ გენინგი, პიტერ გალახერი

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "პრეზიდენტის მეგობარი ქალები"
11.00 საგაკვშვო ვიდეო-ენციკლოპედია
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "ციხე-სიმაგრე"
14.10 კომედია "მშობლებთან გაცნობა"
16.15 მულტფილმი "დინოზავრები"
17.35 მხატვრული ფილმი "ანა კისერზე"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 კომედია "ურჩხული"
21.00 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მელოდრამა "ანგარებით ქორწინება"
03.30 დრამა "შეყვარებული შეძსპირი"

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.50 "ავტორეკინგი"
11.45 მულტსერიალი
12.05 მუსიკალური გიორითმი - რიკი მარტინი
12.25 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.50 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.15 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.45 მუსიკალური ობიექტივი
21.10 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.15 "ღამის კაპრიზი"
22.00 მოკლედ... სპორტი
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "დოყლაპია თაღლითები". ა.შ.შ. 1998 წელი. სათავგადასავლო. რეჟისორი - რობერტ დორნჰელმი. როლებში: გილ პურლმანი, სალი კირკლენდი.
00.00 პრესის მიმოხილვა
00.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.20 მუსიკალური გიორითმი - რიკი მარტინი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - "ომენი" მე-3 სერია ა.შ.შ. 1986 წელი. მისტიკა. რეჟისორი - რიჩარდ დონერი. როლებში: გრეგორი პეკი, ლი რემიკი.
03.25 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
12.15, 16.45 "Ералаш"
12.20 Что да как
12.35 Дисней-клуб: "Любимчик"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 Независимое расследование
15.00 "Народ против"
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.15 х.ф. "МОГУЧИЙ ДЖО ЯНГ"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.25 "С клеймом иуды"
00.05 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "Русский экстрим"
02.00 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ" 02.50 "Человек ниоткуда"

РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 17.45 Афиша
07.40, 15.05, 15.20 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10 Вести-спорт
08.40 "Федерацыя"
09.15 Колоссальное хозяйство
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "СЛУЧАЙ ИЗ СЛЕДСТВЕННОЙ ПРАКТИКИ"
14.10 Мульфильм
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "Киргизия"
19.50 Сериал "КОМИССАР РЕКС"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 "ПРОФЕССИЯ - СЛЕДОВАТЕЛЬ"
22.55 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, СОН".
00.30 х.ф."В ДУХЕ".
02.30 Горячая десятка

НТВ

1.40 "О, СЧАСТЛИВЧИК!" азартная игра
2.15 "ЛЮБОВЬ ДО СМЕРТИ" триллер. США
7.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
9.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ЗАПАСНОЙ УБИЙЦА"
11.00 СЕГОДНЯ
11.20 Прогноз погоды на завтра
11.25 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!" "КРЕПКИЕ ОРЕШКИ-2"
12.15 "КВАРТИРНЫЙ ВОПРОС"
13.00 СЕГОДНЯ
13.20 "ВКУСНЫЕ ИСТОРИИ"
13.35 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ" комедия режиссера Марка Захарова.
15.00 СЕГОДНЯ
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня - "КУДА УХОДЯТ ЗВЕЗДЫ"
16.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : ДОКТОР СМЕРТЬ".
17.00 СЕГОДНЯ
17.30 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
18.35 "ГРЯЗНАЯ РАБОТА" боевик.
19.40 "КРИМИНАЛ"
20.00 СЕГОДНЯ
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "СТРАХОВОЧНЫЙ ВАРИАНТ"
21.45 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
23.00 СЕГОДНЯ
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ"
0.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანგებო "ინფორმაციამ"

№43-ის სკანვორდის პასუხები

თარაზულად: ქარვა; ფიშერი; კალიფსო; ფენოლი; კორიდა; სმოკი; იმედი; ფორანი; ტეილორი; ლორე; კარე; სამორინე; ბრუტო; ასკარიდა; კირი; ლეტიცია; რონინი; ლი; შუ; ბაზი; კარპოვი; მინდი; პირანია; კონფესია; ტრიო; იარდი; პეტ; პლატა; იქსი; ბურა; ლიმიტი; იანიჩარი; უაიტი; სცენა; ნარკოზი; ინდიგო; ოფისი; პრაიდი; ოინი.

შვეულად: პლატო; კოლაჟი; ამონალი; რეზინი; ამური; ბარონი; ინფექცია; ნერო; სატინი; ტიფოზი; ლომისი; ეშერა; ანტენა; იაფი; ტრესტი; ჩარექი; ბროდვეი; სამოა; მილანი; რაცია; სირინოზი; ალმასი; სკალპი; ქაშმირი; ალბომი; ბრა; რენო; რილკე; ფინტი; ბინდი; აუდი; ასი; იურტა; შმაისერი; ობი; ლეო; ბუა; ონტარიო.